

# ლიტერატურული გაზეთი

№19 (251) 18 - 31 ოქტომბერი 2019

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით


ფასი 80 თეთრი

## გივი ალხაზიშვილი

\*\*\*

მიკვირს ბალახი რომ ამოდის ამ სიძულვილში,  
ყვავილები რომ იშლებიან,  
მზე რომ აბრწყინებს თვალების ქაობს,  
სისხლიან ხელზე რომ გაკრთება უმანკო სხივი,  
სიცრუის ხავსში ნიაფი რომ გაიშრიალებს.  
რა უნდათ აქ,  
სადაც ჰაერიც აღარ არის,  
სადაც მშვიერი ბავშვის თვალებში  
ტანჯვით შობილი ნათელი ბუჭტავს...  
რა უნდა ვარსკვლავს და ამ სიმღერას  
გულგრილობით მკვდარ უდაბნოში?!

III



## მანანა ჩიტიშვილი

მიმაცილებენ შაშვავი

ცად მზის და მთვარის აკიდო, —  
უამი მიმოდის ამგვარად,  
ომიც ვნახე და სამკვიდროც  
უცხო თესლ-ტომმა წამგვარა.

ვტიროდი სულ ჩემს სიმცირეს  
თმოგვთან, გარნისთან, ფარცხისთან,  
ვერც მტრობა ვერ ავიცილე,  
ვერცრა სიმწარე მარცხისა.

ვესოვე ლეგენდა-მითებით,  
თუ რამ ოცნება მეზადა,  
თუმცა ვერ ვიდავითებდი,  
ცდით მაინც უნდა მეცადა.

ჩემთვისაც უნდა ენათა  
გორდას, არხოტს რომ ლესავდნენ,  
კვირიასა და ლელასთან  
ვეოფილიყავი მესამე.

მაგრამ ვერც ღვარძლი ავცელები,  
ვერც ტაძრის ვაგე კედელი,  
ვერცარა ლექსი დავწერე  
მარჯვენამოსაკვეთელი.

სიტყვამ ხომ ვერ იხირიმა,  
ვერც ციხედ ამომეშენა,  
ვის რა შემატა ტირილმა,  
ჩემთვის რა უნდა ეშველა.

მივალ უხმლოდ და უფაროდ,  
მარტოდენ დარდით მძიმეთი,  
ჯვარი დამწერე, უფალო,  
ვერც გავიმართლე იმედი.

თუ რამ ვარ, შენი წყალობით,  
ხან ამოდაც დაეშვრები,  
ჩუმსევედიანი გალობით  
მიმაცილებენ შაშვავი.

IV-V

## დიანა ანფიმიადი

რატომ აღარ ვნარ ლექსებს

ლექსებს სჭირდება სიბრძნე  
— მითხრა ჩემმა მასწავლებელმა —  
დაიმახსოვრე,  
ხელოვნური ვარდი სჯობს წამდვილს.

ლექსებს სჭირდება ენა,  
ენაში უნდა დაფრინავდე,  
როგორც სიზმრებში  
— თეორიული ლინგვისტიკის ლექტორმა მითხრა.

ლექსებს სჭირდება ემოცია,  
უნდა მბურძგლავდეს  
— მითხრა ძველმა შეყვარებულმა —  
ცოტა მუსიკა, ცოტა რითმა და ბევრი გრძობა.

ლექსებს სჭირდება მეტაფორა  
— გარდაცვლილმა პოეტმა მითხრა —  
პოეტი, როგორც მეტაფორა,  
ლექსებს არ ჰყოფნის.

ლექსებს სჭირდება ეპატაჟი  
— ახალგაზრდა კოლეგამ მითხრა —  
სიტყვების ერთად, მაგიდაზე ფეხების დალაგება.  
ლექსებს სჭირდება საზღვარი,  
ხაზი, რომელიც არ უნდა გადაკვეთო

— ჩემმა თავმა ასე მითხრა —  
ლექსებს სჭირდება ლაგამი.  
— ლექსებს შენ სჭირდება,  
ერთხელ მაინც დაწერე, რასაც ფიქრობ,

თუნდაც უაზრო, ვულგარული,  
ოლონდ გულწრფელი,  
ერთხელ, ერთხელ მაინც დაწერე შენივე თავი  
— მითხარი შენ და  
მე იმ წუთში შევწყვიტე წერა.



## ბექა ქურხული

# თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

სამარცხვინო აზრები და ეჭვები მესამე დღეს გამეფანტა და ყოვლადმონყალე, გულთამხილველი ალლაჰის წინაშე ძალიანაც შევრცხვი ჩემი მდაბალი და სამარცხვინო ფიქრების გამო...

მაინც შიში აღუძრავს უბადრუკ ადამის ძეს მსგავს ღვთისსაწყენ და უნდო ფიქრებს საკუთარ სისხლსა და ხორცზე და როდესაც მესამე დღეს ჩემმა ოთხივე მამიდაშვილმა — გამზრდელმაც და გაზრდილებმაც — ჩემს ღარიბულ ეზოში ცხენები შემოაგელვეს, ძვირფას სტუმრებს სინანულით და სირცხვილით თვალი ვეღარ გავუსწორე. თუმცა კი სიხარულით ცას ვეწიე და როგორც ადრე, ბავშვობაში, სირბილით წავედი მათკენ. წამსვე დამავინყდა ჭრილობებიც, მტრობაც და უკეთური აზრებიც.

მამიდაშვილებს წინ უფროსი ბექირბეი მოუძლოდათ, რომელმაც სიცილითა და ყიჟინით მომაგდო ზედ ცხენი. არსლანი, თავად ისანბაი ბალათური, ისარი რომ მესროლა, რომელსაც სახლში ვინახავდი მისგანვე გახვრეტილ უნაგირთან ერთად და სულ უმცროსი ძმა ყარა-მურადი, რომელიც პირველი დაქვეითდა და უფროს ბექირბეის მივარდა უზანგის დასაჭერად. თუმცა ბექირბეი დაქვეითებას არ ჩქარობდა და უნაგირზე ამხედრებული გაგიჟებულ ცხენს ათამაშებდა.

მე ყარა-მურადთან ერთად უნაგირსა და აღვირზე ვუტაცე ხელი უფროს მამიდაშვილს და დაქვეითება ვთხოვე. თან ბანზე გამული ძველისძველ ბუხარულ ნოხაზე ვეპატიუებოდი მოსასვენებლად.

ბექირბეი დაქვეითდა და გადამეხვია. დანარჩენი მამიდაშვილებიც მომე-

ახლნენ და სალამი მომიძღვნეს უფროს-უმცროსობის მიხედვით. ბანზე ავუძეხი — თან ნათესავეებს, მეზობლებსა და მოკეთებებს გავძახე: მამიდაშვილები მენვინენ, ჩვენი მამიდა ხადიჟათის ვაჟები და, აბა, თქვენ იცით, მომხედეთ, მაღალი ალლაჰის წყალობით ჯეროვან მასპინძლობას ნუ მოვაკლებთ-მეთქი.

ამასობაში ჩემი უფროსი გამზრდელი მამიდაშვილი ბექირბეი სახელს მილოცავდა, მაჯანჯღარებდა, მეხვეოდა, მკოცნიდა და მეზობლებოდა: აქამდე ვერაფრით გინახულეთ, თარეშზე ვიყავით და გვიან გავიგეთო. მეუბნებოდა, როგორ ამაცობდა ოთხივე ძმა, მათი დარბაისელი თეთრწვერა მამა და განსაკუთრებით მამიდაჩემი ხადიჟათი ჩემით. მკოცნიდა და გადახეთქილ ახლადშეხორცებულ თვალზე მადებდა თითს, დანარჩენ ჭრილობებსაც მითვალიერებდა, გაკვირვებით იქნევდა თავს, იცინოდა და ეშვებოდა კბილებს აჩენდა. „ეგ პირველია — თან თავის ჭრილობებს მარჯვენაზე — ეგ ჯერ არაფერია, აი, ამდენი ნახმლევი რომ გექნება ტანზე დამჩნეული, მაშინ იქნები წამდვილი ჯიგიტი...“ ჩვენი სამი მომდევნო უმცროსი ძმა ცოტა განზე იდგა — მორიდებით, მორცხვად ილიმებოდნენ და მოკრძალებით მეხვეოდნენ.

ამასობაში ეზოში ჩემი ბიძაშვილი და ულუსის წევრები შეგროვდნენ. ყველანი მოვიპატიუე. ბექირბეიმ მომდევნო ძმას, არსლანს, შავი ნასუქი ერკემლის უნაგირიდან ჩამოხსნა უბრძანა.

VI-VII



მე ჯერ ისე მწარედ შევცოდავ ხოლმე, ძრწოლა ამიტანს და გულში სწრაფ-სწრაფად შევთხოვ უფალს პატივას. ისიც მპატიობს, ანდა, ვინ იცის, იქნებ ერთიანად დამატყვოს თავს განსაცდელი. ახლაც აკანკალებული ხელებითა და ცრემლიანი თვალებით ვწერ, ვცდილობ, თავი დავიწმუნო, რომ მართალი ვარ, რომ მე არ ვარ ასეთი, რომ ყოველი ჩემი სიტყვა სხვა არაფერია, თუ არა ტკივილის გამოძახილი, იმ ტკივილებისა, ადგილი რომ ვერ მივუჩინე და ჰაერში სიტყვებდ ვფანტავ. იმ ტკივილებისა, ვერასდროს რომ გადაიხდიან სამაგიეროს და ეს კიდევ უფრო მტკენს ისედაც დასახიჩრებულ სულს...

სახლში მოსულმა ქუსლებზე შეყენებული ჩემი უდარდებლობა შემოსასვლელშივე მივაგდე. შანელის კაბაც გავხადე იმ უბრალო სხეულს, ყველას ასე რომ ეძვირფასება. სარკეში აღმაცერად, სიბრაულე-ლით შევათვალეირე საკუთარი თავი, შემდეგ გავუტყინე — ეგონოთ! ფეხშიშველი მისაღებ ოთახში გავედი. საგულდაგულოდ შეკრული კოსა ერთი ხელის მოსმით გავიშალე და თმასთან ერთად აიშალა ყველა ჩემი ფიქრი და ფორიაქიც. იქვე, დივანზე, ნახევრად შეხსნილი ხალათის ამარა მივეგდე და ნახევრად შიშველმა სანახევრო გულწრფელობით დავიტირე საკუთარი თავი. მარტობით გაქეზებულმა ყველა რატომს ერთად მოვუყარე თავი და ვეცადე, სათითაოდ გამეცა პასუხები. არეულ აზრებს ვერ ვალაგებდი, რული მერეოდა, თავბრუ მეხვეოდა... გამაღლებით ვცდილობდი მიზეზების პოვნას და ჩემსავე გამოგონილ სავარაუდო პასუხებში ვიკარგებოდი. იმ ეფემერულ პასუხებში, რომ უახლოვდები და გარბიან, რომ ცდილობ, ძალღონე მოიკრიბო, გაიქცე, სუნთქვა გიხშირდება, ძალა გელევა, ის-ისაა უნდა დაიჭირო და ხელიდან გისხლტებიან, ვერ ეწევი. ჯერ მხოლოდ დღის სამი საათი იყო, კიდევ მქონდა დრო საკუთარ თავთან დარჩენისთვის. ჰო, დრო ხშირად მაქვს და იქნებ უკეთესიც ყოფილიყო, მარტობას გავეცოდი. იქნებ სწორედ საკუთარი თავი მაგიჟებდა, იქნებ სწორედ მას უნდოდა ყველაზე მეტად ჩემით თამაში... ნახევრად შიშველ სხეულს ნახევრად შიშველ სულს ვუსევდი დაგეშილი ძალღვივით და ისიც კანკალებდა, ერთიანად ცახცახებდა. ქათქათა კანი ყოველ შეტევაზე იხორკლებოდა, სინაზეს კარგავდა და უჩვეულოდ იისფრდებოდა. ასეთს მხოლოდ მე ვიცნობდი საკუთარ სხეულს. ასეთს მხოლოდ მე ვიცნობდი საკუთარ თავს. ისე კი, სინამდვილით დასერილი ოცნებები ისე მიტყვენ, ტკივილისგან გული მეკუმშება. ძალას ვიკრებ, რომ ფილტვებში დაგუბებული ჰაერი ამოვუშვა და სული შევუბერო. ხან იმასაც ვნატრობ, იქნებ შემეძლოს, კარი ცხვირწინ მივუჯახუნო საკუთარ თავს და სადმე გავეცე-მეთქი, მაგრამ შემდეგ ისევ სხვისი თვალებით ვუნყებ ყურებას... რატომღაც მხიბლავს ეს გაცრეცილი, ლურჯთვალეობა გოგო. სარკეში თვალს ვუსწორებ ხოლმე და რამდენჯერ დამიჭერია, არა კი არ დამიჭერია, უკვე დარწმუნებულიც კი ვარ, რომ მარჯვენაში ყველა ვაგებ ამ ერთად მოიყარა თავი და მარცხენაში სიხალისეები და ბავშვური უდარდებლობაა მოკუნტული, მორცხვად მიყუყუ-ლი. ორად ვიყოფი, ალბათ ისევე, როგორც ყველა, მაგრამ ამ თვალებში კიდევ უფრო კარგად ჩანან ჩემი მეები. მოვიხატავ ხოლმე, შავი ფანქრით შევალამაზებ — ვერაფერ ამჩნევს სხვაობას, მხოლოდ მე ვიცი. ავიბრწყვიალებ მთელ სხეულს ფრანგული კაბითა და ძვირფასი სამკაულით, ღიმილს ვაგებებ თავმომწონედ სამყაროს და ისიც თავს მიხრის. მეც დავხრიდი, მაგრამ არა, არ ღირს! იქნებ იმიტომ, რომ ჩემი გულწრფელობის მეშინია. იქნებ იმიტომ, რომ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს. სიმარტოვე ცუდი ყოფილა... ცუდი ყოფილა და ნინ კიდევ სამი საათი მაქვს მარტობის. არ ვცდილობ, გავეცე. ნახევრად შიშველ სხეულს ვუქსევ ნახევრად შიშველ სულს და მომწონს, როგორ მისფერდება კანი. კანი ყველაზე გულწრფელია.

მხოლოდ საკუთარ სხეულს შეუძლია, დამაჯეროს, რომ ღირს საკუთარი თავის გაძლება... ტკივილის მეშინია... ფიზიკური ტკივილის და ასე, მსუბუქი სხეულით დავატარებ ასე მძიმე თვითმკვლელობას. როგორც კი მარტო დამიგულეებს, თავს გამოყოფს ხოლმე ბედნიერ მეს ამოფარე-

ბული, სიცილებს უშენს ყველა ჩემს სიამაყესა და ღირსებას, ზურგზე მოგდებული გულიდან ფანტავს ყველა ტკივილის მტყერს, ასე საგულდაგულოდ რომ შეუნახავს და მაქეზებს... ოხ, რარიგად მაქეზებს, რომ სული გამოვაცალო პარფიუმით გაფლენილ ამ ჩემს სხეულს. მერე ამაქოთებს, მერე ამაორთქლებს, სითეთრესაც დაუკარგავს გაცრეცილ სხეულს, თვალებს ჩამიქრობს, იქნებ ცხვირიც კი წამიგრძელოს, ფრჩხილებიც გამიღურჯოს, ერთიანად გაახმოს და დააზამთროს მაჯებზე თავმომწონედ მიხრილ-მოხრილი იისფერი სიცოცხლის ხეები, ასე ძალიან რომ ვამსგავსებ გაზაფხულის „აკვირტებულ“ ტოტებს. სხეულს ვერ ვიძებნებ... აი, სული კი ჭირსაც წაუღია!.. მაინც ვერაფერ ცნობს, მაინც არავის არგია... ვერ „დაუმულამეს“, თვალს ვერ უსწორებენ მის თვალისმომჭრელ სიშიშველს. აქაც სიამაყე.



რამდენჯერ ვცადე ხან ნდობის და ხანაც სიყვარულის სახელით სულის გაშიშვლება. უმანკო ქალიშვილივით მორცხვად ხრიდა თვალებს. მერე ერთს ღრმად ჩაისუნთქავდა, თავს ირწმუნებდა, რომ დროა... დროა ნდობის. რომ ეს სწორედ ისაა, ვისთანაც ღირს ამის გაკეთება... რომ არ ატყენენ და ისიც მორცხვად იხდის ბავშვობის ტკივილებს, სისუსტეებს, მარცხებს. მოუთმენლად ელიან, როდის გაშიშვლდება ბოლომდე, რომ ხარბად დაეწაფოს მის ჯერ კიდევ უმნიშვნელო სულს, ვითომდა გაგიჟებით რომ მოსწონთ, მაგრამ... ისე გამეტებით გწოვენ სულის კერტებიდან ყველა ღირსებას, მეობას, სისუფთავეს, რომ ხსენად გადენენ ადამიანობის ყველა თვისებას. ყველა იარაღს ერთიანად გადენენ ყელში და წყურვილმოკლულები ახლა უკვე შენში კლავენ სიამაყეს, გულწრფელობასა და ნდობას. სწორედ ამ დროს ვცოდავ... როცა ვეღარ ვპოულობ სამოსს ამ საცოდავი შიშველი სულის შესამოსად. სამოსს — უდარდებლობის, სიძლიერის, გულგრილობის.

მზე ჩემი ფანჯრებისკენ გადმოიხარა და ისეთი დაფიქრებით მომაცქერდა, სორცხვილის გრძობამ ერთიანად დამიარა ტანში. შეხსნილი ხალათი მჭიდროდ შევიკარი, თვალს ვერ ვუსწორებდი.  
— გინდა, დავლიო?

ბარიდან ვისკი გადმოვიღე. ორ ჭიქაში გავანაწილე. ასე უაზროდ მიგჩერებოდი და მთელი გულით მსურდა, ჭიქასთან ერთად დამემსხვრია მარტობა... მზეო, მზეო ცხრათვალა... გაუზრებლად ვლილინები ღიმილწარევი სიმწრით და თავადაც ვერ გამეგო, რა მსურდა. ჯერაც ვერ გამეგო, საკუთარი თავი მძულდა თუ მიყვარდა. მუსიკა ჩავრთე. შოპენის გაზაფხულის მელიოდიაში ყოველთვის ნათლად ვხედავ საკუთარ თავს. რამდენად მსუბუქი და რამდენად მძიმე ვარ ერთდროულად. გაზაფხულივით სითბო-სიცივე შეპარული, ფერადი და, ამავდროულად, ყველაზე მოყამული... ჩემი ცხოვრება აპრილია, ან იქნებ მარტიც...

ერთ-ორ ჭიქაში ისე შევთვერი, საკუთარ თავსაც კი შემოვულანუნე... ფორთოხალს კოცნამოწყურებული ტუჩებით დავენაფე. გემო გაფუსინჯე...  
— შენ ბედს რა დაჰყვა. ცრემლგარეუ-

გამოვა და თან ისეთი სხვა, საერთო არაფერი ექნება შენთან. ყველა ცრედა გარედან ლამაზი ჩანს. ჰო, თითქმის ყველა. და ეს განწირული ჩემი სხეულიც დღეს განსაკუთრებით მელამაზებოდა. თვალსაც ვერ ვწვევტი.

ბოლო აკორდით ვიპკურე „სკანდალი“. მიყვარს დეტალუბად ქცეული სიმბოლოები. შემდეგ კვლავ შევყენე ჩემი უდარდებლობა ქუსლებზე, შავი ფანქრით შევალამაზე ყველა ჩემი ტკივილი და ზღვისფერ თვალებში გამომწყვედი ზღვასავით ამღვრეული ბედნიერება. კიდევ ერთხელ შევათვალეირე საკუთარი თავი სარკეში და გადავწყვიტე, ბოლომდე მივინდობდი სხეულს, საკუთარ სხეულს, რომელიც მუდმივად მანამებდა, რომელიც ყოველთვის მამარცხებდა საკუთარ თავთან ჭიდილში, რომელიც მუდმივად ზღვარზე მამყოფებდა, ღირსებისა და მანკიერების ზღვარზე, ცოდვისა და უცოდველობის ზღვარზე... ათასჯერ მაინც დავცემულვარ, ათასჯერ მაინც გადავრჩენილვარ და ათასჯერ მაინც მიცდია ცხოვრების ჩვეული გზით გაგრძელება. და მერე? მერე მარტობა შემომიხვეს ხოლმე ფიქრებს, მერე ყელში ყულფივით მიჭერს ყველა კითხვა. მიჭერს და ცხვირში მადენს ყველა სიკეთეს, პატიოსნებას, სისუფთავეს. იქნებ... რამდენი „იქნებ“ გამიელვებს ხოლმე თავში... სიტყვებდ ვფანტავ გაუსაძლის ტკივილებს და ეს სიტყვებიც ვეღარ მშველიან. უფრო მასუსტებენ. იქნებ სხვაგვარად უკეთესი ყოფილიყო, იქნებ ჯობდა, ყველა ტკივილი ერთიანად ცოდვად მექცია და ათასის ნაცვლად ახლა უკვე ერთი ტკივილით მევლო. ვინ იცის, იქნებ ის უფრო ცუდია, როცა მართალი ხარ და უთანასწორობა უფრო მეტად გიმძაფრებს განცდას, რომ არ იმსახურებ... იქნებ საერთო ცოდვები უფრო აახლოვებს ადამიანებს, იქნებ სიმახინჯე სულაც არაა ისეთი საზარელი, როგორც მგონია. წამო, დავამთავროთ!

და მაინც რა მტკიოდა? და მაინც რისთვის ვიძებნები საკუთარ თავს? პასუხი არ მქონდა... ზოგჯერ დიდი მიზეზი ყველაზე პატარა აღმოჩნდება ხოლმე, ყველაზე პატარა კი ყველაზე დიდი. კიბეს ფეხაკრფით ჩავუყევი, თითქოსდა არ მსურდა ჩემი ხმაურით არაფრისმთქმელი სიჩუმის გაფანტვა. ქუჩის ბოლოში მუდამ დგას ერთი ტლანქად მოდლებილი ქალი და ყვავილებს ყიდის. ზამთარში ისე იფუთუნება, მხოლოდ თვალებიდა უჩანს. აგერ, უკვე მეშვიდე წელია, ზამთარში ცდილობს, სიცოცხლე შეეგუოს, ზაფხულში — სიცხეს. მოიგდებს ფამთასვლით გაცვეთილ შალს მხრებზე და ხელების სავსავით დაჰფოფინებს პატარა გამათბობელს, შუაგულ ქალაქში ხესთან რომ მიუბამთ და გასათბობად ეს ყვავილების გამყიდველი მიუბარებიათ. ვერ ათბობს... არ იცის! ისიც კი არ იცის, რისთვის გაჩნდა დედამინაზე. დილით — „ტკაპ!“ — და ჩართავენ. ასე უმიზნოდ ელოდება საღამოს „ტკაპს“. ერთხანს ისევ ათბობს. შემდეგ? შემდეგ კი ისე იყინება, შურით უცქერს დედაბრის შალს. დიახ, ყველას აქვს თითო განსაცდელი. ამ გამათბობელსაც აქვს. ტრიალ ქუჩაში ყველა მხარეს სიცოცხლე დაძრწის, ეხუტებიან ერთმანეთს, მაგრამ სიცოცხლე მაინც ართმევს სითბოს გამათბობელს და ქალს — მოთმინებას. აუნყლიანდება ხოლმე დანაოჭებული შავი თვალები, აუნთილდება, იკუნტება ეს ტლანქი ქალი, იკუნტება და მაინც უსაშველოდ დიდი, უსაშველოდ პატარაა ამ დიდ ზამთართან. არ ვიცი, რამ გამახსენა, მაგრამ რატომღაც უნებლიედ ამ ქალისკენ ავიღე გეზი. შორიდანვე შევინძნე... ჩამუხლული მთელი სიმძიმითა და სიმახინჯით ქმნიდა ყველაზე ჰაეროვანს, ნაზსა და სურნელოვან სილამაზეს. ფერებ-ფერებით უშლიდა ფოთლებს ვარდისფერ ქრიზანთემებს. ფერებ-ფერებით, ღიმილით უამბობდა სათქმელს. ჭაღარაშეპარული, სახეზე ტკივილარეკილი, დარდით გასენილი ეს ქალი... ოდესღაც ბავშვი, ოდესღაც უდარდელი, ოდესღაც იქნებ ლამაზიც კი... ახლა კი საოცარი იყო, ქალს. ქალს, რომელსაც ოცნებასაც უკრძალავდა განცება. ქალს, რომელიც ისე მოათვინიერა ფამთასვლამ, რომ ბედთან ბრძოლის უნარიც დაუკარგა. ვიცნობდი ამ ქალს, მარტობით იყო მდიდარი და ამ ფერად-ფერადი ყვავილების იმედად დარჩენილი. მხოლოდ ესენი თუ დამიტირებენ — ღიმილწარევი სინანულით მითხრა თვეე-




ბის, ანდაც ერთი წლის წინათ. და მაინც, ვინ მიუტანდა მას ყვავილებს? ალბათ ერთგულებით თუ ამოხეთქავდა გატყეპნილ მიწაზე რომელიმე მათგანი და მორცხვად დახრიდა თავს. იქნებ წვიმისთვისაც დაეშალა მოსვლა, იქნებ სიცხისთვისაც შებრძოლებოდა, იქნებ ბოლო ხმითაც დაეტირა ჩვენი მეყვავილე. მერე კი ქართველთან დამარცხებული დააჭკნებოდა უსასრულობის მიწიერ სავანეს და შემდეგ გაზაფხულზე მზით გაქეზებული, ერთგულებით გაქეზებული იყვავილებდა. დარდიან ისტორიებს ყოველთვის როდი აქვთ უდარდელი დასასრული. აპრილის მზე ყოველთვის როდი ათბობს ნამარტალ მიწას. სევდა მერეოდა და სრულებით აღარ მახსოვდა რატომეზობით გაუღენთილი ქაოსი, ახლა მე ვიყავი ყველაზე პატარა და ახლა მე ვიყავი ყველაზე უსამართლო. ფეხაკრეფით მივუახლოვდი. არც კი ვიცი, რატომ. თვალს ვერ ვუხსნორებდი მის დარდიან მიწისფერ თვალებს, ქრიზანთემებს რომ ირეკლავდნენ დღე და ღამ. უეცრად მისი თვალებიც კი შემეყვარდა... და მაინც, რა ლამაზი მისი თვალები... ასე მკაფიოდ რომ შეხიზნულა ყველა სიტობო, ყველა სიცხე და ყველა ყვავილი. ქუჩის მეორე მხარეს სახაბაზოსთან მიკედლებული შავ-თეთრი ფინიაც რომ შეხიზნულა. აქედან ქალი უყურებს ქრიზანთემების მზერით, იქიდან — ცუგა უყურებს მადლარი თვალებითა და კუდის ქიცინით. მტვერს ვინ დაეძებს, ანდაც დამტვერილ მოგონებებს, ანდაც — ადამიანთა უთვისტომობას. ყვავილებს ყიდის მიწისთვალე და ყოველ დილით მზის ამოსვლას უყურებს ღვინის აღმართზე. მე? მე იქნებ დარდებს ვეკარგავ უსასრულო დროისგან, იქნებ მიზეზებს ვეკარგავ, იქნებ ბინდად ვიკრავ უარაფრობას. იქნებ ამ ქალზე მძიმეც ვარ, უფრო მახინჯიც. ჩემს ზღვისფერ თვალებში მხოლოდ ტალღებია... ჩემი თვალები ყოველ დილით არ ხვდებიან თბილისის მზებებს. ჩემი თვალები არ ირეკლავენ ნაზ ყვავილებს ყოველ რიყრაყზე. მე არც ზამთრებს ვეგუებდი და არ ზაფხულებს, არც მარტობას, არც ტკივილებს, არც დაკოჟრილ ხელებს, არც საკუთარ თავს, არც სულს, არც სხეულს, არც მტვერს, არც ავდარს... ვერ ვეგუებდი... ახლოს მივედი და გამიღიმა, შენსავით ლამაზ ყვავილებს შეგირჩევო. სიამაყეგამოცლილმა თავი დაფხარე. ერთად ვარჩევდით — ის ჩემს მსგავსებს, მე კი მის სადარს. არა, არც დამტყნარი ყვავილების ძებნა დამიწყია, არც მელახულების. მთელი არსებით ვეძებდი ყველაზე ნაზებს, სურნელოვანს, ფერადს. და მაინც, რამდენად დიდი იყო ეს ქალი ჩემზე, ნამდვილი ტკივილებით გავესებული და მაინც უსაშველოდ მსუბუქი. რატომღაც მინდოდა, მთელი ძალით ჩავსუტებოდი მის ტლანქ სხეულს. ვერ ვაგუებდე. სწრაფად გაუწოდე ფული და მშვიდი ნაბიჯებით შევუყვიე მტვერიან აღმართს სულში სიმშვიდედასადგურებული... რაოდენ უცხო იყო ეს გრძობა ჩემთვის, რაოდენ უცხო! უაზროდ მივშტერებოდი განცდებით შეკონინებულ ვარდისფერ თაიგულს და ოცნებებში ვიხლართებოდი. იმ ოცნებებში, ასე ხშირად რომ მსტუმრობენ, თავს რომ მივანდობ ხოლმე და საათობით ვიკარგები მერე გამოგონილ სამყაროში. მადლიერების განცდა მიჩქარებდა გულს და ვგრძობდი, რამდენად მარტივი შეიძლებოდა, გამეხადა ცხოვრება, თუკი იმის დაფასებას ვისწავლიდი, რაც გამაჩნდა.

სახლში ისევ მარტობა შემომეფეთა გაყინული სახით. არ მესიამოვნა. ნაძალადევი ღიმილი შევაგებე სარკეში არეკლილ გოგოს და რატომღაც მეუცხოვა. არ მესიამოვნა ოთახში დაგუბებული სიმარტოვენარევი სიმშვიდე, თუმცა ვეცადე, ყურადღება არ მიმექცია. თაროდან მეგობრის ნაჩუქარი ჩინური ფაიფურის ლარნაკი გადმოვიღე, ფრთხილად ჩავდე დაკოჟრილი ხელებით შეკრული თაიგული და სასტუმრო ოთახში გავიტანე. ფეხშიშველმა დაავიწყე ცეკვა. აი, ისე, როგორც ბედნიერების ჟამს ცეკვავენ. აი, ისე, სხელით კი არა, სულით რომ ცეკვავ. თავბრუ მეხვეოდა, რული მერეოდა, სიმშვიდეს ვუსევდი ყველა ავდარს, ყველა დარდს, ყველა უმწეობას...

ბრაააახხ!.. და ვინ გითხრა, რომ ყვავილები არ დაჭკნებიან? და ვინ გითხრა, რომ სიმშვიდე მარადიული? ანდაც ის, რომ ოდესმე შეძლებ ამ ლარნაკის გამთელებას, ანდაც ტლანქად მოდღეუბილი ქალი შეძლებს, დაგავიწყოს ყველა ტკივილი?! ტკივილი ტკივილით ვერ გააყურებ, არც სხვისი უბედობაა შენი დარდის ნელსაცხებელი. ბრაააახხ!.. ძირს დაღვრილ კამკამა წყალში იხრჩობიან ქრიზანთემები და არც კი ვცდილობ მათ გადარჩენას. მიწის ნამსხვრევები უსერავენ ვარდისფერ ფურცლებს უმანკობას. მე — ქრიზანთემი... ერთიანად დამიარა მთელს სხეულში, ერთიანად გამიისფრდა მაჯებზე გაკვალული სიცოცხლის ხეები, ერთიანად დამაყარა კანზე ყველა ტკივილი, აუხდენელმა ოცნებებმა, სისუსტეებმა. ძალა მელეოდა... ფარდის კუთხიდან მომაშტერდა ისევ თვითმკვლელობა. სიცხილებს მიშენს, ტკივილებს მახლის, თავისკენ მიხმობს...

მზე აღარ მზებოდა. უკვე ბინდდებოდა. ისევ მარტო ვარ, ვერ მომიხსნებენ... ქრიზანთემები... მე — ქრიზანთემი. შენ — კვლავ სიკვდილი... ტკივილარეკილი ქალი, ტლანქი სხელი... ეგუება ყველა ზამთარს, ყველა გაზაფხულს... მე კი სიცოცხლეს ვეგუები. ძალას ვიკრებ და გულში ვიკრავ დამხრჩვალ ყვავილებს. საგულდაგულოდ ვინახავ მივინყებულ უბის წიგნაკში სიკვდილთან ერთად. დღესაც ვცდი, შევეგუო საკუთარ თავს, ხვალაც და ზეგაც... კიდევ ბევრჯერ ვცდი. იქნებ ამ ცდებში ისევ მოხდეს, რომ თვითონ მოვიდეს, ნამიყვანოს. მძიმე ვარ, იქნებ ვერც კი დამძრას, იქნებ ისევ მიწას შემოვრჩე, იქნებ!.. მე — ქრიზანთემი. ხვალ მეც შეეხვდები ააისებულ ცას ღვინის აღმართზე. მე — ქრიზანთემი და მერე? ბრაააახხ! ღიმილს ვაგებებ კარში გასულ მარტობას.



### გივი ალხაზიშვილი

#### ბალწევა

თითქოს გამსრისა ცარიელი დროის სიმძიმემ, ერთი სიტყვაც არ დამიტოვა, ვერ დავემაღლე გამჭოლ მზერას, დაჟინებით რომ მიმასხვორებს — დასავინყებლად.

თვალს დავხუჭავ და შევავლებ ჩემში გახსნილ კალიდოსკოპს, სადაც ფერადი ფიგურები დაცურავენ სამკუთხედებად და რკალეზად დაშლილ წრეებად და ვხედავ რგოლებს წარმოსახულ აკვარიუმში, წარმოსახული ლაყურებით რომ იწერება...

მაგრამ მაფიქრებს სისხლის ხსოვნა და ქვიშაზე ნანერს აღვიდგენ და ჩემი განცდა ნემსის ყუნწში როცა ეტევა, მოვწყდები სხეულს იმ უხილავ აეროსტატით, ნებისმიერი სიმძიმე რომ ეხედმეტება...

\*\*\*

რაც მახსოვს, ისიც დასავინყებლად და სულ თავიდან რაც დაიწყება — მოგონებები კარგის და ცუდის, როგორც სამივე დროის ნაზავი, ამოფრინდება უცხოობი წუთი თბილი ოქტომბრის პეპელასავით.

ის გადაუფრენს შეფერილ ბალებს — მოძრავ სიჩუმეს — სასწორის პინას და გაუქმებულ სიტყვის კარს ალებს, რომ სამუდამოდ იპოვოს ბინა და შეეკედლოს ხმოვნების თაღებს, სადაც ცხოვრობდა დიდხინის წინათ.

\*\*\*

ჩიტს რომ ხელი აეუქნიე, არ აფრინდა და ვიშოვე ყველაფერი არაფრიდან. ეს ნაშოვნი, რადგან ვალსაც გამიბრიდა — ფრთა გაშალა, მოუსვლელში გამიფრინდა.

ტყვია მოხვდა არარსებულ კალიბრიდან. ვალი ვალსად გადაცვალა, ქალი ბრიდა და მიშველა ჩემმა ანამ ანაბრიდან! მაგრამ ისიც თბილ ქვეყნებში გადაფრინდა...

დავრჩი მარტო, ჯერ არავინ არ დამბრიდა, თურმე, მკვლელი, ფეხით მოდის გარდაბნიდან... ოქტომ-ბრიდან, ნოემ-ბრიდან, დეკემ-ბრიდან... და მოსვლამდე, ის საბრალო დაიბრიდა!



#### ბოლთა

თვალს რომ ხუჭავ, იმ წუთს ახელ, მხოლოდ გულში რომ იხედება!

გაცდი შენს თავს, შინ ვერ ბრუნდები, თუმცა ის დრო დამალულია!

აქედან ვხედავ, უკეთ მოჩანს, რაც სხვაგან არ ჩანს.

მიკვირს, სიტყვა რომ გადადის წუთიდან წუთში და ის წუთი ველარ ბრუნდება.

ფანჯრის რაფაზე დაჯდა მტრედი და სულ სხვა იყო, როცა გაფრინდა.

ისევ ვეძებ ნაცნობ სივრცეს, აქ რომ გამიქრა და იმ მეში ჩაიმალა, სადაც უკვე აღარ ვარსებობ.

შენ რომ გიცანი, გამახსენდა თვალს რა აბრწყინებს და ჩემი შინ სად მეგულება!

ყველა სულდგმული ერთმანეთის ხსოვნით არსებობს და უნებლიეთ პოულობს საყრდენს...

ღამე რატომღაც შინაურია და თავზე მეტად უყვარს ორივე თუ კი მსუბუქედ შინ აურია.

არის სიტყვა ორაზროვანი და ორივე აზრს სიღრმეს უსინჯავს და გააგორებს კამათელივით და გაიფიქრებს: ნეტავ ეს ღამე ჩემებურად გამათელია!

ისე იცვლება გამოხედვა, როგორც ტემბრი და ეძებს შინ რაც ეგულება, მაგრამ შინ მხოლოდ გულს პოულობს და პულისის დათვლას გააგრძელებს თვლემის თანხლებით, როცა მაჯა და ყველა ძარღვი ისე ფეთქავს, რომ გული ცდლობს არ უსმინოს პერიფერიას...

იყოს თავისთვის, ჩვენთვისაც ხომ ბერი ბერია.

#### დრო

კენტი ვარსკვლავი ანთია ცაზე — ბავშვობისდროინდელი, მაშინდელია ის ღრუბელი, ის კონინდარი. სადღაც ვიყავი, სად ვიყავი არ ვიცი თავად, დრო კი არ გადის, მე ვავდივარ, მე უკვე სხვა ვარ.



მანანა ჩიტაშვილი

არცრა მგონია სიკვდილი

ჩამოიმტვრევა ცის თალი —  
ლურჯი იასპის მინა,  
უშენოდ არსად არა ვარ,  
უფსკრულის ფსკერზე მძინავს.

რა მრჩება ყამარის კოშკთან,  
მარტო ძეძვი და ლოლო,  
გამიტანს დარდის ნამქერი  
სადმე არაგვის ბოლოს.

ვის დავნანდებდი, ნეტავი,  
ვის დაუშემძიმებ ლოდინს,  
თუ გინდა, ნურც დამიტვირებ,  
ისე, უბრალოდ მოდი.

ჩამოიშლება თვალზე  
მიმწუხრისფერი ფარდა,  
არცრა მგონია სიკვდილი  
შენთან სიშორის გარდა.

იგონებს გული

ღრუბლის ტახტრევენით მთვარე მიჰყავდათ  
ქარებს, თითქოსდა წილი იყარეს,  
ჩვენ არ გვინდოდა და... შეგვიყვარდა,  
ჩვენ გვინდოდა და... არ შეგვიყვარეს.

იდგა აპრილი და ქუჩას ფერადს  
შეგნოდა ვარდი თოთო, უცადი,  
ჩამოივლიდი და მამრთა მზერას  
ნაუცბათევედ გადაფურცლავდი.

მახსოვს, სოსნისფრად მბრწყინავი ზეცა,  
როგორ გვაყრიდა ბროლსა და საფირს  
და სიყვარული, სულზე რომ გვეცვა, —  
ნაქსოვი ფშაურ ნაჭრელას ძაფით.

იგონებს გული დღით თუ ღამიან  
იმ დროს, წლებმა რომ სევდით მინამეს,  
როცა ვცოდეთ და... არ გვინანია,  
რომ არ ვცოდეთ და... მაინც ვინანეთ.

ასე გვეწერა

შეხე,  
ცისკარმა უკვე იალა,  
ცა — ულურჯესი  
ფერით ნახატი...  
ბედმა  
რამდენი გვახეტიალა,  
ვიდრე ერთმანეთს  
დავინახავდით.

ასე გვეწერა  
განგებების წიგნში,  
შეგვხვდით და  
სევდით გაფითრდა მთვარე...  
მე —  
დაკეტილი კარების შიგნით,  
შენ —  
დაკეტილი კარების გარეთ.

გადივლიან ღრუბლები

რა უგუნურად დამკარგე,  
განა — ღვითთ,  
შენის ნებითა,  
ცალ-ცალკე გავლევთ სანუთროს,  
ცალ-ცალად ჩამოვდნებითა.  
შენზედ ძვირს მაინც ვერ ვიტყვი,  
არც ბაგეს დაველი ქებითა,  
ალარც საითმე მოგივალ,  
არც დაგლევე დალოდებითა.  
გადაივლიან ღრუბლები  
ცოროვებით, ნება-ნებითა,  
გადასცდებიან საბადურს  
უცხო, უშქარი გზებითა,  
ხვალზეთ სულეთს წასულნი,  
ნეტა სად შევიყრებითა?

\*\*\*

იმგვარი ხმებით  
მოსველ ამსოფლად,  
თითქოს ასკილის  
გთალეს ღეროდან,  
ბედი კი  
სულ იქ გისჯიდა ყოფნას,  
სადაც არავინ  
არ მიგელოდა.

შენ ბინადარი  
სხვა ცის იყავ და  
იღბალიც სულ სხვა  
გედგა კარებთან,  
რა სულ ისეთი  
ვინმე გიყვარდა,  
ვინც ვერასოდეს  
შეგიყვარებდა.

ვინც ყვარებით

ციდან წვიმს წეროს წივილი,  
მთებს მოსავს ნისლის ფარაჯა,  
გული თუმც თვალზე მეტსა გრძნობს,  
თვალის ჩანს,  
გულის არა ჩანს.

შემობრუნდება ცარგვალი,  
თუკი სანუთრომ ინება,  
დავნატრი, სატრფოს დალალი  
ვის მკერდსაც დაეფინება.

სულ მზის ამოსვლის მნატრელი  
დრომ მზის დასავალს მიმგვარა,  
ნეტა მას, ვინც ყვარებით,  
თვით რომ უყვარდა,  
იმგვარად.

რამდენჯერ

ნათელი ადგას ბეთლემის ბაგას,  
ჩამოსწვეთს ჯვარცმას ღვთიური სისხლი,  
მე ცოდვილი ვარ, უფალო, მაგრამ  
სასჯელს მტკივანი ლექსებით ვიხდი.

ქანაობს ქარში ალვების რიგი,  
ხვალ ჩემთვის ერთი სხივიც იკმარებს...  
და სევდით ვუმზერ თვალების ირგვლივ  
ნაოჭებს —  
დარდის ნაბილიკარებს.

და თუ ოდესმე წავიყრი ლაგამს,  
სუსხიან მათრახს თუ ავირიდებ,  
წასვლა ძნელი კი არ არის, მაგრამ  
თუ წავალ,  
ვისთან უნდა მივიდე?

ჩამოდის წვიმა და სარკმელს ფხაჭნის,  
ლამეს, ვით საბანს, ტანზე ვიფარებ...  
ჩემს სისხლს,  
ლექსებით ესოდენ აჭრილს,  
რომელი გიჟი გადაიბარებს.

ჰაერში სუნი ზღვის და იოდის,  
ნაპირზე ღრუჯი ქვიშა ეშალა...  
თქვენ ალბათ სხვასთან თუ მიდიოდით,  
თქვენ მისამართი თუ შეგეშალათ.

მორჩილად გინვდით დალენილ მაჯებს,  
აქ ვარ და წასვლას აღარსად ვლამობ...  
რამდენჯერ უნდა ვიხდიდე სასჯელს  
ერთხელ დაშვებულ მეცდომის გამო.

ჯერ კი მამშვიდებს შრიალი ხეთა,  
უხდება ზეცას მზის მარმამები  
და დილას,  
ცვარის არაყით შემთვრალს,  
შეაფხიზლებენ სტვენით შაშვები.

ნუ შეახუბი

ტყისპირს  
ტანთეთრი ჩანან ვერხვები,  
ზოგან სისხლისფრად  
თრიმლიც იალებს,  
შენ იმ ნაკადულს ნუ შეეხები,  
სხვის კალაპოტში  
რომ მიჩხრიალებს.

და შუქს აყენებს  
არეს ნელიად  
მზე შემოდგომის —  
ამო და მკრთალი,  
უკვე სხვის მკერდზე  
რომ აბნევიდა,  
ნურც იმ ყვავილზე  
ნაგივა თვალი.

როგორ შორიშორ დაგვლია

ქარი ქრის,  
ტყისპირს წნორები  
ტოტებს მინაზე ახლიან,  
თმა რისთვის ჩამოუშლიათ  
ასე ჩუმსა და ნაღვლიანთ,  
რანაირ გვემტრო სანუთრო,  
ალარცსად ცოდვა-მადლია, —  
ერთმანეთისთვის შექმნილი  
უერთმანეთოდ დაგვლია.

**ალექსის ხიზანავი**

ჩამავალი მზის  
ნათება მკრთალი,  
ხეთა ანარეკლს  
ხატავს ფიქალი,  
ქუჩაში  
უცხო კაცი და ქალი,  
თავ-თავის დარდით  
და საფიქრალით.

განა ერთნი  
ან განა წყვილები,  
ცალად მისდევენ  
ალვის ხეივანს  
და ვერც ამჩნევენ,  
მათი ჩრდილები  
ერთმანეთს  
როგორ გადახვევიან.

**ქს იმას ნიშნავს**

ღამეა ახლა,  
მკრთალი შუქი ჩამოდის მთვარის,  
გარეთ კი ქარი  
ძველებურად ისევ თავხედობს...  
წერდე,  
ბეჭდავდე,  
ნიშნავს იმას, გაალო კარი  
და შენს ოთახში  
ქვეყანა რომ შემოახედო.

და თუ აღარ გასურს,  
რომ სტრიქონით იკლავდე წყურვილს,  
თუ აღარ გინდა,  
გულსა და გონს ლექსით შეშლიდე,  
ეს იმას ნიშნავს,  
განუდექი სამყაროს მდურვით  
და სიცოცხლეზე უარი თქვი  
სიცოცხლეშივე.

**ასე მებრუნა**

სად მიფრენ, ჩემო ლურჯო პეპელო,  
ქართლის მინდვრების უცხო კამეავ,  
მინდა, ამ ღამეს ისე მეფერო,  
თითქოს ეს ჩვენი ბოლო ღამეა.

დროს მიაქვს ფიქრის ყველა სატივე,  
შორით ვარსკვლავთა კრთიან მთიები,  
ერთურთს იმდენი რამ ვაპატიეთ,  
ჩვენ რომ ჩვენს თავს არ ვაპატიებდით.

სხვა გზებით ვლიდა ბედი ოდითგან,  
ოცნებას ცისფერ ღრუბელს ვატანდი,  
ასე მეგონა, მოხვიდოდი და  
ტაძარზე ფრესკად მიმახატავდი.

ჟამი, ყოველს რომ ნებისად მოზელს,  
ჩვენც გვევნო თავის ზნით და ადათით,  
ნეტავი, ახლა ლომისის გორზე  
შენ მიდიხარ, თუ...  
მთვარე გადადის.

\*\*\*

ერთის გზა თუა  
მთვარით ნაფერი,  
სხვის გზა-სავალი  
ბინდისფერია,  
შენ რომ უყვარხარ, —  
ეგ არაფერი,  
შენ როცა გიყვარს,  
ყველაფერია.

ვინ მისწევია  
სიყრმეს გაფრენილს,  
ლიმილში დარდი  
ვის არ ერია,  
შენ როცა ტოვებ, —  
არც არაფერი,  
შენ რომ გტოვებენ,  
ყველაფერია.

**სტამბოლის მონათა ბაზარი**

და როგორც იატაგანი, —  
ცაზე ნამღევი მთვარის,  
სტამბოლს მონათა ბაზარი,  
მე ბაზრის თავში მდგარი.  
კედლებზე სისხლის წვეთები  
ვატყობ,  
სხვებისთვის არ ჩანს...  
წაულეკია ერთიან  
ოქსინოსა და ფარჩას.

ცას ხვრეტენ მინარეთები,  
ისმის ყივილი მოლის,  
აქ თვალს არც ოქრო იზიდავს,  
არც — ალმასი და ბროლი.

არც სიტკბო — რაჰათლუქუმის,  
მზერამ მომწუსხოს რისამ...  
რამ დამავინყოს რბევა და  
ელვა გასისხლულ ხმლისა.

ბორგავს, გრიალებს ბაზარი,  
დგას სურნელება ნესვის,  
სხვაგან ვარ,  
გლოვა ქართული,  
ბაღლის ტირილი მესმის.

ცახცახებს ყრმა ტანშიშველი,  
პირშეუმშრალი ხსენით,  
ვის ომში ჩაიხარჯებით  
ქართლოსიანთა ძენი.

მუჭში მოსწურავს კოკობ მკერდს  
ურცხვი, უხამსი ხელი,  
იქნებ ჩემ მინის ამკლები,  
ან ამ გოგოს ძმის მკვლეელი.

ვდგავარ,  
ზნელ ნარსულს გავყურებ,  
ცრემლს ვედარაფრით ვიშრობ,  
ვაი, საქონელს მიდრილო,  
ჩემო ბედკრულო ჯიშო.

სტამბოლს მონათა ბაზარი,  
მე ბაზრის თავში —  
მკვდარი....

ჯვრით ნაკურთხ ზეცას გადასხეპს  
მინარეთების ჯარი.

**დიანა ანფიმიადი**

**რუხად წერა**

მოიახლოვო შემოდგომა  
ერთი ხით, ჭირხლის ერთი ფთილით,  
ტყე, იდუმალი მიღმა დარჩეს.  
მკერდზე მიიკრა ყვავილები  
პლასტირისაგან გამოჭრილი.  
სიმსივნე — პრინცი მინოტავრი  
სხეულის ბნელი ნიალიდან  
ლაბირინთების მეტასტაზებს  
აგზავნის შიშის ყველა მხარეს.  
სიყვარულს რაღა გადაარჩენს?  
მოიახლოვო დასასრული  
ერთი ხმით, თმების ერთი კვანძით,  
თეთრი ნაწნავის მკვდარი თოკით.  
საათის ისრის ერთი რკალით,  
ყელში ნაჭერილ მანძილს უვლის  
წრეს, აი, უკვე მერამდენედ,  
თითქოს სამსხვერპლო თიკანია,  
ასფალტს წინკნის და ლეჭავს ბანარს  
და თითქმის პრინცმა, ტარიელმა  
ლექსში, ამ თავის სიყვარულში  
დასვა პირველი მძიმეები —  
ვეფხვის ბრჭყალების დანაკანრი.  
მოიახლოვო სიყვარული,  
მოიახლოვო შემოდგომა,  
მეტასტაზებად აყვავილდა  
და ისევ ჩემს გულს ჩაეხუტა  
სიმსივნე — პრინცი მინოტავრი  
— მარტოობისგან დამაშრული.  
მოიახლოვო დასასრული.

**ცრემლები ჭიქაში**

ყველა ლექსი მკვდარ ენაზეა დაწერილი,  
როგორც არ უნდა ავამეტყველო, ავანშიანო,  
გავმიფრო, ნავიკითხო, გავაცოცხლო,  
მანც სადღაც რჩება დრო, როდესაც  
ამ ენაზე უყვარდათ, ეძახდნენ, ტიროდნენ.  
მკვდარ ტექსტს რაღა გავაცოცხლებს,  
თოჯინას კიდურები აუმოძრაო,  
ზმნას პირი შეუნყო, სახელს მრავლობითი,  
ზედსართავებში ფერი ჩაასხა,  
ზმნიზედებში — მოვლენები,  
მანც არაფერი გამოდის —  
ხელოვნური სუნთქვით  
ქვა როგორ გავაცოცხლო?  
ან თიხის ფირფიტა, პერგამენტი თუ ეტრატი.  
ყველა ლექსი ბილიგვაა, ორ ენაზე აწერია  
ერთი — საშენო, ერთიც საჩემო,  
მკვდარი გოგოს ამბავი, ცოცხალი გოგოს ამბავი —  
ნეკროლოგი, ნიუსი, განაჩენი,  
ჩემი მკვდარი და სხვა ყველა დანარჩენი.

ბიჭი ძალით ტირის და ჭიქაში ცრემლებს აგროვებს,  
ცრემლები ჭიქაში და ჭიქაში ქარიშხალი,  
ყველა ლექსი მკვდარ ენაზეა დაწერილი  
და არც არავინ გამოჩნდა,  
ლურსმული კაკუნი სიჩუმეში —  
დ ა მ ი შ ა ლ ო ს...

**ბავშვები**

ორი ხელი, ფერმკრთალი, ქათქათა,  
კონახურის კანფეტით განებილი,  
რომელი რომელს ჩაეჭიდა  
ვერ გავიგე.  
მზემ ორი შუბლი შეაფერადა,  
გაახუნა ტუჩთან ორიოდ ბუსუსი,  
ასფალტზე მიდის სანდლის ორი წყვილი,  
ერთი პატარა, მეორეც პატარა,  
თითქოს ასფალტზე თასმით დაამაგრეს  
ორი სიფრიფანა, პატარა სხეული,  
ჰაერში მიფრინავს ერთის ცხენის კუდი,  
მეორის ჩიტის ბუდე  
— მზის გულზე გამთბარი.

დედას უყურებს მავანი გამვლელი,  
პანია მუშტი დაიძაბა, მოიჭიმა,  
თასმა ყოველთვის უდროოდ იხსნება,  
დედა შეუკრავს, ბავშვი დგას მორჩილად.

გადარბენამდე სუნთქვის დაყოვნება —  
— დედა, მოიცადე, აინთოს შუქნიშანი.  
დედა, ნაყინისთვის ხურდები დაგრჩება?  
მდულარე მანქანების მდინარე საშიშია,  
გზაზე გადარბიან ბავშვები.

შეჰყავთ ერთმანეთი კინოში, აფთიაქში,  
ნამში, შემთხვევაში, პატარა-დიდ ამბავში,  
ცხოვრობენ,  
კიბის ორ საფეხურს ერთად ახტებიან  
ორნი — ბავშვიდედა,  
დედაბავშვი...





დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩემს უმცროს მამიდაშვილებთან, ისან-ბაი ბალათურთან, ყარა-მურადთან და ბი-ძაშვილებთან ერთად უცხად დაგვკალით, ჩამოვატყავით და ავქენით შავი ერკემალი და მწვანეებისა და ბეშბარამაის მომზადებას შევუძღვეით. თან მხიარულად ვქაქანებთ, მათ შორის, ისანბაი ბალათურთან, რომელმაც სამი დღის წინ დილაადრიან ალიონზე საკუთარი ყიშლალის შემოსასვლელთან ლამის სასიკვდილო ისარი მტყორცნა და მთელი ეს დღეები ჩვენი მწვანეები, ხომ არ მიცნო და განგებ ხომ არ გამიმეტა სასიკვდილოდ. ახლა კი არხეინად ვსაქმიანობდით, ვხუმრობდით, ამბებს ვყვებოდით და მხიარულად ვიცინოდით.

მე ჩემი მამიდაშვილები უახლოეს ნათესავებთან და მეზობლებთან ერთად სახლში შევიპატიჟეთ. უფროს ძმას, ბექირბეის, ერკემალის მოხარული თავი მივართვი, ჩემს აქაურ ბიძაშვილებს — მარჯვენა და მარცხენა ბექი, დანარჩენ სტუმრებსაც გულუხვად გავუმაპინძლდი მსუქანი ხორცი და მათობელია, აქაფებული კუმისი, აირანი და ბუზაჯ ბლომად ვასვი. ლხინი გახურდა. ყველა მხიარულობდა — ხუმრობდნენ, იცინოდნენ, ყიშლალის აკინმა თარზე გმირული ბალადები დაამღერა, მათ შორის, ჩემს ბოლო ბრძოლაზე. ჩემი მამიდაშვილები აღფრთოვანებული ყოფნით შეხვდნენ ჩემს ხოტბას და სიმღერებს ომახიანად ააყოლებს ხმა.

— ეეჰეჰეჰე! — ტაში შემოსცხო ბექირბეიმ, — რატომ დედაჩემი, შენი მამიდა, ხადიჟათი არა გვყავს აქ და არ ისმენს შენზე შეთხზულ ბალადებს; ხომ გადაგვდგამდა შენი ქებით, თავისი მოდგმისა და თქვენი უღელის ხოტბა-დიდებით!..

— რატომ არ წამოიყვანეთ? — უცებ ვიგრძენი, როგორ მომენატრა მამიდაჩემი ხადიჟათი და ძალიან მომინდა, მასაც მოესმინა ჩემი ხოტბა და გმირობის ამბავი, — ცხენზე შეჯდომა და თქვენნაირ ჯიგიტებთან ერთად ჭენება ხომ არ გაუჭირდა ამ ბოლო დროს?..

— არა, არა! — აყვირდა ერთხმად სასმელით შეზარხოშებული ოთხივე ძმა, — არა, რას ამბობ!.. — ახლაც, ამ წამსაც კი, ჩვენზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ დააჭენებს ურა ცხენებს და არც მშვილდის მოზიდვა და მახვილის ხმარება დავინწყებია, — სიმთვრალით შეთამამებულები, უფროს-უმცროსობის მიუხედავად, ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცდიდნენ, ხელს კრავდნენ და ცდილობდნენ, ერთმანეთის ხმა გადაეფარათ.

მე მათ მოხარული დუმა და მკერდის წვერი მივართვი, როგორც სტუმრებს, თან კუმისა და ბუზას ვუმარჯვებდი. თან მაღალი და ყოვლადმონყალე ალლაჰიმც მომიტევეს, მიქაილ-ჯაბრაილის განკითხვის დღეს ყურბდაცქვეტილი ვუსმენდი, როდის ასხენებდნენ ან ჩემს ზულეიას, ან, ხოტბის გარდა, რას იტყოდნენ ჩვენს შეტაკებაზე, სადაც მათი ყიშლალის მხოლოდ ის ძუ ძალი, ნურ მუჰჰამად ბანი, მონაწილეობდა. ან თავად ნურ მუჰჰამად ბანს თუ ასხენებდნენ, თუნდაც შემთხვევით, ან სასამეღორეული და ატრაბახეული ისანბაი ბალათური როდის მოყვებოდა სიამაყით მტრის მარბიელის მზევრავს, ან ვიღაც უცხო, უგვარტომო მანანალას, რომელიც დილით ალიონზე მათი ყიშლალის გარშემო დაძრწოდა და, უეჭველია, რაიმე დავლას და საკბილოს ეძებდა, თუ უფრო უარესი, ავი განზრახვა არ ედო გულში და როგორ გაუწუნუნა იმ სიმორიდან ისარი, როგორ აზიდვინა თან და ვინ იცის, იქნება მიუწვდინა და დაჭრა კიდევაც.

არა. არაფერი. ამ ყველაფერზე, რაც მე ასე მაინტერესებდა, ოთხი ძმიდან არცერთს სიტყვაც კი არ დაუძრავს.

მაშინ კი მეც მომერია თრობა, თანდათან მოვეშვი და დავრწმუნდი, რომ ჩემს მამიდაშვილს — ისანბაი ბალათურს, გამიზნულად ჩემთვის არ უსვრია ისარი და არც დანარჩენებმა იცოდნენ რაიმე მნიშვნელოვანი იმ ყველაფერზე, რაც მე მანუხუნდა და მინდოდა, გამეგო. ჩვენი უფროსი ძმა ბექირბეი, უფროსობის მიუხედავად, არც ისე ჭკვიანი, რადგან, როგორც ჩვენი არაბი მულლაჰ იბრაჰიმი ამბობდა, როდესაც ყიშლალს უხუცესს აღსაყალებზე ბრაზობდა — „ჭკუა ხანში კი არა, თავშიაო“... დანარჩენი ძმებიც ისე გამოთვრნენ და

გამოშტერდნენ აქაფებული კუმისისა და მაგარი, მათობელია ბუზისგან, რაიმე რომ სცოდნოდათ ან ავი სდებოდათ გულში, ენის წვერზე ვედარ გაუჭერდებოდათ. რალაცას მაინც გავიგებდი, ერთი სიტყვა მაინც დასცდებოდათ.

მერე კარგა ხანს ვემშვიდობებოდით ერთმანეთს. ბლომად დალეული ბუზა, კუმისი და აირანი მოჰკიდებოდათ, ბარბაცებდნენ. უფროსი მამიდაშვილი ბექირბეი ძლივს შეობდა უნაგირზე, ამჯერად მისი აღვირი და უზანგები ყველას გვეჭირა და შეჯდომამი ვეხმარებოდით, როგორც ნესია, თან ჩუმ-ჩუმად დავცინოდით. მაღალი, თხელი, მკერდგანიერი თურქმანული ულაყი გვერდზე გვიხტებოდა, მუშტისხელა თვალებს გვიბრალებდა, ლამის ბუდეებიდან ამოხტომოდა სიბრაზისგან, ისეთი ავი ცხენი იყო, მაგრამ რაკი პატრონს — ბექირბეის — სცნობდა, საკებნად მაინც არ ინევედა და არც ტლინკებს იყრევინებოდა. ჩემს ბებერ და უხიავ ცხენს არაფშას კი არ ჰგავდა, სანამ კარგად არ დამკებნდა მისალმების ნიშნად, ზურგზე რომ არ მისვამდა. ბექირბეი უნაგირზე თავს ძლივს

მტერზე, ნურ მუჰჰამად ბანიზე სანადიროდ გასულს, სწორედაც რომ მიცნო და სწორედაც რომ მე მესროლა სასიკვდილო ისარი ისანბაი-ბალათურმა და ახლაც, სტუმრად მოსულმა და ჩემს სახლში დამთვრალმა ბექირბეიმ, განზრახ გამიტყლაშუნა სახესთან მათრახი და ამით მანიშნა და მაგრძობინა, რომ ყველაფერი იცოდა, თანაც დამცინა — ხომ გეუბნებოდით და გაფრთხილებდით, დაანებე ჩვენს ყიშლალში ღამლამობით ცუდ საქმეზე და სააკვაცოდ ძრომიას თავი. მოეშვი იმ გავარდნილ გოგო ზულეიას, მაგას თავისი დანიშნული საქმრო და პატრონი ჰყავს. არ დაიჯერე, არ შეისმინე ჩვენი სიტყვა, არ გაგვიგონე, კაცებად არ ჩავთვალე შენი საკუთარი მამიდაშვილები, სისხლი და ხორცი და იარე ახლა ასე სხვის ქათმებზე მონადირე, ხაფანგში მოყოლილი ნუნკი მელიასავით ცალთვალგამოთხრილმარ. ცოტას განყდა, სახლში არ შევვარდი, მშვილდ-ისარს ხელი ვტაცე, ჩემს უბელო ცხენს არ შემოვახტი და ახლა მე არ გავუგზავნე ჩემს საკუთარ მამიდაშვილებსა და სტუმრებს ათიოდე ისარი



ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

იმავრებდა, მაგრამ ხან ყოფნით, ხან ფერებით, ხან ლანძღვა-გინებით, როგორც იქნა, დაიურვა ცხენი. ჩვენ უკვე სიცილს აღარ ვიკავებდით, ხმამალა ვხარხარებდით მთვრალ ბექირბეიზე და მის ავ, ბრაზიან თურქმანულ ცხენზე. თან გვერდიდან არ ვცილდებოდით, გვემინოდა, არ გადმოვარდეს, მიწაზე ზღართანი არ მოადინოს და რამე არ დაიშავოს.

უცებ ბექირბეი ერთხმად ნინ გადაიხარა, ცხენს კისერზე გაეკრა ისე, რომ მუბლზე ჩამოყრილი გრძელი თმა ცხენის ფარში აირია, მათრახი ჰაერში გაატყლაშუნა და მისი გამყინავი კვილისგან სულ მთლად გაგიჟებული ცხენი ადგილიდანვე წყნებით დააოთხა. მათრახის ტყლაშუნის ხმაზე მთელი ტანით შევკრთი და ხელეები უნებურად თავისკენ წაიღე. ისე დავფეთდი, კინალამ სახეზე ავიფარე თითები უმნეო გალახული მონასავით. დანარჩენი მამიდაშვილებიც, ბექირბეისა და ჩემი უმცროსი ძმები, უცებ ხელის კვრით დამშობდნენ, იქვე ქამანდებით მიბმულ ცხენებს ეცნენ, ქამანდები და აღვირები ერთად აიხვიეს ხელზე, ჯერ წყნებით გაახელეს ცხენები უნაგირზე ჩამოკიდებულებმა და მხოლოდ შემდეგ უკვე გაჭენებულებს შეახტნენ და გამაყრუებელი ყოფნით გამოუდგნენ უკან, კარგა მანძილზე დანინაუდრებულ უფროს ძმა ბექირბეის, რომელიც რალაც სასწაულით იმავრებდა თავს თავის მინაფრენ, გრძელფეხება თურქმენულ ულაყზე. მხოლოდ ჩემს ხელში გაზრდილი ყარა-მურადი მომიბრუნდა და გამომშვიდობების ნიშნად შავი ფავახი რამდენჯერმე დამიქინა ჩამავალი მზის სხივიც ოქროსფრად აელვარებული მტვრის ბულში გახვეულმა.

მე კი ბექირბეის მათრახის ტყლაშუნისა და საკუთარი სისუსტით გამოწვეული სირცხვილის გამო, უნებურად სახეზე რომ ვიფარებდი ხლებს, კვლავ შაითანისა და შავსულა მანგუსების შავბნელმა აზრებმა შემპყრო. იმ წუთას, სასმელმოკიდებულზე, დაუპატიჟებელი და ვერაგული განზრახვით შეპყრობილი სტუმარივით, ცხადად და თვალშესავლებლად მენვია აზრი, რომ ამ სამი დღის წინ მამიდაჩემი ხადიჟათის ყიშლალის შორიახლოს, ჩემს

ქორნილში დავგვიანებული მაყრებივით. ალბათ ასეც მოვიქცეოდი და ჩემი საყვარელი მამიდა ხადიჟათის გაჩენილ შვილებს, წყეული იბნისის მიერ გამოგზავნილი რისხვისგან დაბრმავებული, სასიკვდილოდ გავიმეტებდი, მაგრამ მათსა და ჩემს ბედზეც, მამიდაშვილები უკვე შორს იყვნენ და ისარს ვედარ მიუწვდენდი, თუმცა მათი ყოფნის ხმა კარგა ხანს მოჰქონდა ტრამალის ქარს, იმის მიუხედავად, რომ უკვე თითქმის წერტილებად ჩანდნენ. მომეჩვენა, რომ სულ უმცროსი, ყარა-მურადი, კიდევ რამდენჯერმე შემობრუნდა ჩემსკენ. კარგად კი მიდიოდნენ — წყნებით, თქარათქურით, შევარდენებვით გამყინავი ყივილით მიჰყვებოდნენ მზის კვალად ზოლზე განათებული აყრილი მტვრის ბულის შუქს. ავი ღიმილით შევბრუნდი. დიდხანს, დიდხანს, ნელ-ნელა ილექებოდა მაღალი აყრილი მტვერი ამ ცოდევილ სისხლიან დედამიწაზე. სტუმრის მიღება და პატივით გაცილება უდიდესი სიხარული და ყოვლადმონყალე ალლაჰის საჩუქარია ყოველი ჯიგიტისთვის, მაგრამ ამ სიხარულს ბილწი და ადამის მოდგმის უბოროტესი მტრისგან, შაითანისგან, შთაგონებული საშინელი ეჭვები და ბნელი ფიქრები მიბათილებდა. ჯავრი მჭამდა და შეურაცხყოფი, შელახული ღირსების შეგრძნება მოსვენებას არ მაძლევდა, ისევე, როგორც საკუთარი უმწეობა, სისუსტე და უღონობა მინამლავდა სულს. ამოად გავყურებდი ავი და მომლოდინე ღიმილით ოთხივე კუთხივ ჩვენს უკიდევანო ყივი-ჩალურ ტრამალეს, ამოად აყურებდი, საშველისა და გამოსავლის იმედით, ამ თვალწვდენელ ტრამალეს გადახურულ, უძირო, ლურჯ და ღრმა ცის თალს, რომელიც ჩვენი ტრამალებივით უსაზღვრო და უსასრულოა.

გამოვფხიზლდი. მივხვდი, რომ ჩემს მამიდაშვილებზე სისულელეებს ვფიქრობდი. გავიხსენე, რამდენი კეთილი და თბილი სიტყვა მითხრეს, როგორ მასხამდნენ ხოტბას და ახლა ჩემი უმადურობისა და უნდობლობისა შემრცხვა, როგორც ნელან ჩემი სისუსტისა, სამაგიეროს გადახდას რომ ვაყოვნებდი, თუმცა ეს ყველაფერი ალბათ უფრო ერთმანეთისგანაც გამომ-

დინარეობდა და ერთ დიდ შუგ დარდდ მანებოდა სულზე. ძალიან შემრცხვა საკუთარი სისუსტის, სისულელისა და სულმდაბლობის — ადამის ძენი ძალიან ადვილად განვიკითხავთ და განვიკითხავთ ხოლმე ერთმანეთს მაღალი ალლაჰის წინაშე. გვიკვირს, როგორ გვიძლება, ალლაჰის მიერ უმაღლესი გონით დაჯილდოვებული და უფლის სახედ ქმნილი ადამის შვილი ასეთი მდაბალი, სულელი, უმადური, გულბოროტი, ხარბი, სასტიკი და ლაჩარი იყოს და გვაინყებდა საკუთარი ხინჯი და ცოდვები. გვაინყებდა, თავად რაებს ჩავდივართ. თავად მე, საკუთარი უღონობის, ბოლმისა და მიუგვარებელი მტრობის გამო გაბოროტებული, საკუთარი სისხლისა და ხორცის, ჩემი უსაყვარლესი მამიდა ხადიჟათის ნაშობი მამიდაშვილების, საკუთარი, სტუმრად მოსული სისხლისმიერი ძმების ამონყვეტას ვაპირებდი და ასე ადვილად ვიმეტებდი სასიკვდილოდ.

ჩემი ცოდვებისაგან დამახინჯებული სახის დანახვით შეტრწუნებული, რომელიც გაცილებით საშინლად და შემზარავად გამოიყურებოდა, ვიდრე ნურ მუჰჰამად ბანის მიერ მათრახით გადახეტილი სახე და გამოთხრილი თვალი, ჩემს ჩაბნელებულ სახლში შეგვრუნდი, ყოვლადმონყალე ალლაჰის წინაშე დავემხე, სუდჯუდი შევასრულე და დუჰა აღვავლინე. შევთხოვე მაღალ ღმერთს, წყეული შაითანისგან მოვლენილი ბოროტი აზრები განეგდო ჩემგან. ამის მიუხედავად, ცოდვიანი სულის გამო, ჩემთვის განკუთვნილი რისხვა და შურისძიების წყურვილი არაფრით მტოვებდა. როგორც ყოველთვის, ასეთ დროს შერჩენილი ცალი თვალთ ძველ, კიდევებშიმოდენილ თურქმანულ ხალიჩაზე ჩამოკიდებული ჩემი საყვარელი, მორყეულქარქაშიანი ხმალი მოვძებნე და უკანასკნელ, ყველაზე უტყუარ იმედს შევებით შევხედე. სირცხვილისა და დარდის შეგრძნებამ შურისძიების წყურვილი კიდევ უფრო გამიმძაფრა. „აბა, რაებს ვაკეთებ?.. — გავიფიქრე — თავადვე ვდებ ჩემს მტერთან ანგარიშსწორების დღეს და თან, ამის გამო, საკუთარი თავის მაგივრად ყველაზე ვბრაზობ და ყველაში ეჭვი შემაქვს. არა... იმ ძალიან შვილის და ჩემი მამიდაშვილების ყიშლალის გარშემო ნონიალი ხელს არ მომცემს. რაკიცი, როდის გამოვა ყიშლალ-იდან, ან საშინელი გამოვა თუ არა?.. ასე, მართლა ისარს თუ გამოვტყუებ ვინმეს მანანალა ყურყვითელა ტურასავით, რომელიც დაჭრილ, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალ, ძლიერ ნადირთან ზედ მისვლას ვერ ბედავს და გარშემო უფლის, ელოდება, სული როდის ამოხდება, რომ მერე ბინძური ჰარამი, მურდლად მკვდარი ლეში შეთქვლიფოს. ასე დაბოლმილი და გაბოროტებული მთელ სამყაროს ჩემს მოსისხლე მტრებზე დავიგულე. სიძულვილით დაბრმავებული ველარასდროს გავარჩევ მტრსა და მოყვარეს, ავსა და კარგს, კეთილსა და ბოროტს, ჯოყოხეთსა და სამოთხეს, თავუთსა და მადლს!..“

ამ ფიქრებით გატანჯული დიდხანს ამოად ვცდილობდი თვალის მოცუებას. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი ცოდვილი აზრებით შეწუხებულს ჩამეძინა.

ჩამეძინა და საოცარი, საშინელი და ადამიანის გონების ნამლები სიზმარი მე-სიზმრა — ვითომ ჩვენი მშობლიური ყივი-აღეთის ტრამალებში სანადიროდ გავედი. იქ კანჯრების, საიგაკების და ჯვირანების აურაცხელ ჯოგებს გადავყავარ. ისარი ისარზე შეეტყორცე. იმდენი იყვნენ, თითქოს დამიზნებაც არ უნდა დამჭირებოდა, მაგრამ ყველა ნასროლი გავაცუდე. ნადირის მრავალრიცხოვანი ჯოგი დაფრთხა და შლიგინით დაემვა სამხრეთით. მაღალი ბალახი მხრისთავამდე უწევდა. გავოცდი, გამიკვირდა ჩემი მარცხი და ხელის მოცარვა, არც ისეთი ცუდი მოისარი ვიყავი და მშვილდიც რიგისანი მქონდა. გული დამწყდა, განვრისხდი და გაბრაზებული წყნებით მივყევი უკან დამფრთხალ ნადირის ჯოგს. დევნილებიც და მდევარიც ველური მონღოლები მთრადნარეულ, ერთ დროს ბედნიერ და მდიდარ ქალაქ ნისას გავცდი, რომელიც უდაბნოს ქვიშით დაფარულიყო და ქარდაკრული უდაბნოს ქვიშის ბარხანები ზღვის ტალღებივით გადასდიოდა და ფორმას იცვლიდა. კანჯრების საიგაკებისა და ჯვირანების ჯოგებმა სამხრეთისკენ წყალუხვ მდინარე ჯეიხუნისკენ განაგრძ-

ეს სრულია, თან ისე, რომ ჯერ დადგინდა არაფერი ეტყობოდა. ჩემი ავი, ბებერი ცხენიც ასეთივე სისწრაფით მიმაქროლებდა, თითქოს ფრთები გამოეხსო. ერთი ნაბიჯითაც არ ჩამოვრჩენილვართ, მაგრამ ვეღარც მივუახლოვდით მსხვერპლს. ამ გაშმაგებულ სრულიაში ვითომ საქარავნე გზებს — სიგნალებს — ავცდიდი და ამხელა ნადირის ჯოგი თვალის დახამხამებაში გამოქრა. ისე გაუჩინარდნენ, ცამ უყო პირი თუ დედამინამ, ვეღარ გავიგე. პირველად აქ მიყო გულმა რეჩხი, სიზმარშივე არ მომეჩინა ეს ყველაფერი. თითქოს მავერანაპორის ორ დიდ მდინარეს შორის ოაზისებში ამოვყავი თავი, საიდანაც ერთ დროს ჩვენი დიდი წინაპრების, ჰუნების, მეფე ატილა და ირანის დასავლეთისკენ, სადაც ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ხალხი და ქვეყანა დაიპყრო და ბოლოს დიდი ჰუნგარეთის მინამდე მიაღწია. მცოდნე ხალხი, ბრძენი სწავლებლები, მრავლისმნახველი მოგზაურები და ვაჭრები იუნყებიან, რომ იმ ადგილებში დღემდეა ჩვენი, ყოვლადღეობის, დასახლების ულუსები — დიდი და მცირე კუმანია. ახლა კისე ჩანდა, რომ ამ ამწვანებულ, ულამაზეს, მაგრამ მიტოვებულ, უკაცურ ოაზისებში ყველაზე გამოცდილ მექარავნებს, უდაბნოს ყაჩაღებს — ამ შავ ავაზებს, ან მწყემს ქოთხუდასაც აღარ შემოუდგამს აქ ფეხი.

არადა, აქაურობა ისეთი თვალწარმტაცია და მშვენიერი იყო, რომ ალტემულ სამოთხის ბაღებს ჰგავდა. თვით ჩემი ავი, ბებერი ცხენი არაფრამც კი გაოგნებული უყურებდა თავისი ქლიავისფერი ჭკვიანი თვალებით ამ მშვენიერ ნალკოტს და საკბუნდაც კი აღარ იწევდა. ჩიტების ჭიკჭიკს ანკარა წყაროს ჩუხჩუხი ერთვოდა.

წყაროსთან მივედი. ჯერ ცხენი დავარწყულე, როგორც წესია, მერე მეც დავიხარე წყაროსკენ და უცებ წყალში ჩემს ნაცვლად შემზარავი ავი სული დავინახე — წყეული მანგუსი — რომელსაც შემზარავად ანთებული, სისხლისფერი თვალები ეჯდა და მხინჯ სახეზე, წითელი ღია ღრები ღამებში გამომსჩროდა და სანამ მის ღრებზე წამოგებულ ადამიანის ხორცებს დავინახავდი, რომლითაც ის იკვებებოდა, ანკარა წყარო უცებ ჩამუქდა, მყარ ზეთოვან ჭაობად იქცა და ჩემი გამოსახულებაც გაქრა. გაოგნებული და შედარწმუნებული წამოვბედი. საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, გრიგალმა გახრწნილი მკვდრების გულისამრევი მოტკობ სუნი მოიტანა. გარშემო ნამში ჩამოხნულა და სანამ ყოვლადმოწყალებულ ალლაჰს შევლასა და ხსნას ან უკანასკნელი ცოდვების მიტევებას შევთხოვდი და გული წამივიდოდა, ჩემმა ერთგულმა ცხენმა მოულოდნელად ბეჭებშია ბასრი დამასკური იატაკი ჩამცა და იმ შავ, ამყარებულ ჭაობში თავით გადაამიშვა, სულ ცოტა ხნის წინ ანკარა წყარო რომ იყო და საიდანაც ჩემმა ცხენმა წყურვილი მოიკლა, მე კი ვეღარ მოვახსარი.

ვიფიქრე, აი, აქ კი ნამდვილად მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე-მეთქი და გულში „უკანასკნელი ლოცვა“ წავიკითხე. თუმცა, ჩემმა გასაკვირად, მალე აღმოვაჩინე, რომ ამ ბნელ, უკუნ ჭაობშიც თავისუფლად ვსუნთქავდი. შემდეგ ჭაობშიც კვლავ ფერი იცვალა და ისევ ანკარა, გამჭვირვალე წყაროდ გადაიქცა. მხოლოდ რაღაც არაჩვეულებრივი, უჩვეულო, მოლურჯო ცისფერი დაჰკრავდა იქაურობას. უზარმაზარი სივრცე გადაიშალა, სადაც ყველაფერი ჯადოსნური, გამჭვირვალე, უცნაური იისფერი შუქით იყო გაჩახჩახებული. ამ უცხო სილამაზის მიუხედავად, უეცრად საშინელმა ძრწოლამ ამიტანა და მთელი ძალით, თავგანწირვით, ვცადე უკან, ზედაპირზე, ამოვიხიზნა. თან ჩემს ცხენზე ვიყავი გაცოფებული, ტყავი უნდა გავაძრო-მეთქი, ვფიქრობდი. ცნობისნადილი მკლავდა, გამეგო, მან მაინც როგორ გამიმეტა სასიკვდილოდ, რისთვის, რა დაუზღვევ ასეთი, რომ ბეჭებში იატაკი ჩამცა და სასიკვდილოდ გამიმეტა?.. არადა, ჩემმა გასაკვირად, ჭრილობა სრულიად არ მტკიოდა და არც ბეჭებში გარჭმული იატაკი მანუხებდა. მისი ძვლის ვადა ისე ბუნებრივად მქონდა ამოჩრდილი, თითქოს მასთან ერთად დავბადებულიყავი. მთელი ძალით ვიქნევიდი ხელ-ფეხს, რომ ამომეცურა, მაგრამ მალე მივხვდი, ადგილიდანაც ვერ ვიძვროდი, სულ ტყუილად ვფართხალებდი და უფრო

შემეშინდა. დაფეთებულმა მიმოვიხედე, გარშემო უნით აუნერული სამყარო გადამეშალა — ნაირგვარი, მრავალფეროვანი, ულამაზესი თევზები, უცნაური ზღაპრული არსებები, რომლებიც მანამდე არამართო ნანახი არა მყავდა, წარმოდგენაც კი არ მქონდა მათი არსებობის შესახებ და არც ჰგავდნენ დედამიწის მკვიდრებს.

თან დავეფეთე და თან ცნობისმოყვარეობამ ამიტანა. ვეღარ გავიგე, ჩემს თავს რა ხდებოდა. აღსასრულის კართან მოვხვდი თუ სამოთხის კარზე, გამხარებოდა თუ შემშინებოდა.

უცებ უზარმაზარი, უმდიდრესი, სასახლის წინ აღმოვჩნდი, რომელიც ისე იყო მოოჭვილი ძვირფასი ქვებით, რომ ცეცხლივით ელავდა და მზერას თუ არ აარიდებდი, თვალებს გჭრიდა და გაბრმავებდა. მე თუ კიდევ დაბრმავება მინდოდა ამ ბრუციანსა და ცალთვალას.

ვიდექი გაოგნებული. ვუყურებდი და შიშისა და გაკვირვებისგან ხმას ვერ ვიღებდი. ისიც კი ვერ მოვახერხე, რომ არსთა გამრიგის, ქვესკნელისა და ზესკნელის, ყოველივეს შემოქმედი ყოვლადმოწყალებულმა ჰის სახელი მეხსენებინა, მისთვის მიმეძვინათა და შემწეობა მეთხოვა.

ახლა რომ გამახსენდა და გონს მოვეგე, კი დავაპირე სუდჯუდის გაკეთება და დუაჰს აღავლენა, მაგრამ ვერ მოვახერხე, წყალმა არ გამიშვა, თითქოს უხილავი საცეცებით ვეჭირე ფეხზე და უფლისადმი თავყანისცემის საშუალებას არ მძლევდა.

ახე ვიდექი ამ საოცარი, წარმტაც, სასახლის შეპყრობილივით ეგრე მონუსხული და მხოლოდ ახლა მივხვდი მე უბედური, რომ ახალ ხათაბალაში გავეხი, წყალქვეშა სამეფოში ამოვყავი თავი და კიდევ ერთი დიდი განსაცდელი მელოდა. ამავე დროს ამხელა ბრწყინვალე სასახლე ისეთი მსუბუქი და ჰაეროვანი იყო, თითქოს ცხიანციის ხალხის მხრიდან ხატათის ქვეყნებიდან ჩამოტანილი უთხელები ქაღალდისგან ან უძვირფასესი აბრეშუმისგან აუგიათო. ჭეშმარიტად ამ სრასახლის ამშენებელი უსტაღ დედის მუცლიდან არ უნდა ყოფილიყო მოზილი.

ავაზასავით ფრთხილად, ფეხაკრეფით, შევავიჯე სასახლის სანახებში, სადაც თურგაუდებდა და ჩაუშვებდა უცნაური აღნაგობის მომწვანო ხელიკის თუ თევზის მსგავსი ქერცლებითა თუ ფარფლებით დაფარული არსებები იდგნა. მე მათ მხოლოდ წელამდე თუ ვწვდებოდი, ჩემზე დიდი აფთები ეჭირათ ხელში და, მიუხედავად წყალქვეშა დინებებისა, რომელიც ყველაფერს ამოძრავებდა — წყალმცენარეებს, თევზებს და სხვა არსებებს, ეს არსებები რაღაცნაირად ახერხებდნენ გაუნძლეველად დგომას.

ჩემთვის ზედაც არ შემოხედავთ, არც ვინაობა უკითხავთ, თითქოს მელოდნენო. მეც ნელ-ნელა დავძლიე მორიდება და შიში, გავთამამდი და ისე მივაბიჯებდი ამ უცნაური და უძვირფასესი სასახლის დერეფნებში, თითქოს მართლაც დიდი ხნის დაპატიჟებული ვიყავი და უმაღლესი ხაკანის ნაწყალობევი და ყოველგვარი ხიფათისგან დამცავი ოქროს ფაიაზა ხელთ მეპყრა.

მოულოდნელად ერთ უზარმაზარ დარბაზში შევაბიჯე, რომელიც თითქმის ცარიელი იყო, თუ რამდენიმე გზააბნეულ ფერად-ფერად თევზსა და ერთ მოხუცებულ, უზარმაზარ რვაფეხასაც არ ჩავთლიდით, რომელიც თავისთვის თვლემდა და, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ მთელი გემის გადასახსნელა შეძლო, რატომღაც არც მისი შემშინებია.

დარბაზის შუაგულში უზარმაზარი სამფეხა ბაჯალლო ოქროს ტახტი იდგა. ბაჯალლო ოქროს სამფეხა ტახტს ორი უკანა ფეხი ლომის ტორისა და თევზის კუდისა ჰქონდა, წინა — ყველაზე დიდი კი — ორკაპა ჩლიქისა. სწორედ იმ საივკის თუ ჯეირანის ჩლიქების მსგავსი, რომლებზე ნადირობამაც წყალუხვი სეიხუნისა და ჯეიხუნის შუამდინარეთში, ყარაგაჩის ხეივანით დაფარულ ოაზისში, შემიტყუა, საიდანაც საკუთარი ცხენისაგან ნალაშატევა და სასიკვდილოდ განწირულმა ამ ზღაპრულ, იდუმალ და უცნაურ ადგილას ამოვყავი თავი, სადაც ალბათ სამუდამო ტყვეობა ან უცილობელი დაღუპვა მელოდა.

მთლიანი ოქროს ტახტი აურაცხელი ძვირფასი ქვებითა და თვალ-მარგალიტით იყო მოოჭვილი. უამრავი იავუნდით, ლა-

ლით, ალმასით, ფირუზითა და ზურმუხტით იყო შემკული. დათვლა ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც ზაფხულის მონმენდილ ცაზე უთვალავი ვარსკვლავისა. ეს ოქროს ტახტი, რაიმე მანქანების ძალითა და ჯადოქრობით, წყლის ზედაპირზე და მერე იქიდან დედამიწაზე რომ გადამეტანა, სამყაროს უმდიდრესი, უძლიერესი და უდიდესი მბრძანებელი შევიქნებოდი, თვით დიდი ისკანდერ ზულ-კარნაიანიც კი ვეღარ შემედრებოდა და უბრალო სარდალად დამიდგებოდა. ამ წყალქვეშა საბრძანებლის სამეფო ტახტის ფასად სამი ჩვენნაირი სამყაროს ყიდვა შეიძლებოდა ხატაეთიდან ვარანგისტანამდე და მამრიყიდან მალრიბამდე თავისი ბაღადის სახალიფოთი, ხორეზმის, ერანისა და არაერანის, გურჯისტანის, რუმის სასულთნოებით, მეგვიპტითა და ნუბით. თუმცა, სამწუხაროდ, ეს წარმოსახვითაც კი შეუძლებელი იყო, არამც თუ ქმედებით, მით უფრო, რომ ამ ტახტზე თავად წყალქვეშ სამეფოს სულთანი და მბრძანებელი მორჩილი განისვენებდა.

საკმატო მანძილზე გავუჩერდი და თავყანი ვეცი მის უმაღლესობას როგორც სტუმარ-მასპინძლობის, ზრდილობისა და თავაზიანობის წესი მოითხოვდა... უცნაური ის იყო, რომ ამჯერად აღარ გამჭირვებია წელში მოხრა და თავყანისცემა, როგორც მაშინ, როდესაც მაღალი ალლაჰის წინაშე მინდოდა სუდჯუდის გაკეთება და დუაჰს აღავლენა უფლისადმი თავყანისცემის ნიშნად.

წყალქვეშა სამეფოს მბრძანებელი თავის მაღალი ტახტიდან ყურადღებით მიყურებდა. მერე ღირსმყო და ხელით ახლოს მიმიხმო. მეც მივუახლოვდი აქაურობის მბრძანებელს და პირდაპირ გავუმართე მზერა. ცოტა ხანს მდუმარედ ვუყურეთ ერთმანეთს, იმან თავისი ორი და მე ჩემი ცალი თვალით.

ამ ჯადოსნურ, თვალუწვდენელ, წყალქვეშ სამყაროს მბრძანებელი ახალგაზრდა, დაახლოებით ჩემხელა, ბიჭი აღმოჩნდა. გამიკვირდა. აქაურობის პატრონად და ხელმწიფედ ყველას ველოდი — წყლის კაცს, ჯინს, ჰიფრიტს, გველეშაპს, ჯერ თვალთ უნახავ, უცნობ და უცნაურ არსებებს, გარშემო რომ დაცურავდნენ, მაგრამ არა ჩემხელა, მარტოდ მყოფ, ბიჭს. უცხო და უჩვეულოდ კი ეცვა, მასეთი სამოთხის მანამდე არსად მენახა. თან მიუხედავად იმისა, რომ უზომო, აუარებელ და განუსაზღვრელ სიმდიდრეს ფლობდა, ერთი სამკაულიც კი არ ეკეთა, თუ არ ჩავთვლით მარცხენა ხელის არათითზე მზის ქვეშ მწოლიარე შავი მგლისგამოსახულებიან ვერცხლის ბეჭედს ცხრა ვარსკვლავით. გერგვინიც კი არ ედგა თავზე. დაკვირვებით მიყურებდა.

ვუყურებდი ჩემი ცალი თვალით. ჩვეულებრივი ჩემხელა ბიჭი იყო. არანაირი ფარფლები, ეშვები და საცეცები. მე უფრო უცნაურად გამოვიყურებოდი ბეჭებშია ჩასობილი იატაკგანით. საკუთარი თანაშემზრდილი ბებერი ცხენი რომ იატაკანს გაგიყრის ლალატი ბეჭებში, ამაზე უცნაური რომელი ჯინი, რვაფეხა, ან დევილა უნდა ყოფილიყო?! ჩვეულებრივი ბიჭი იყო, იმდენად ჩვეულებრივი, რომ სწორედ ამ ჩვეულებრივობით იყო არაჩვეულებრივი ამხელა ზღაპრულ სამყაროში. ასე არხეინად და ჩვეულებრივად იყო ნამომჯდარი მთელი სამი დუნის ფას წყალქვეშა სამყაროს სამეფო ტახტზე.

ძალიან უცნაურადაც ეცვა. უცნაური, უცხო ქსოვილის პერანგი წინ, გულზე, ჩაეღება და მკლავებზე კი თითქმის მხრებამდე დაეკაპინებინა.

მიყურებდა და ცალყბად, თითქოს დამცინავად, მიღიმოდა ხშირ შავ, ალაგ-ალაგ მონითალო წვერებში.

— მოდი აქ. მოდი, აბა. რას დადიხარ, რა არ გასვენებს? რას დაძრწინებ მშიერი მგელივით? — მკითხა წყალქვეშ სამეფოს მბრძანებელმა, თუმცა, არც მიმართვა და არ საქციელი მბრძანებლის, სულთნის, ან თუნდაც ხანისას არაფრით მიუგავდა, — რა გინდა, სიიდან მოსულხარ და აქ რამ მოგიყვანა?..

მე მაინც მოკრძალებულად წარსვდექი მის წინაშე, პატივისცემის ნიშნად გულზე ხელები დავიკრიფე და მოვახსენე:

— ჰოი, სამყაროს ყიბლა, ჩემი ამბავი ისეთია, მსმენელის გონებას წარიტაცებს და ღირსი, ადამიანმა თვალთა ქუთუთოებზე ამოიქარგოს, — თავმოდრეკილი

ვსაუბრობდი, თუმცა ცალ თვალს მაინც არ ვაცილებდი, რადგან მისმა უცნაურმა სამოსმა და მეტყველებამ ეჭვებში ჩამაგდო. თითქოს ადამიანი იყო, მაგრამ მაინც არა ჰგავდა ადამის ძეს...

— ყიბლაცა ხარ და შიბლაც... ვინაა, ბიჭო, შენი ყიბლა?.. ყიბლა მამაშენია! — უხეშად გამანყვეტიანა წყალქვეშ სამეფოს მბრძანებელმა, — თითქოს გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვებს ისე აბრუნებდა, ბევრი რამე მაინც არ მესმოდა. თუმცა იმას კი მივხვდი, რომ შეურაცხყო და ჩემი ცხონებული, უბედური და კეთილშობილი თეთრწვერა მამაც სრულიად დაუმსახურებლად მოიხსენია ასე ავღებულად და უდიერად. გული სამართლიანი რისხვით ამევსო, რადგან მართო სულთანისა და ფადიშაჰისათვის კი არა, უბრალო ფეხშიშველა ფელახისთვისაც კი შეუფერებლად იქცეოდა. ამჯერად მაინც არა დამიშვებია რა ისეთი, ამხელა მბრძანებელს ასე უხეშად დაერღვია სტუმარ-მასპინძლობის წესი, — შენი ამბავიც კარგად ვიცი. ქალის გამო მაგარ კირუხში გაები ბოლო ფრაერივით და თვალზე წამოგთხარეს. რა არის მანდ გონების ნამდები, ლომკის მოსახსნელი, ტრანსში გასასვლელი და თვალზე ამოსასვირინგებელი? ისე კი, ახლა ძალიან მოდამი შემოიღეს ეს ნაკოლკები, ოღონდ სვეცკად ტატუს ეძახიან... ქალი ყოველთვის ქალია, ჩემი ძმა, ადამ და ევა-დად მოყოლებული... რაც ქალის გამო კაცი განწყვეტილა და კიდევაც განწყვედა, — მიყურებდა ისევე ისე დამცინავად, თან სახეზე ეშმაკური ღიმილი არ სცილდებოდა. გული ცუდად, ცივად მომეწურა, მან კი არხეინად განაგრძო, — იცოდე, ქალი ყოველთვის და ყველგან ქალი იყო, არის და იქნება. ქალი დედამიწის, სამყაროს, ღერძია უმაღლეს არსებად მოვლენილი არსთა გამრიგეს მიერ. ამავე დროს, ან იქნებ სწორედ მაგისტომაც, როგორც ერთი თქვენი მართლმორწმუნე მუსლიმი, ოღონდ შიას მიმდევარი, პოეტი და შაჰინ-შაჰი ამბობდა: „ქალი შაითნის წარბია და ილბისის მახვილი“... მაგ შაჰინ-შაჰმა მერე, თავისი პოეტობის მიუხედავად, ნახევარი გურჯისტანი გადაწვა და გადაასახლა, ვიდრე გამწარებულმა და აქა-იქა შემორჩენილმა გურჯებმა ხმლები არ იშოშვლეს, წრომისა, კასპისა და სამთავისის საყდრის კედლებზე არ დაღესენ, რომ თავისი ისას და წმინდა გიორგის მაღლი და წყალობა თან გაეყოლებინათ, იქვე არ დაღესენ ქარქაშები, რომ ხმლები აღარასოდეს ჩაეგოთ და მარტის თვიდან ივლისამდე იმ პოეტ და სისხლისმსმელ შაჰინ-შაჰს ნახევარი ჯარი არ ამოუნყვიებლ.

სმენად ვიქეცი. ყურადღებით ვუსმენდი, მაგრამ თითქმის ვერაფერს ვიგებდი, ვინ შიიტი პოეტი და შაჰინ-შაჰი, ქალი დედამიწის მაღლია თუ შაითნის წარბი, ვინ ველური და გაივური გურჯები, უკვე ამომწყვეტილები, თავიანთი სალოცავი საყდრის კედლებზე ხმლებს რომ ცხავავენ. სულ უფრო და უფრო მეუცხოვებოდა და არ მომწონდა ეს ყველაფერი, არც ეს წყალქვეშ სამყაროს სულთნად მოვლენილი ბიჭი და ძალიან ავი ზრახვებიც მიპყრობდა.

— ქალბო და ქალების ისტორიები ჩემს საგვარეულო დინასტიაში უნდა გენახა შენ, — წყალქვეშ სამყაროს მბრძანებელი მხიარულად შესწორდა და თავის უძვირფასეს ოქროს ტახტზე კარგად მოეწყო და ნახევრად წამოწოლილმა მხიარულად განაგრძო — ეტყობოდა, საკმაოდ ენანწყლიანი უნდა ყოფილიყო წყალქვეშ სულთნის კვალბაზე, — ქალბო ჩვენს მოდგმაში არავის უკვირს, სულკურთხეულ და წმინდანთასწორ მამაჩემ ჯემალ ედდინს იმდენი ქალი ჰყავდა თავის ჰარამხანაში, რომ თავსა და ბოლოს ვეღარ იგებდა და სიამაყით ბრძანებდა: „მთელი წყალქვეშ სამყაროს სიძე ვარ, სულთნობას რომ თავი დავანებოთო...“ შენს საწყალ და წესიერ მამა ჯემალ ედდინს კი არ ჰგავდა. თუმცა სწორედ მაგ ქალბო მოუღეს ბოლო და აკერ უკვე მეოცე წელია, მარჯნის ფსკერზე საგვარეულო აკლდამი განისვენებს. უყვარდათ კი. რომ გარდაიცვალა, თავისი საკუთარი ცოლები გარდა, მთელი ზღვებისა და ოკეანეების სირინოზები, ქალთეებები და დედალი თეთრი ზვიგენები სულ ცხარე ცრემლებით დასტორდნენ და მშ-ლამიანი გლოვა გამოაცხადეს.



ლელა  
ლაგაზიძე

**ქარს**

მოხვედი ჩემთან  
ბავშვობის მონატრებული კუნძულიდან.  
მთრთოლვარე თითებით,  
მინდვრის სურნელით  
დამიამე გულისტკივილი.  
ლელავენ შენს მკლავებზე  
ჭადრის ხეები...  
თითქოს იდუმალს მიანიშნებ  
დათრგუნულ ქალაქს.  
არ მეჩურჩულო.  
ზღვებზე, შორ გზებზე.  
შენ მომიყვები ტყისპირა სახლზე,  
სადაც სიძულვილისთვის ვერ იცლიან.  
სიყვარულია საზრუნავი.  
უვლიან ნექტრით დატვირთულ  
ფუტკრებს,  
მზესუმზირას ყვავილის ბაღებს.  
კრეფენ ზამთრისთვის  
ცაცხვსა და პიტნას,  
დიასახლისი ჩირად აშრობს  
მზისგან ჩამტკბარ ხილს.  
ბავშვები თავს ევლებიან  
ზღარბს და მინდვრის კუს.  
მამის გათიბული  
ბალახის სუნითაა გაჟღერებული  
ძველი კედლები.  
იქ მოლოდინს  
უბრალო სამოსი აცვია,  
იმედის მძივით შემკული.  
მზის ჩასვლისას  
სარკმელზე უვინყარას ყვავილები  
ხუჭავენ თვალებს.  
მთვლემარე სახლში  
მღერიან ჩუმად  
კეთილი სიზმრები...

**სანათო მიტევების**

დანინკლულია  
ეკლესიის კედლები სანთლით.  
მთვარის სხივი  
დაღვრია შენს ხატს, ღვთისმშობელს,  
თაყვანს სცემენ  
შენს ძეს მწყემსები,  
ბუუტავენ ცაზე ვარსკვლავები...  
სანათო მიტევების,  
წმინდაო მარიამ,  
დაუცველი, ქარში ყვავილივით,  
შეგთხოვ შემწეობას.  
დამალა ხან ნათლის,  
ხან ბინდის მინდორზე სიარულმა,  
ტკივილით დაფურცლილმა  
დღეების ჩურჩულმა.  
ცის დედოფალო,  
გამინათე, გული, ცოდვით დაბურული,  
როგორც მთვარე ანათებს ზღვის ფსკერს,  
ადამიანის სულივით იდუმალს,  
ღვთაებრივი სხივით მოფენილს...

**გაზაფხულობით**

გაზაფხულობით იხსნება ზეცა.  
ანგელოზებს მოაქვთ ფრთებით  
ზეციური სანთლების შუქი.

დათალხულ მინას  
ყვავილების უცისფრესი  
ლიმილით რთავენ.  
აბრწყინებენ ქვასა და ფოთოლს.  
აკმევენ ირგვლივ  
საამო სურნელს  
და ვიცი გულსაც,  
მონატრებით შემორკალულს,  
სულს მომლოდინეს.  
კვირტივით გაშლის  
გაზაფხული – მშვენიერი შეყვარებული.  
იმღერებს ისევ მაისის წვიმა  
მაგიურ მოტივს.  
გაირინდება მერე ჩემს მხრებზე,  
თითქოს კუნელის თეთრ რტოებზე  
ჩამოფრინდნენ მინდვრის ჩიტები...

**მარტოობა**

ცხოვრობდა მარტო  
წიგნის ფურცლებში მივიწყებული  
ყვავილივით.  
მოგონებების  
ნისლის კარავს შეფარებული.  
უმზერდა შორით  
ცოდვის ქარავანს,  
მონკრიალეს ცდუნების ეჟენით.  
ზამთრის ღამეთა  
განელილ  
მწუხრში  
ქარგავდა „წმინდა სერობას“ კრძალვით.  
გაზაფხულობით  
სარკმელს უხსნიდა ბებერი ცაცხვი.  
ავსებდა ოთახს  
სურნელოვანი ოქროსფერი მტვრით.  
გამოკეტავდა სევდას  
ფიქრის ძველ გალიაში.  
მიდიოდა ქალაქგარეთ,  
სურდა გაეგო,  
რას ყვებოდნენ უცისფრეს ცაზე  
ბალახის ძირში მოციმციმე  
წვეთები წვიმის...

**\*\*\***

ახალგაზრდობას ჩაუვლია  
მატარებლის სარკმლიდან  
წამით თვალმოკრული,  
ვარდისფერი ატმის ხესავით.  
ახლა, სულში ტირის  
სინანულის სიმი...  
ხსოვნა ფიქრის  
თითისტარზეა დართული.  
დღეები ჭია-მაიას ფრთებივით  
ძონით, გიშრით მოხატული,  
წყლის პროშანებივით  
მოქათქათე ღრუბლებს  
მონატრების საკმეველად გაყოლილი...

**ათასწრთიანი ჩიტი**

ისე თენდება,  
იფიქრებ ნიმფებს  
დაედვარათ რძით საცხე სათლი...

ესტუმრა ჩემს ბაღს  
ცის ფიქრი – ქარი.  
ათასწრთიანი ჩიტივით მოგალობე,  
ცეკვავენ მის ფრთებს  
მინდობილი პეპლები.  
ელავენ, ბიბინებენ  
ხვარტქალას ყვავილები.  
მოჰყვება ქარს ნისლი,  
ერთგული დობილი,  
მადლიერების ცრემლებად  
მინაზე დაფენილი.  
მიფანტავს მზერიდან ბინდს,  
სათნობის გზებს მიკვალავს,  
სიკეთით განათებულს,  
მიჰყვება ჩემი გულიც  
ქარივით სიმღერით დაღლილი...

**\*\*\***

ნეტა შენ,  
მინდვრის ასკილის ვარდო,  
აყვავდები და  
სილამაზით მოხიბლავ მზირალს.  
ნაილებს ქარი  
შენს თავსაბურავს,  
თეთრს, სიფრიფანას.  
არ უშინდები  
სოფლის წრებრუნვას.  
შემოდგომით,  
მარჯნის ცრემლად გადაქცეული,  
კვლავ სამკაულობ  
ფერმიხდილ მინას...

**უსათაურო**

მზის ჩასვლისას  
ვიხსნი სიყვარულის  
წკრიალს სამაჯურებს,  
როგორც შემოდგომა  
ხეთა ქარვის ვარჯებს...  
შემომესმება შენი შავი  
ფრთების შრიალი,  
მიყურდება  
სისხლი ძარღვებში.  
მერცხლის ბუდეებით  
მოფენილ სამრეკლოსთან  
დამრჩება ველის ყვავილებივით  
უბრალო ლექსები,  
სილამაზით, სიკეთით საცხე  
სამყაროს სახსოვარი...  
ჩემი გრძნობები კი  
შემოდგომის წვიმებთან ერთად  
იხეტილებენ უკიდევანო ცის ქვეშ...

**მონატრება**

აყვავებული ვაშლი  
რტოებს ახლიდა სარკმელს.  
ჰგავდა ბალი  
სიყვარულის ტაძარს,  
მლოცველს – გაზაფხულის ქარი.  
ყურს ვუგდებდი  
შენი გულის ხმას,  
თითქოს მიხმობდა  
ტკბილი ძახილი,  
მინაზე დაფენილი ყვავილივით  
მკრთომარეს...  
...ის ნუთებიც ჩაცურდა  
დროის გრძნულ ყულაბაში...  
როგორც გადამფრენ ჩიტებს  
სამხრეთის მზის სითბო,  
ისე შერჩა სულს  
მათი მონატრება...

**გომოჯი**

ხეთა ჩრდილებით  
დაბინდულ ქუჩას  
ეფინებთან გულუბრყვილო განთიადივით...  
გულიან კისკისზე  
ცისკენ მიფრინავენ მტრედები.  
ხარობენ ძველი მოდგმის შვილები.  
ჯერ მათთვის სიცოცხლე  
სიყვარულის, დილასავით ნათელი.  
ღმერთო, დაიფარე  
სიყვარულით საცხე,  
ოცნებით მბრწყინავი თვალები.  
არიდე ლალატს და ტკივილს.  
უბოძე სათნობა,  
სიბრძნის მადლი.  
ისინი დგანან უკვდავების  
წყაროს სათავესთან  
ქართული ჯიშის მაცოცხლებლები...



\*\*\*

დილის ლოცვასავითაა, —  
შარაზე რომ საქონელი ჩამოვიღის,  
ზარების წკარუნით...

\*\*\*

შენ არ გინახავს გაჭირვება  
და არ იცი, რა არის ომი, —  
ყანაში მდგომი, ალილუიასავით იმეორებდა  
სიავის ცოლი...  
და წინა ღამით მოპარული  
სიმინდის ჭყინტი ტაროებიც,  
მხოლოდ ჩემსავე სასაკურთხედ ემეტებოდა...  
შენც უნდა გენახა გაჭირვება და მიხვდებოდი,  
რა არის ომი, —  
ეს სიტყვებიც ხომ ალილუიასავით დავიხეპირე და...  
ვნახე ომიც,  
იმაზე დიდი დოზით, ვიდრე ამას წარმოიდგენდა  
სიავის ცოლი,  
მწარე ენის წვერით, სულ რომ სულში მიჩლირებდა...  
და ვნახე ომი,  
სიკვდილისფერი თვითმფრინავის  
ფრთებივით ლაპლაპა და უსახური,  
სოფლის წყაროსაც,  
ცასთან ერთად რომ აუგემურებს...  
მერე რომ სახლშიც ეღვიძებათ მძინარე ბავშვებს,  
მათთვის უცნობი აფეთქების უკეთურ ხმაზე,  
საბანს რომ თავზე იფარებენ და ქვავდებიან,  
საფლავის ბორცვივით,  
საიდანაც უსიცოცხლოდ გამოჩრილან მზეზე ნარბენი,  
გაკნაჭული ჩხიკვის ფეხები...  
მე ვნახე ომი  
და დავრჩი ასე, დაუსრულებელი ომის ჯარისკაცივით,  
დარდზე გაცვლილი  
და მოპარული სიმინდის ფუჩივით სუნთქვადალილი,  
და დღემდე ვცდილობ ალილუიასავით დაზეპირებული  
სიტყვების დაიწყებას,  
და დღემდე ვცდილობ, —  
რადგან მეც ვინმეს უნებურად არ ვუჩილირო  
და არ დავამადლო  
გაკნაჭული ჩხიკვის ფეხებით მზეზე სირბილი.

\*\*\*

ჩემი სხეულის გამხმარი მინა,  
ჩემი სხეულის გამშრალი ნერწყვი,  
ჩემი სხეულის გამქრალი სივრცე  
და ის ბალახი, რაც წილად მერგო, —  
დაუკითხავად  
გაექცნენ ფერდობს...  
ჩემი სხეულის გამხმარი მინით,  
ჩემი სხეულის გამშრალი ნერწყვით,  
ჩემი სხეულის გამქრალი სივრცით  
და იმ ბალახით, რაც წილად მერგო, —  
ახლა,  
მერცხალი იშენებს ბუდეს...

\*\*\*

დავეძებ მთვარეს,  
არსად არის კაცის ჭაჭანი...  
მარტოა ღამეც, —  
ამომშრალი თვალის ჭასავით...

\*\*\*

ქველ, მტვრიან ხვირში,  
ხელმეორედ დავიბადე  
და დავიწყე სიცოცხლის ათვლა,  
როცა დღეებმა გადაამისხეს  
ძახველის სისხლი  
და წვიმის წვეთი,  
ნაცრისფერი წვეთოვანივით  
დამკიდეს თავთან...

\*\*\*

მოგონება რომ გაიტრუნება,  
მამაჩემის ხაკისფერ პალტოს  
გრძელ სახელოში  
გახვეული კატის კნუტივით,  
მე დავწერ წვიმაზე...  
და შენ მიხვდები, თუ რატომ მიყვარს  
ბებური ყავრის ხავსიან მკერდზე  
წვიმის ხმაური...

\*\*\*

როცა ტკივილები სულსაც აწვებიან,  
მერე რა მოხდა, თუ — დავმორჩილდი...  
ღამე ხომ მოვტაცე ქუჩას ნაძვებიანს,  
ღამე — ილიაში ამოჩრილი...

\*\*\*

როგორც ჩვილ ბავშვს ატყუებენ სანოვარათი  
და ამშვიდებენ საჟღარუნო სათამაშოთი,



ბადრი სულაძე

მეც ისე ვართო მითოვებულ სახლს  
ქვაბებისა და ტაფების რახუნით, —  
და შეშის „ფეჩში“ გამომცხვარი  
პურის სუნით ვასულიერებ,  
როგორც მამაჩემს,  
პურს რომ ვუცხოობდი და ისიც უბრად,  
მზის კვერცხიდან გამოჩეკილი სინანულით  
შემომყურებდა,  
რადგან იცოდა, რომ სულ მალე,  
ამ სიხარულსაც, კედლის სისველე,  
პურის სუნთან ერთად შეისრუტავდა  
და აივნიდან ძირს გადაღვრილ  
წყლის გუბებში,  
ჩალაშლაშებული ჩვილი ბავშვივით  
კვლავ დარჩებოდა ხის ძველი სახლი,  
რომელიც ტირის,  
მაშინაც კი, — როცა ცრემლს მალავს...

\*\*\*

ვერ დავიჯერე  
წუთისოფლის ამაოება  
და ჩასაქრობად  
განწირული ლადარივით  
სულს გიბერავდი...  
არ მიმატოვეს  
ჩუმი ლოცვის საღამოებმა  
და ისევ გიცდი,  
სააღდგომოდ შეკერილი  
ლურჯი პერანგით...

\*\*\*

ცოლისთვის,  
ალუბლის ყვავილებზე  
მეტი სურნელი აქვს  
ალუბლის ფოთლებს,  
წლებს მერე,  
ქმარი რომ დაუკრეფს, —  
პამიდვრის მწნილისთვის...

\*\*\*

ვარსკვლავებისგან დანინკული მდინარის ჩქერში,  
როცა ფიქრებიც მრავლდებიან კალმახებივით,  
რქადაგრეხილი ვერძებივით ბლავიან მთები  
და ერთხელ ნანახს, —  
თავისუფლების უწყვეტ ჰიმნად  
იმეორებენ:  
— აღარ მალავენ ეზოები  
შიშველ ყორეებს,  
არ უჯერებენ ხეებს, —  
სოფლის ციციკორეებს...  
მზის სხივებისგან დაჭორფლილი მსხლების კანივით,  
როცა სათქმელიც იჭორფლება ცხელი შხეფებით,  
თეთრი ცხენების ელვარებით მოჭკრიან გზები  
და ერთხელ ნანახს, —  
თავისუფლების უწყვეტ ჰიმნად  
იმეორებენ:  
— აღარ მალავენ ეზოები  
შიშველ ყორეებს,  
არ უჯერებენ ხეებს, —  
სოფლის ციციკორეებს...

\*\*\*

მეიმედება შემოდგომის  
ნისლის სამოსი,

სულ რომ გამიცვდა,  
მაგრამ მაინც —  
არ მიძველდებოდა...

\*\*\*

ტყესთან პირისპირ  
მარტო დავრჩი,  
როგორც მარჯი  
ლობის ლიობთან...  
ცა მილიმოდა,  
გზას კი ვატყობდი,  
ირმის ნახტომით,  
ბავშვობას რომ  
მიახლოვდა...  
და მე ვიგრძენი,  
როგორ გახდა  
ზეცა რძისფერი...

\*\*\*

სევდამ მასწავლა,  
ცისთვის ღამე როგორ მეთია,  
სევდამ, რომელიც  
თითზე შემშრალი,  
დედის ცრემლის  
ბოლო წვეთია...

\*\*\*

მე დავდიოდი ბილიკ-ბილიკ, იესოსავით, —  
და დაკარგულ ცხვარს დავეძებდი გვიანობამდე,  
სანამ სამადლოდ პურის ყუას არ გავუყოფდი  
და სამშვიდობო სამყოფელსაც არ მივუჩენდი,  
ეკლებში გაბმულს...  
მე დავდიოდი ბილიკ-ბილიკ, იესოსავით, —  
რაც ადრიდანვე,  
სულ ადრიდანვე მარგუნეს წილად,  
ცომის პატარა გუნდებიდან  
გადმომხტარმა „ბიკიკებმა“, —  
ეს მაშინ, როცა ქვიშის პასკებს აღარ ვაცხოვობდი  
და დედაჩემის ნერვებს ვცდიდი  
ცომის გუნდებში ჩაწურთული ფქვილის თითებით...  
ეს მაშინ, როცა მოუთმენლად ველოდებოდი  
„ფეჩში“ გამომცხვარ ცომის ფიგურებს,  
მზისგან დასიცხულ ბეკეკებივით რომ  
ჩამწკრივდებოდნენ მაგიდის პირას  
და მეც მზრუნველად,  
თითების მეჩხერ საჩიხეში ვამყუდროვებდი,  
როგორც პატარა, კეთილი მწყემსი...  
მე დავდიოდი ბილიკ-ბილიკ, იესოსავით...

\*\*\*

ცხოვრებისაგან —  
დარდის თოკებად გაბმულ ფიქრებზე  
დედის ფერყვითელა ნაოჭები ჩამომსხდარან,  
როგორც ჩიტები, —  
ცაში ასაფრენად რომ ემზადებიან...

\*\*\*

როცა დანალმულ სივრცეებს ვითვლი  
და ფორიაქი მძლავრობს შტორმივით,  
ისევ მაცლებს ნითელი კვირტი,  
რტოდან სისხლივით გამოჟონილი...



ჰერტა მიულერის თავზარდამცემი მხატვრული სიმართლის საპირნონედ „რელსებიდან გადასულ დღევანდელ ჩვენს სამყაროში“ არა ბანალური ბოროტება (ეგ ეტაპი, მგონი, უკვე გავიარეთ), არამედ მისი ჰიბრიდული ნარმონაქმნი — რაფინირებული, თავისი ცინიკურობით დახვეწილი, ფეიკ-ტყუილი შეიძლება, მივიჩნიოთ. სწორედ ისეთი, როგორც სახელი გაითქვა იტალიელმა ჟურნალისტმა ტომასო დებენედეტიმ. მან, როგორც ვიცით, მიზანმიმართულად შექმნა ფეიკური ექსპონატი მთელი რიგი ცნობილი ადამიანების შესახებ, რითაც, მაგალითად, ბაშარ ასადისა და მისი მეუღლის გარდაცვალების გამოცხადების შემდეგ, ნავთის ფასების მომენტალური ზრდა გამოიწვია. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „გაყიდვადია“ არა კულტურის რეალური პრობლემები, არამედ მათ გარშემო ფუჭი ხმაური და შოუ, დებენედეტიმ კონკრეტული მოსაზრებებისა და თვით ტექსტების ფალსიფიცირებასა და ავტორთა მოსაზრებების ურთიერთჩანაცვლებას მიჰყო ხელი. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ სწორედ ამგვარი რეპუტაციის ფორმალისტმა, ანუ თვითდასაკმეებელმა ჟურნალისტმა, ჰერტა მიულერთან შეხვედრა და მისთვის რამდენიმე კითხვის დასმა ინაბრა. ეს საუკეთესო ილუსტრირებაა იმისა, რომ ტრადიციულად დაპირისპირებული ტყუილ-მართლის პოლარიზება სულ უფრო მოჩვენებითი ხდება.

და მაინც, რითი შეძლო არა მარტო მაშინ, არამედ დღესაც კი ფართო მკითხველის გარეშე დარჩენილმა რუმინეთში დაბადებულმა გერმანულენოვანმა მწერალმა ჰერტა მიულერმა (1953) თანამედროვეთა ერთი ნაწილის ყურადღების მიქცევა და კლასიკის, ფრანც კაფკას, ადენაუერის, დუბლინის პრესტიჟული პრემიების შემდეგ 2009 წლის ნობელის აღება? კომისიის არგუმენტაცია ასე ჟღერდა: გულსხმიერებისთვის პოეზიაში და გულწრფელობისთვის პროზაში უფლებობთა ცხოვრების აღწერის დროს.

ჰერტა მიულერი თითქმის ორი ათეული რომანის და უკანასკნელ პერიოდში გამოცემული ორი პოეტური კრებულის ავტორია. მეტიც, ვინც მის ტექსტებზე სერიოზულად იმუშავა (პირველ ყოვლისა, ეს, ცხადია, მთარგმნელია, მაგალითად, ფრანც ქრისტინ დელიუსი), მიიჩნევს, რომ მისი პროზაც პოეტის შექმნილია, ხოლო პოეზია კი — ვარიაციებია ენის თემაზე.

ასე რომ, ჩვენი ავტორის აქტუალობა განპირობებულია ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ცხოვრების უნიკალური გამოცდილებასთან ერთად ენისადმი სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულებითაც, რაც გამოარჩევს კიდევ მას ამავე თემაზე დაწერილი ზღვა ლიტერატურის შემქმნელებისგან. „წერას ვეღარ გაუძლებდი, ტექსტები ენის გამოგონილი სიმართლე მთავარი რომ არ იყო, ენისა, რომელშიც სილამაზე ტკივილის მომგვრელია“ — ამბობს ჰერტა მიულერი ინტერვიუს პრინციპით აგებულ რომანში „ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა“ (2014).

დაის, დიდი მწერალი, რომელ კონკრეტულ თემაზეც არ უნდა წერდეს იგი, მოუხელთებელია, რადგან სოციალური კონტექსტიდან სწორედ ენის საშუალებით გადის ისე, როგორც ეს, ვთქვათ, ანდრეი პლატონოვის შემთხვევაში იყო. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მწერლის მიერ წამოწეული თემისა და ენის ვირტუოზული სიმბოზი ხელოვნურად უნდა დავშალოთ და აქცენტი მხოლოდ მის ერთ შემადგენელზე გავაკეთოთ. „ენა არც ერთ დროებაში არ არის პოლიტიკური ნაკრძალი, რადგან მას ვერ გამოაცალკევებ იმ პოლიტიკური ქმედებებისგან, ერთი ადამიანი მეორის მიმართ რომ სჩადის“ — ესეც ჰერტა მიულერის მიერ მის ერთ-ერთ ესეში გამოთქმული მოსაზრებაა. მით უმეტეს დასაბანია, თუ მსგავსი ურთიერთგამიჯვნის სურვილი ტოტალიტარიზმისგან დაღდასმული ქვეყნის მწერალს უჩნდება (ვთქვათ, ასეთი: ჰერტა მიულერის სამოქალაქო პოზიცია მესამეხარისხოვანია იმასთან შედარებით, როგორ წერს და სხვა). თუმცა ამაზე ორიოდ სიტყვას ქვემოთაც ვიტყვით.

როგორც ჰერტა მიულერის პოეტური კრებულის ერთი მიმომხილველი წერდა,

იგი „კი არ ეძებს ენას კატასტროფის აღსაწერად, არამედ ახერხებს, ხელახლა გაათამაშოს კატასტროფა ენის საშუალებით“. ცხადია, ეს კარგად ჩანს ყველაზე გახმაურებულ ნიგნშიც „სუნთქვის საქანელა“ (სხვა თარგმანში „ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა“ — 2009; ქართულად გამოქვეყნდა 2015 წელს დონარა თოფურიას თარგმანით გამოცემლობა „სიესტას“ მიერ), რომელშიც ტოტალიტარიზმის მხატვრული რეცეფცია იმდენადაა გათანადოებული, რომ მკითხველს უჭირს კიდევ, ირწმუნოს მისთვის ასე თუ ისე ნაცნობ თემებზე ამგვარად წერის თვით შესაძლებლობა. თუმცა, თუ ჰერტა მიულერის ბიოგრაფიას გავეცნობთ (XX საუკუნის 50-იან წლებში რუმინეთის შვაბურ ბანაკში გატარებული ბავშვობა; მამა ფაშისტური SS-ის წევრი; ომის დამთავრების შემ-

ოსტალგია ეუფლება...“ რატომ?! ახსნა, რომელსაც მწერალი აგებს, გამანადგურებლად ჟღერს იმისთვისაც, ვინც, მართალია, მსგავს ბანაკში არასოდეს ყოფილა, მაგრამ სერიოზული ცხოვრებისეული ტრავმა კი მიუღია: „ის არის და რჩება შინაგანად გავლურებულ, ურთიერთობებისთვის გამოუსადეგარ ადამიანად...“ (ჩემი მეგობარი ოსკარი ნიგნიდან „ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა“). და იქვე: „ალარავინ უნდა ჩამებლაუჭოს, მიუნვლომელი ვარ თავმდაბლობისგან და არა სიამაყისგან“ — ეს უკვე მისი პიროვნული განცდა და ტრავმისგან დატოვებული წარუშლელი კვალაა. პოსტსაბჭოური, ჰერტა მიულერის შემთხვევაში კი, პოსტსოციალისტური ტრავმის შესახებ (მერე რა, რომ რუმინულად ხალხთა ბელადი „კონდუკატორად“ წარმოითქმის, რომ

## ნონა კუპრეიშვილი ჰერტა მიულერის ბანსანმდებელი

დედ რუსების მიერ სპეცბანაკში ხუთი წლით დეპორტირებული დედა; ტემეშვარის უნივერსიტეტში შექმნილი დისიდენტური ჯგუფის წევრობა; სეკურიტატედ წოდებული ჩაუშესკუს საიდუმლო პოლიციის დამორგუწველი ზენილა; ყოველ ახალ დაკითხვაზე, იმის შიშით, რომ დაგაპატიმრებენ, კბილის ჯაგრისით მისვლა; პირველი აღიარება 1984 წელს; ბერლინში გაგრძელებული დევნა და სხვა), დავინახავთ იმ კონფიგურაციას, რომელსაც ბელი თითქოს საგანგებოდ უქმნის იმთა, ვისაც ხშირად აზრად არცა აქვს, გახდეს მწერალი, თუმცა ხდება კი (ჰერტა ბავშვობაში ძროხებს მწყემსავდა, დედა კი ოცნებობდა, რომ იგი დეიდამისივით მკერავი გამხდარიყო). ისე მოხდა, რომ შრომა-გასწორების (ხომ კარგად ჟღერს — ნ.კ.) ბანაკებში ეგრეთ წოდებული „გაძვალტყავების“ ხანა, შემდეგ თავად მწერალმა „მოპარული არსებობაც“ რომ უნდა, გაიარა არა მარტო დედამისმა, არამედ ერთ-ერთმა საუკეთესო მეგობარმა, პოეტმა ოსკარ პასტიორმა, რომელიც „სუნთქვის საქანელის“ მთავარი პერსონაჟის, ლეო აუბერგის, პროტოტიპად და, საერთოდაც, ნიგნში წარმოდგენილი ანტიტოტალიტარული ნარატივის დეტონატორად იქცა. ბანაკის ძველი ტერიტორიის შემოვლისა და პასტიორთან მომავალი ნიგნისთვის აუცილებელი დეტალების დაზუსტების დროს (დედაზე დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ აქ უმთავრესი დეტალი ხუთწლიანი შიმშილის შემდეგ კარტოფილთან დამოკიდებულება და ხარბად ჭამის ჩვევა იყო, რაც „დანაყრებაზე ნადირობას ჰგავდა“) ჰერტა მიულერმა თითქოს მთელი სისრულით იგრძნო რეალობის ლიტერატურად ქცევის სირთულე. როგორ გინდა, რეალობა იყოს და არც იყოს, ანუ ახსენებდე და გამოტოვებდე, მიანიშნებდე და დაჟინებით ხაზს უსვამდე, წელავდე და ამოკლებდე, ბიძგს აძლევდე და ყინავდე, ააშკარავებდე და ნათქვამი უკან მიგქონდეს და ეს ყველაფერი ერთსა და იმავე დროს ხდებოდეს?! თან საშინლად გიჭირდეს ერთხელ და სამუდამოდ დაბედებულ ამბებზე წერა და თან იმ მაგნეტიზმის მიღწევასაც ესწრაფვოდე, ამ პროცესს რომ ახლავს.

ვინაიდან წერა არა „ჩვენებურად, არამედ მხოლოდ ჩემებურად“ შეიძლო, პასტიორის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ გადანაცვლება, თხრობა პირველ პირში ეწარმოებინა. ეს ერთადერთი სწორი მიმართულება აღმოჩნდა. გარდა ამისა, გამოიკვეთა სამწერლო ფანტაზიის ტონისმიმცემი ფუნქციაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალებზე მზერის გამახვილებასთან ერთად. პასტიორი უნდა გასულიყო ბანაკიდან, მე კი, პირიქით, უნდა შევსულიყავიო — დანერს იგი მოგვიანებით ნიგნში „ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა“. ავტორს უნდა აეხსნა, გნებავთ, ეჩვენებინა, რატომ გახდა ურჩხულის ეს მკვდარი საუფლო იქ დატყვევებული პატიმრებისთვის მშობლიური, ნოსტალგიურიც კი. „შინ დაბრუნების შემდეგ ლეო აუბერგი საკუთარი თავისთვისაც უცხოა და ოჯახისთვისაც... ახლა უკვე მისთვის ძალიან ნაცნობ უცნობ ადგილას იმყოფება და ახალი, ამჯერად ბანაკის,



რუმინელი ამ უცნაურ სახელმწიფოებრივ წყობას ირონიულად „ერთ ოჯახში განხორციელებულ სოციალიზმს“ უწოდებენ, იქაც და აქაც ხომ წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანებია — მაგალითად, სოფლიდან გამოქცეულ ყმანვილ ჩაუშესკუს ანტისამთავრობო მიტინგებზე წვრილმანი ქურდობისთვის იჭირებენ, მის მომავალ მეუღლეს კი გერმანელებთან პროსტიტუცია ბრალდება — რომლებიც ძალაუფლების ხიბლს სრულ შიზოფრენიამდე მიჰყავს. ასე რომ, განსხვავება უმნიშვნელოა, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ნიგნში მწერალი ანტიპათოლოგიური ინტონაციის ფონზე არაადეკვატურ, მოულოდნელ ქმედებათა ჭრილში ხედავს. ერთზე უკვე ვთქვით: ადამიანი შინაგანად განადგურებულია და ისევე იქ უნდა დაბრუნება, სადაც ყველაზე უბედური იყო. თუმცა არც განახლებისკენ სწრაფვა უმტკივნელოა. იგი ბევრადაა დამოკიდებული ინდივიდის თვითმობილიზაციისა და თვითკონტროლის უნარზე. ჰერტა მიულერი ასე აღწერს გერმანიაში ემიგრირების შემდეგ ფრანკფურტის ერთ-ერთ რესტორანში თავის პირველ ვიზიტს: „ფრანკფურტში პირველად რომ შევედი რესტორანში, შეკვეთის მიცემამდე ტირილი დავიწყე — მაგიდებზე ხელსახოცი, ყვავილები და სანთლები რომ დავინახე, მენიურ რომ ჩავიკითხე“.

დასაგლეთში ყოფნისას ჰერტა ბევრ რამეს მიხვდა. პირველ ყოვლისა კი იმას, როგორ უმხიზნებდნენ რიგით ადამიანებს სიცოცხლეს, მხოლოდ საუბარს კი არ უკრძალავდნენ, სიცოცხლესაც პარავდნენ. ქალებს უკრძალავდნენ აბორტის გაკეთებას (რაც ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა), მოსწავლე გოგონების სასკოლო ფორმის სიგრძეს სახაზავით ზომავდნენ, შუქსა და გათბობას დასავლეთისთვის გადასახდელი ვალის მიზეზით (შესაძლოა, უბრალოდ დამთხვევაც იყო, მაგრამ ეს ვალი გადაინახდა თუ არა, 1989 წელს ჩაუშესკუ კიდევაც დაამთხვა) ზამთარშიაც თიშავდნენ, უთვალთვალებდნენ, არასასურველ პირებზე პასკვილებს აქვეყნებდნენ, სადაც დევნის ნამდვილი მიზეზი, ცხადია, ჩეიკისტურ-სეკურიტატული ოსტატობით იყო შენიღბული (სწორედ ისე, როგორც ეს გაზეთ „კომუნისტში“ ვინმე ქებაძის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ და 1958 წლის

მოვლენებით პროვოცირებულ წერილში სახელწოდებით „სარეველა“, ნათქვამი იზებულო. მასში მოსწავლე-ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა შორის ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა სიხარულიძე და გურამ დონანაშვილიც იყვნენ, გართობისა და აღვირაბსნილი ცხოვრების მიმდევრებად იყო გამოყვანილი). გარდა ამისა, ტოვებდნენ ნამლების, რიგინი ტანსაცმლისა და კბილების პროტეზების გარეშე. „ჩვენ არ გვქონდა ასპირინი და ბამბა, ტამპონები, საფენები... ქალები ნაგლეჯებზე იყვნენ და დიდოდნენ“. და როცა ალტერნატიულ სივრცეში ხვდები, წარსული თავს იმით გახსენებს, რომ უკვე არ შეგიძლია, იყო ბედნიერი.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა უნდა ყოფილიყო ტრავმასთან შებრძოლების ჰერტა მიულერისეული გზა. ეს, რა თქმა უნდა, იყო წერა, უფრო სწორად, გაპიროვნებულ სიტყვებთან თამაში, სიტყვებთან, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთიდან ამოჭრილი ნიშნების კოლაჟით არა მარტო მასში, არამედ ფიზიკურადაც მის გარშემო იწყებდნენ დამოუკიდებელ არსებობას. დააკვირდით ბერლინის ბინაში გადაღებულ მწერლის ფოტოსურათებს. გარეგანო თითქმის ყველგან და ყველაფერზე მართლაც აწყვია ჰერტას მტერ-მოყვარე სიტყვები (ასევეა გაფორმებული მისი პოეტური კრებულებიც). ისინი ფეთქავენ, მოძრაობენ, იბრძვიან. თანაც ისე, რომ მათივე შეერთებისა და დამთხვევის ალქიმია თავად ავტორისთვისაც ბოლომდე აუხსნელი რჩება. „ყველა სიტყვა სხვა საგანია, შეიძლება, ინდივიდიც... რომელი სიტყვა მჭირდება, დიდი, რომელიც ტექსტში დომინანტის როლს ითამაშებს, თუ პატარა, რომელსაც ურჩევნია დაიშალოს? ამას წინასწარ ვერ ვათვლი... დღემდე ვერ გამიგია, რომელ სიტყვაში რა ბუნება იმალება. ეს მხოლოდ მაშინ ჩანს, როგორც კი სიტყვები ხელახლა იპოვიან ერთმანეთს“ (წარმოიდგინეთ, ის კი არადა, სტილისტური წყვილების აღმოჩენა-დამახსოვრებისთვის მეც ვუბნები ხოლმე ახალგაზრდებს: ეს სიტყვა სხვასთან არ დადგება, მხოლოდ ამის ერთგულია-მეთქი — ნ.კ.). ეს ციტატაც ისევე იმნიშვნავს, სახელწოდებით: „ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა“ (გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015, ეკეტერინე რაისნერი-ისა და ნატალია ნადირაშვილის თარგმანი), რომელიც ჰერტა მიულერის ადრეულ მოთხრობასთან „ემშაკი ცხოვრობს სარკეში“ (1991) და ესეების კრებულ „შიშშილი და აბრეშუმთან“ (1995) ერთად გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის ხელობასთან მისი დამოკიდებულების შესახებ. მწერალი გაცვეთილი, უმოწყალოდ ექსპლოატირებული სიტყვების ქომავი და განმაახლებელია. ამით ქმნის იგი, როგორც ერთი ცნობილი ლიტერატორი ამბობს, საკუთარ ტერიტორიას, სხვებისგან განსხვავებულ სამყაროს. ჰერტა მიულერის შემთხვევაში კი ამას ემატება ტოტალიტარიზმის პირობებში ადამიანებთან ერთად სიტყვების თავზე დამტყდარი უბედურებების აღწერის უნარიც. დაახლოებით ისეთი, როგორც გვიჩვენა გურამ დონანაშვილმა თავის ქრესტომათიულად ქცეულ მოთხრობაში „კაცია, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (1972). ახალგაზრდა, ათლეტური აღნაგობის დირექტორი სულიერად მახინჯია ზუსტად იმდენად, რამდენად მუტანტურია ენა, რომელსაც იგი იყენებს.

„ჩემს სამშობლოში...“ გამოყენებული ანგელიკა კლამერთან საუბრის ფორმატი მწერალს იმაზე მეტის თქმის საშუალებას აძლევს, ვიდრე ეს მსგავსი პირობითობისგან დაცლილ ჰერტა მიულერის სხვა ნიგნებშია შესაძლებელი. თუმცა აქაც რეპრესიულ საზოგადოებაში ადამიანის თვითგადაარჩენის, შიმშილგანგაწარმინობის“ წინააღმდეგ მისი გაბრძოლების თემაზე კონცენტრირების განსაკვირვებელი უნარისა (ეს უნარი ბოლომდე იწვევს მკითხველის დაუფარავ ალტაცებას) და ღრმად ინდივიდუალური არა მოდერნისტული, არამედ სწორედ რომ ავანგარდისტული სტილის გარდა, არის სწორედ ის ერთგვარი ზუსტი „შელწევები“, კარგად გათვლილი „ჩალრმავებები“, რომელსაც მეტ-ნაკლებად კეთილსინდისიერი რეცენზენტი ყოველთვის ეძებს და რაც მკითხველს ინფორმატიულად ტვირთავს, ანუ ამზადებს იმ თანამყოფობისთვის, რომელ-

იც აუცილებელია მსგავსი ავტორის კითხვის დროს.

რომანში „მელა მაშინ უკვე მონადირე იყო“, რომელიც დაწერილია 1992 წელს (გამოცემლობა „ინტელექტი“, თამარ კოტირაძის თარგმანი, 2015), ისევე როგორც „სუნთქვის საქანელაში“, ნათლად გამოჩნდა იმ ჯადოსნური ფილტრის მოქმედება, რომელსაც დიდი მწერალი რეალობასა და მხატვრულ გამონაგონს შორის აყენებს ხოლმე. დიქტატორის სიბეცესა და სისასტიკეს აქ გადმოსცემს არა მარტო წერის მანერა, არამედ რიტმიც და სიურეალისტური სიზმრების მსგავსი სურათებიც, რომელიც მიღმა ჯიუტად იმზირება ქვეყანა, რომელიც თანდათან „აკრძალული სიმღერით“ იფარება. „ქუჩა უკან მირბის, ღამე სათითვალავითაა — ციციბო და შავი. კორპუსების საფეთქლები — ვინრო“. ამგვარი კითხვის რეჟიმში, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ჰაერი ტყვიასავით მძიმდება. ამ სიმძიმის დამთრგუნველ ძალას კი მწერლის მიგნებების და კომპინაციების ძალა გაგრძობინებს. და უცებ, რომანის ფინალურ ნაწილში, ტროტუარზე პოლიციელებისა და მათი ძალების დრუნჩების პირისპირ მდგარი ბერიკაცი ჩნდება, რომლითაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი სიბნელიდან სინათლისკენ ვალნევა-ვერვალნევის, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თავისუფლებისათვის იმთავითვე განწირული ბრძოლის პერიპეტეიბა პერსონიფიცირებულია. „რუმინელი, გაიღვიძე, საუკუნო ძილი გეყო“, მღერის ბერიკაცი (აქვე მწერალი დროულად სვამს აქცენტს სიმღერისადმი რუმინელთა ჩვენთვის ნაცნობ დამოკიდებულებაზე: შეიყრებიან თუ არა სიმღერა ინყებენო — ნ.კ.). ეს სიმღერა აკრძალულია... ხელით მაგრად ჩაუბლავს ბუნვის ქუდი. ქუდს თავიდან იძრობს, ჰაერში იქნევს, ძირს აგდებს და ფეხსაცმლით თელავს. ურტყამს და ურტყამს ფეხებს, თან მღერის და სიმღერაში მისი ქუსლების ბაკუნცის იმის. სიმღერა კი აკრძალულია. სიმღერას არყის სუნი უდის... ბერიკაცი ხმა უწყდება. ღმერთო ჩემო, ლულულეებს ის ბებერი აკაციის ქვეშ, შეგვეძლო, მსოფლიოში პირველები ვყოფილიყავით, ჩვენ კი ულუკმაპუროდ სული გვძვრება. მას ძალიანი პოლიციელი უახლოვდება და კიდევ ერთი პოლიციელი. მაშინ მოხუცი ცისკენ აღაპყრობს მკლავებს და ვაკვირის: ღმერთო, მოგვიტევე, რომ რუმინელები ვართ.“

რომანის მთავარი პერსონაჟი ადინა აკრძალვებითა და დევნით რობოტიზირებული ახალგაზრდა ქალია. მისი სექსუალური ურთიერთობაც თითქმის ძვირფასადამიანთან ყოველგვარ მგრძობილობასაა მოკლებული. და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ამ სიტუაციაში „ინტიმურობა ცდილობს, თავი გადაიჩინოს, მაგრამ ურთიერთობების პოლიტიკური სიბინძურით ინფილტრირდება ხდება“. ის, რომ სახლში შესულს დევნის წვრილ-წვრილ ნიშნებთან ერთად (იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი ან ნიგნები, უნიტაზში ჩაგდებული პაპიროსის ნაწივი ან მზესუმზირის ქერქები, საგანგებოდ გადატეხილი მუსიკალური ფირფიტა) უფრო მსხვილმანი და შემზარავი, იატაკზე დაყვანილი მელიის ყოველ ჯერზე მიკეცილ-მოკეცილი ტყავი ხვდება, ძნელად დასაჯერებელია. თუმცა ეს მწერლის რუმინული ცხოვრებიდან აღებული ეპიზოდია (სხვათა შორის, საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილი, რომელიც ექვემდებარება არ აყენება და ამიტომაც ბრძადა მამინე გავრცელებულ სადამსჯელო პრაქტიკას, ვთქვათ, მიზანში ამოღებული მეზობლის დასათრგუნად, აგერ გასული საუკუნის 60-70-იან წლებშიც, მისი ფანჯრის რაფაზე ან კართან შავზე შავ მინას ყრია — ნ.კ.).

რომანის მოკლე ანოტაციაში კვითხულობთ: „მართალია, დიქტატორის დაჭერით ტირანია დაინგრა... თუმცა რომანის მისტიკურ ინტონაციას მისი ფინალური კითხვა ამძაფრებს. რა იქნება ტირანიის შემდეგ? არის კი შესაძლებელი მშვიდობა ასეთ სამყაროში?“ (ნინია სადლობელაშვილი). 1989 წელს ჰერტა მიულერის მართლაც გახდა რუმინეთის მმართველი ოჯახის არა მხოლოდ დაპატიმრების, არამედ ლიკვიდაციის მოწვევ, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ამას მისთვის შეუძლებელია და ვერც მოუტანდა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს რომანში „ჩემი

სამშობლო იყო ვაშლის კურკა“ აღწერილ ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც 1990 წელს მცირე ხნით ტემეშვარში დაბრუნებული ჰერტა ქალაქის ცენტრში, შემდეგ კი მისგან გაქცეულსა და კვერცხის რიგში მიმალულ სეკურიტატეს ყოფილ თანამშრომელში თავის უშუალო დამკითხველს ამოიცნობს. „ყვირილი მინდოდა, მაგრამ პირში საოცარ სიმწარეს ვგრძობდი, ვედარ ვაზროვნებდი. „რისთვის მოხდა ეს ყველაფერი? ხედავთ, ახლა ჩემი უნდა გემინოდეთ“, ვუთხარი ძალიან ხმადაბლა. უფრო ხმადაბლა არ შემიძლო, ასეთი ჩემი იყო ზიზილი. მერე იქაურობას ვავეცალე. არსებობს კი ვაბრაზება, რომელიც ადამიანს ჩუმს, ცარიელსა და მხდალს ხდის? ყველაზე დიდი საშინელება მაინც ის იყო, რომ ამდენი წლის მერეც კი რიგში მდგარს რეფლექსურად თქვენობით მივმართე“. ასეთია ჰერტა მიულერის „ჰეიზ ბიჩი“, იგივე ზიზლის, მტრობის რიტორიკა.

თუმცა მოგვიანებით მან დემონსტრაციულად დატოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პენ-კლუბი მასში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა გაერთიანების გამო, ხოლო 2008 წელს ღია წერილით მიმართა რუმინეთის კულტურის საერთაშორისო ინსტიტუტს ერთ-ერთ გერმანულ-რუმინულ ღონისძიებაზე სეკურიტატეს ორი ყოფილი თანამშრომლის მოწვევის გამო. ამას მოჰყვა სტატია გაზეთ „ცაიტიში“ სრულიად არაორაზროვანი სათაურით „სეკურიტატე კვლავ მოქმედებს“, რამაც საბჭოთაობის ადვოკატა მწვავე რეაქცია გამოიწვია: ჰერტა მიულერი ტრავმირებულია ჩაუშესკუს რეჟიმით, ამდენად მისი შემოქმედება ჩვენთვის აქტუალური არ არისო. რაც შეეხება ნობელის მიმნიჭებელ კომისიას, ეს მისი მორიგი პოლიტიკური ნიშნით შეფერილი ახირებააო. დაბოლოს, ისიც ითქვა, რომ იქ, სადაც მიღან კუნდერა აღმოჩნდა ჩამშვები, რა ვიცით, კაცნი ვართ, ამიტომაც არც სხვაა მსგავსი გადაცდომისგან დაზღვეული. ნამდვილი შემფასებლები კი (მაგალითად, მარკ ბელორუსეცი, დიმიტრი ვოლჩევი, ტატიანა მასაკოვა) ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უფრო ღრმა ანალიზს მიმართავენ. პირველ ყოვლისა, ისინი ცდილობენ, გააბათილონ ჰერტა მიულერის სოლჟენიცინის, მით უფრო, შალამოვის ეგრეთ წოდებული ბანაკის პროზასთან (ქართულ მწერლობაშიც ამავე თემაზე წერდნენ კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, ჭაბუა ამირეჯიბი, გივი მალულარია, ლადო სულაბერიძე) სიახლოვის „მტკიცებულება“. გერმანიის ტატიანა ბასაკოვა წერს: „ჰერტა მიულერის აბრალებელი კონსტანტინე გამსახურდია მან ნობელი მიიღო. მიულერის მსგავსი პროზა კი ჩვენ არ გვექნია. იგი ისე წერს, რომ ყველაფერს გრძობს, სუნსაც კი, მთლიანად შეიგრძნობს იმ ცხოვრებას და უცნაურია, რომ ნიგნის სტილისტიკაზე არავინ წერს, არავინ ამბობს არაფერს მისი ნიგნის თავისებურების შესახებ...“ „დიხ, ეს ნიგნი (საუბარია „სუნთქვის საქანელაზე“ — ნ.კ.) სიტყვების ცხოვრების შესახებაა, იმაზე, თუ როგორ ხდებიან სიტყვები დიქტატორის მსხვერპლი“ — აკონკრეტებს დიმიტრი ვოლჩევი.

ფოქრობ, ჩვენ ამ ყველაფერთან უფრო პასუხისმგებელიანი დამოკიდებულება უნდა გვექნოდა. დღევანდელი ქართული გარემოს გათვალისწინებით რამდენიმე მომენტის აქცენტირებაც აუცილებელია. პირველ ყოვლისა, ესაა ტოტალიტარიზმის განმედილ ტრავმაზე კონცენტრირების ხარისხი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, დაბალია. არადა, სულ უფრო ნათელი ხდება ამ ტრავმის დაძლევის, მასში უშიშრად შესვლის აუცილებლობა. მართალია, ჰერტა მიულერი მწერალია და ამას იგი ენის საშუალებით ახდენს, მეტიც, ენისავე დახმარებით დროსაც კი აუქმებს და ნებისმიერი საზოგადოების შიშინიობას, გულგრილობასა თუ დაწვევას განაზოგადებს, თუმცა ასეთი ავტორების დახმარებით არა მხოლოდ მწერლებს, არამედ კარგ მკითხველებსაც შეუძლიათ საკუთარი საზოგადოების მიერ გავლელი უახლესი წარსულის პრიორიტეტების გამოკვეთა და სხვა თუ არაფერი, სათანადო დასკვნების გამოტანა. ეს ჩვენთვის პრობლემატური, მეტიც, სასიცოცხლო საკითხია. ამიტომაც გვჭირდება იმ განსაზღვრების გავლა, რომელსაც, საბედნიეროდ, ლიტერატურა ჯერ კიდევ გვიქმნის.

# ქეთევან შენგელია „ერთ-ერთ ქუჩაზე წინაპისფერი სახლი...“

ლადო კოტირაძის შემოქმედებისთვის ხელახალი გაცოცხლების ხანა დგება...

იბადება მწერალი ნანარმოების თხზვისას, როცა ის მეტად საინტერესო და უჩვეულო სამყაროში გადასახლებული, სადაც თავის პერსონაჟებთან ერთად ცხოვრობს და სუნთქავს, იღვიძებს და იძინებს, განიცდის და იბრძვის; ხოლო ხელახლა ცოცხლდება, როცა საკუთარი ნანარმოების მკითხველთა გულს იპყრობს. არ ვიტყვი, რომ აქამდე არავისთვის იყო ცნობილი მწერალი, მაგრამ მხოლოდ ბოლო ორი წელია, რაც გამოდის მისი ნიგნები. ამის გამო მადლობა ეკუთვნის მწერლის ქალიშვილს ნანა კოტირაძის და მის ოჯახს. 2019 წელს უკვე გვაქვს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ მიერ გამოცემული ლადო კოტირაძის მეორე ნიგნი „ემმაკი გალიფევი“, სადაც ერთი ვრცელი მოთხრობაა წარმოდგენილი. ნიგნი მწერლის შვილიშვილის — ნათია ხორნაულის ხელშეწყობით გამოვიდა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, გულმოდგინედ პატრონობს პაპის არქივს.

„ემმაკი გალიფევი“, როგორც რედაქტორი მიუთითებს, „სრულებით უცნობი გახლდათ და ექიმის, მკვლევარისა და მწერლის არქივში ინახებოდა ახალი ათასწლეულის მოლოდინში“. ამ ნიგნს ერგო უზადო შემფასებელი, საუკეთესო რედაქტორი, დიდი, თავისი ხელწერის მქონე მწერალი და მკვლევარი, როსტომ ჩხეიძე. სხვათა ნიჭიერების შეფასება და დაფასება, თუნდაც ხელახალი გამობრუნება ან აღმოჩენა შემოქმედისა, კარგა ხანია, მისი საქმიანობის ერთ-ერთ საზრუნავად ქცეულა. ეს კი დღევანდელი ლიტერატურული პროცესისთვის აუცილებელი და საშური საქმეა და ამისთვის ცალკე მადლობა ეკუთვნის ამ ღვანღისთვის. საბედნიეროდ, ეს ნანარმოებიც, მწერლის ოჯახის გადაწყვეტილებით, მის ხელში მოხვდა.

რედაქტორის წერილს კი, რომელიც ნიგნში მოთხრობას წინ უძღვის, ესეის უფრო ვუნოდებდით, სადაც ლადო კოტირაძის მწერლობის შესახებ ობიექტურად გააზრებულ ნიუანსებთან ერთად იგრძნობა ესეის ავტორის აზროვნების მასშტაბურობა და, ამავდროულად, ემოციური ფონის სიძლიერე. რაოდენ საგულისხმოა, რომ მკვლევარი გვახსენებს „ფაუსტურ პარადიგმებს“, გვახსენებს აგრეთვე, გასაგებ მიზეზთა გამო, იქ ვერ მოხვედრილ იმ მწერალთა ექსკურსს, რომელთა ნააზრევშიც დასმულია „ფაუსტური“ საკითხები. მათი სახელების ხსენებაც ამ შემოქმედთა კიდევ ერთხელ გაცოცხლების ტოლფასია.

ესეის ახასიათებს ლაკონური და დინამიური თხრობა. აქ საუბარია გრიგოლ რობაქიძეზე, ფრიდრიხ ნიცშეს „ექი იტყოდა ზარატუსტრას“ ერეკლე ტატიშვილისეულ თარგმანზე, ნიკო სამადაშვილის ლირიკაზე, ბასილ მელიქიშვილის ნოველებსა და მოთხრობებზე; აგრეთვე, პარალელთა გავლენული ვასილ ბარნოვის ცნობილი რომანის „მიმქრალი შარავანდელის“ ფინალთან, რომელიც „ზედგამოჭრილი გახლავთ ფაუსტ-მეფისტოფელის ჭიდილის პრობლემეტიკისათვის...“ (როსტომ ჩხეიძე). მოგვხსენებათ, ვასილ ბარნოვის რომანში თინათინის აღსასრულისას ანგელოზსა და ემმაკეულს შორის გარდაცვლილი დედოფლის სულის დასასაკუთრებლად, რა დიალოგიც მიმდინარეობს.

როსტომ ჩხეიძეს, ზემოთ ჩამოთვლილ ამ შესანიშნავ მწერალთა ნააზრევების ჩრილობა, საინტერესოდ და მეტად შთამბეჭდავად აქვს გაანალიზებული ლადო კოტირაძის მიერ ნამოჭრილი თემა. აქ უსუსტად ჩანს ამ ორიგინალური მოთხრობის იდეა და ღირსება, სადაც ერთი ადამიანის სულიერი ტანჯვის ფონზე საქართველოში „ბოლშევიკური წყობის“ შემზარავი სურათია აღწერილი.

მოთხრობის გმირს ახალი, „ნათელი“ ემმაკი შესწენია თავისი „ხრიკებით“. მათი სულიერი „ორთაბრძოლა“, ზედმინეებით



და ამავდროულად ცოცხლად, რეალობასა და ირრეალობას შორის არსებულ სივრცეში, შთამბეჭდავად დაუხატავს მწერალს.

ვიცი, რომ მწერალი სიცოცხლეში თავის ქმნილებებს არ ბეჭდავდა... თავის შესაფერის დროს უცდინა მისი მშვენიერი შემოქმედება და ეს დროც დადგა.

„ლადო კოტირაძის შექმნილი მხოლოდ-და იატაკქვეშ შექმნა თავისუფლების სულით გაუფლეთილი თავისი პროზა — მოდერნისტული მხატვრული ხერხებით, რაც მონამოს მის ღრმა გათვითცნობიერებას თანადროულ დასავლურ ლიტერატურულ და სულიერ პროცესებში.

და იმასაც მოწმობს რომ: ხელოვნურად კი არ გამოვიღო ეს მხატვრული ხერხები, არამედ თავის სულიერ ქურდასა და ბრძედში მოვიტარებინა და ისე გამოვიქვინა ორიგინალური ხედვა და სტილური მანერაც. ვასილ ბარნოვის ლიტერატურული სკოლის გავლენაც რომ უნდა განეცადა და ეს გავლენაც შესაფერისად უნდა გამოეყენებინა“ (როსტომ ჩხეიძე).

ყველა ესთეტი მკითხველისთვის, ვიდრე ნიგნს გადაშლიდეს, მისი გარეკანის ინტერესის საგანი ხდება. ნიგნს „ემმაკი გალიფევი“ ძალიან საინტერესო გარეკანი აქვს, რადგან მასზე გამოყენებულია ლადო კოტირაძის სახელი — „ავტობიოგრაფიკი“. ნახატზე თავდახრილი და ჩაფიქრებული სევდიანი მამაკაცის ფიგურაა წარმოდგენილი. გარეკანზე შავი, ღია ნაცრისფერი და მუქი ნითელი ფერითაა სპექტრი ფიგურირება. საფიქრებელია, რომ ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ეპოქა, რომელიც ამ მოთხრობაშია დახატული. შავ-ბნელი სამყაროს მარნუხებშია მოქცეული, ჩანაცრისფრებულია გარემო და შეგუბებული სისხლისფერი ხშირად გვახსენებს თავს.


ფერთა სიმბოლიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლადო კოტირაძის თხზულებებში (იხილეთ მისი პირველი ნიგნი „კეთროვანთა ზღაპრები“) და კონკრეტულად ამ მოთხრობაშიც. მოვიგონოთ, თუნდაც, იმ გმირის საცხოვრებელი სახლი, რომელიც წინაპისფერია... სიმბოლო ორმაგი დატვირთვით შეიძლება, გავიზოროთ: წინაპისფერი ასოცირდება ნითელი ფერი. ნითელი ამ შემთხვევაში დაღვრილი სისხლის, შფოთის, სიცხარის, გამწარების სიმბოლოდ შეიძლება, მივიჩნიოთ. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არის მაგალითები, როცა ნითელი გამოყენებულია სხვადასხვა განწყობის აღსანიშნავად, როცა მას აქვს ადმატებული და პოზიტიური დატვირთვა და იმ შემთხვევაშიც, როცა ის ნეგატიურ მოვლენას ასახავს. ამ მხრივ შეგვიძლია, დავასახლოთ თუნდაც ამერიკის პოეზიის ერთი ვარსკვლავი ემილი დიკინსონი, რომელთანაც თეთრი მუდმივად ამაღლებული და დიადი განწყობის სიმბოლოა, ხოლო ნითელი ნაირნაირი მნიშვნელობას იძენს მის პოეზიაში, მათ შორის ნეგატიურსაც, რომელიც ხშირ შემთხვევაში სულიერ განგაშსაც ან ცეცხლსაც აღნიშნავს.



ძალე „არტანუჯი“ სერიით „სხვა კლასიკა“ გამოცემის ამბროზ ბირსის „ეშმაკის ლექსიკონს“. გთავაზობთ ნიგნის პირველ თავს.

ამბროზ ბირსი

# ეშმაკის ლექსიკონი



ნინათქმა

„ეშმაკის ლექსიკონის“ ბეჭდვა ყოველკვირეულ გაზეთში 1881 წელს დაიწყო და არათანაბარი, ხანგრძლივი ინტერვალებით 1906 წლამდე გაგრძელდა. იმავე წელს მისი დიდი ნაწილი ნიგნადაც გამოიცა სათაურით „ცინიკოსის ლექსიკონი“ — ავტორს არც საკმარისი ძალა შესწევდა, ეს სათაური დაუნუნებინა და არც საიმისო ილბალი, რომ მოსწონებოდა. ნინამდებარე ნიგნის გამომცემელთა თქმით:

„ეს შედარებით ღვთისმოსავი სათაური ავტორს თავს მოახვიეს რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე იმ გაზეთის მესვეურებმა, სადაც მისი თხზულების ნაწილი ბოლო დროს გამოქვეყნდა; ამის ბუნებრივი შედეგი ის გახლდათ, რომ ვიდრე ის ნიგნად გამოქვეყნდებოდა, ქვეყანა უკვე წაუღებდა მის მიმბაძველთა ნაკადს, მკითხველს მთელ რიგ „ცინიკურ“ ნიგნებს რომ სთავაზობდა — „ცინიკოსის ის“, „ცინიკოსის ეს“ და მისთანები. ამ ნიგნების უმრავლესობა ბრიყული გახლდათ, ზოგიც სიმტყირით გამოირჩეოდა; ასე თუ ისე, მათ სიტყვა „ცინიკოსს“ იმდენად გაუტყვეს სახელი, რომ ნებმიერი ნიგნის სათაურში მისი გამოყენება მის დაბეჭდას უკვე ყოვლად შუძლებელს გახდიდა.“

ამასობაში მოხდა ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის არაერთმა მოქმედმა იუმორისტმა გემრიელად გამოიყენა ნიგნის ის ნაწილები, მათ მოთხოვნებს რომ ჰპასუხობდა, და, ამგვარად, მისგან ნასესხები მრავალი განმარტება, ანექ-დოტი, ფრაზა და ასე შემდეგ სალაპარაკო ენაში მეტნაკლებად გავრცელდა. ამას ამპარტავნებისა და წვრილმანებში საკუთარი პირველობის მტკიცების სურვილით რომელი ვაცხადებ, არამედ პლაგიატის შესაძლო ბრალდების თავიდან ასაცილებლად, რაც წვრილმანი სულაც არ არის. ავტორი მხოლოდ კუთვნილს იბრუნებს და იმედოვნებს, რომ ისინი, ვისთვისაც მისი თხზულებაა განკუთვნილი, ამას დანაშაულად არ ჩაუთვლიან — ის გონებანათელი ადამიანები, ვისაც მშრალი ღვინო ურჩევნია ტკბილს, გამჭრიახობა — სენტიმენტებს, სისხარტე — მდარე იუმორს და სუფთა ინგლისური — სლენგს.

ნიგნის თვალმისაცემი და, იმედია, არცთუ უსიამო თავისებურება გამოჩენილ პოეტთა ლექსების ნიმუშად მოყვანილი ამონარიდებია, ამ პოეტთაგან უდიდესი კი განსწავლული და საზრიანი ეკლესიის მსახური, მამა გასალასკა ჯეიბი გახლავთ, რომლის ლექსებსაც ქვეშ მისივე ინიციალები მივუწერე. პროზაული ტექსტის ავტორი დიდად ემადლიერება მამა ჯეიბს კეთილი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ამბროზ ბირსი

**A** basement, n. — თავის დამცირება, არს. სახ. — სიმდიდრესა თუ ძალაუფლებასთან მიმართებაში ჯეროვანი და

ჩვეული შინაგანი მდგომარეობა. განსაკუთრებით უხედა დასაქმებულს დამსაქმებელთან მიმართებაში.

Abatis, n. — მიწაყრილი, არს. სახ. — ციხესიმაგრის წინ დახვევებული ნაგავი, რომელმაც იმ ნაგავს, გარეთ რომაა, შიგნით მყოფი ნაგვის შეწუხებაში ხელი უნდა შეუშალოს.

Abdication, n. — გადადგომა, არს. სახ. — აქტი, რომლითაც მონარქი ამჟღავნებს ტახტის მალალი ტემპერატურის მიმართ თავის დამოკიდებულებას.

მოკვდა საბრალო იზაბელა, ტახტი რომ დასთმო, აღარ ულევდა ესპანელებს ჭორსა და სათქმელს. სანახაობა საყვედურს არ იმსახურებდა: მხურვალე ტახტი დასთმო, რადგან ველარ უძლებდა. იგი სამეფო გამოცანად არ დარჩა, გარდა იმის, ტაფიდან რომ გადახტა შემჭყნარი ბარდა.

გ. ჯ.

Abdomen, n. — სტომაქი, არს. სახ. — მუცელმერთას ტაძარი, სადაც ყველა ჭეშმარიტი მამაკაცი ღვთისმსახურებასა და მსხვერპლშენიერვას აღასრულებს. ქალისაგან ეს ძველთაძველი სარწმუნოება მხოლოდ ცალკე თანხმობას ითხოვს. მართალია, ისინიც ზოგჯერ უხალისოდ წირავენ მის საკურთხეველზე, მაგრამ მამაკაცთა ღვთაებას ჯეროვნად მაინც არ სცემენ თავყვანს. ეს სამყარო ქალებს რომ ემართათ, კაცობრიობა ბალახისმჭამელი იქნებოდა.

Ability, n. — ნიჭი, არს. სახ. — ბუნებრივი მონაცემი, გარკვეულწილად რომ ასრულებს მდებრივ ამბიციების როლს, რათა ნიჭიერი ადამიანი მკვდარი ადამიანისაგან გავარჩიოთ. როგორც საბოლოო ჯამში დადგინდა, ნიჭი მეტწილად თვითგანდიდებაში გამოიხატება. თუმცა, შესაძლოა, ეს შთამბეჭდავი უნარი სრულიად მართებულადაც იმსახურებდეს ამგვარ პატივისცემას: მუდმივი თვითგანდიდება იოლი საქმე როდია.

Abnormal, adj. — ანომალიური, ზედსართ. — ის, რაც სტანდარტს არ პასუხობს. აზროვნებისა და ქცევის საკითხებში დამოუკიდებლობა ანომალიას უტოლდება, ხოლო ანომალიურობა ყველასაგან გაკიცხულობს ნიშნავს. ამიტომაც ლექსიკოგრაფი გირჩევთ, ეცადოთ, იმაზე მეტად მიუახლოვდეთ „საშუალო ადამიანის“ მდგომარეობას, ვიდრე ეს თვითონ მოახერხა. ხოლო ვინც ამ მდგომარეობას მიაღწევს, სიმშვიდეც ექნება, სიკვდილის პერსპექტივაც და ჯოჯოხეთში მოხვედრის იმედიც.

Aborigines, n. — აბორიგენები, არს. სახ. — სრულიად ზედმეტი ადამიანები, რომლებიც ახლად აღმოჩენილ მიწებზე დატანტალებენ. თუმცა მალევე წყვეტენ ტანტალს და ამავე მიწების განოყიერებას იწყებენ.

Abracadabra — აბრაკადაბრა. აბრაკადაბრად მოვიხსენიებთ უთვალავ რამეს. აგისხნით ახლა. ეს პასუხია კითხვებზე: რატომ? რა? როგორ? საით? — და არა მარტო მათზე, ეს სიტყვა მართლაც რომ გახლავთ შემწე, სიმართლე ჰპოვოს, ვინც იბრძვის და ბნელში ეძებს წმინდა სხვის სიბრძნის.

ეს სიტყვა ზმნაა თუ არსებითი სახელი გახლავთ, არ ვიცი კარგად. ვიცი მხოლოდ ის, რომ როგორც მითი ის თაობიდან თაობას მოსდევს, ბრძენმა ბრძენს უთხრა, ქვეყანას მოსდეს — და ამიტომაც არ დაიკარგა!

ამბავი არის ძალიან ძველი, გამოქვაბულში ცხოვრობდა ბრძენი, ათჯერ ასი წლის შესრულდა, პოდა, (თუმც, საბოლოოდ, ისიც კი მოკვდა) მთელ დედამინას მოეღო ხმები მისი სიბრძნისა, მელოტი თხები და გრძელი თეთრი წვერი ამკობდა, მისი თვალეები ნაპერწკალობდა.

ფილოსოფოსნი შეიკრიბნენ ყოველი მხრიდან, მის ფერხითი დასხვნენ, ყურადღებით რომ მოესმინათ, თუ რას იტყოდა, მაგრამ იმისგან მათ გაიგონეს ეს ერთი სიტყვა „აბრაკადაბრა, აბრაკადაბრა, აბრაკადა, აბრაკად, აბრაკა, აბრაკ, აბრა, აბ“ სულ ეს იყო, რაც მისგან ითქვა. ეს იყო, რისი მოსმენაც სურდათ და მოსმენილი გულდასმით უნდა ჩაენიშნათ და მისტიური ეს სიტყვა მერე ტექსტად ექციათ, შეიძენდა ათასგვარ ფერებს, რომ გაშლილიყო კომენტართა მინდორი ასე. ესენი იყო ყოველისშემძლე, დიდი ნიგნები, იმდენი ალბათ, რაც ფოთოლი ხეზე იქნება. შესანიშნავი, სასწავლებლად საჭირო ძალზე!

ბრძენმა მარად ვერ გაიხარა, მოკვდა, როგორც უკვე გითხარით. მტვრად გადაიქცა რა ხანია ბრძენთა ნიგნებიც, მაგრამ იმისი წმინდა სიბრძნე მარად იქნება. აბრაკადაბრა სიტყვა არის მართლაც საქები, საზეიმოდ უღერს, როგორც ძველი ზანზალაკები. მიყვარს ვუსმინო სიტყვის მუსიკას, კაცობრიობას ყოველთვის რომ გამოადგება.

ჯამრან პოლობოში

Abridge, v. t. — შეზღუდვა, ზმნ. კვეცა/კვეთა.

„როდესაც საზოგადოებრივ მოვლენათა მსვლელობაში ამა თუ იმ ქვეყნის ხალხს აუცილებლად მიაჩნია, თავის მეფეს ძალაუფლება შეუზღუდოს, დანარჩენი კაცობრიობისადმი უბრალო პატივისცემა მოითხოვს, ზუსტად დაასახელოს ის მიზეზები, რომლებიც მოკვეთის აქტის განხორციელებას აიძულებს“ — ოლივერ კრომველი.

Abrupt, adj. — უეცარი, ზედს. — ისეთივე მოულოდნელი და მოუხრებელი, როგორც ზარბაზნით ნასროლი ყუმბარის გამოჩენა და იმ ჯარისკაცის გაუჩინარება, ვის ინტერესებსაც ეს ყუმბარა უშუალოდ შეეხო. დოქტორმა სემუელ ჯონსონმა შესანიშნავად თქვა ერთი სხვა ავტორის აზრებთან დაკავშირებით, „ისეა ერთი მეორეზე გადაბმული, რომ უეცარობის გაცდას არ ბადებს“.

Abscond, v. i. — მიმაღვა, ზმნ. — „იღუმალი გზებით სვლა“, უფრო ხშირად, სხვისი საკუთრებით. გაზაფხული! ყველას მოუხმობს.

ბუნება მღერის, წკრიალებს ხანაც; ხეების მწვანედ შემოსვისა და მოლარეების მიმაღვის ხანა. ფილა ორმი

Absent, adj. — გასული, ზედს. — ის, ვინც ამ წუთას სხვაგანაა და ამის გამო ცილისმწამებელი კენისა და ქილიკისათვის სხვებზე მეტად დაუცველია, მუდამ უიმედოდ მტყუანია და ოთახიდან გასვლისთანავე კარგავს ჩვენ სიმპათიას დამსწრეთა სასარგებლოდ.

კაცი კაცისთვის მხოლოდ გონია. ვინმეს ადარდებს, ის როგორია გარეგნობით ან რას ატარებს? მაგრამ ქალი კი სხეულია ქალის. ო, არა, ჩემო ძვირფასო, არ ნახვილად, აქ დარჩი მარად. მაგრამ ბრძენმა თქვა, დაიხსოვოთ კარგად ძალიან: ქალი, რომელიც გასულია, მკვდარი ქალია.

ჯოჯო ტაირი

Absentee, n. — არჩევნებისას თავი შეიკავა, არს. სახ. — შეძლებული ადამიანი, რომელმაც მალაღ გადასახადს წინდახვეულად აარიდა თავი.

Absolute, adj. — აბსოლუტური, ზედს. — დამოუკიდებელი, არავის წინაშე პასუხს რომ არ აგებს. აბსოლუტური მონარქია ქვეყნის მართვის ისეთი ფორმაა, როდესაც მეფე იმას სჩადის, რაც მისთვის სასურველია, მანამ, ვიდრე ეს მისი მკვლევებისთვისაც სასურველია. დღეისათვის ძალზე ცოტა ქვეყანაში დარჩა აბსოლუტური მონარქია, მათი უმრავლესობა უფლებამოსილად მონარქიამ შეცვალა, სადაც მონარქის ჩადენილ ბოროტებას (ისევე, როგორც სიკეთეს) დიდწილად სქელი ფარდა აქვს ჩამოფარებული, ანდა რესპუბლიკამ, სადაც ქვეყანას ბრმა შემთხვევა მართავს.

Abstainer, n. — ასკეტი, არს. სახ. — სუსტი ნებისყოფის პატრონი, ვინც სიამოვნებაზე უარის თქმის ცდუნებას ვერ უძლებს. იდეალური ასკეტი ისაა, ვინც ყველაფრისგან იკავებს თავს, გარდა სახელდობრ თავშეკავებისა, პირველ ყოვლისა კი, სხვის საქმეში ჩაურევლობისაგან.

უთხრა მთვრალ ყმანვილს კაცმა: „შეილო, არა მსმენია, თუ სვამდი, მაგრამ ახლა მიკვირს, მთვრალს რომ გიყურებ.“

„ასეა, ასე, ასკეტი ვარ, არამსმელი ვარ, მაგრამ, ბატონო, არა ძალზე ფანატიკური.“

გ. ჯ.

Absurdity, n. — აბსურდი, არს. სახ. — ისეთი მოსაზრება თუ მსჯელობა, ჩვენ საკუთარ აზრს არანაირად რომ არ ემთხვევა.

Academe, n. — აკადემი, არს. სახ. — ანტიკური ხანის სკოლა, სადაც ზნეობასა და ფილოსოფიას ასწავლიდნენ.

Academy, n. — აკადემია, არს. სახ. (სიტყვა „აკადემიდან“ წარმოებული) — თანამედროვე სკოლა, სადაც ფეხბურთის თამაშს ასწავლიან.

Accident, n. — უბედური შემთხვევა, არს. სახ. — ბუნების უცვლელი კანონებით გამოწვეული გარდუვალი მოვლენა.

Accomplice, n. — თანამზრახველი, არს. სახ. — ის, ვინც დანაშაულს მეორე პიროვნებასთან კავშირში სჩადის, მსგავსად იმ ადვოკატისა, დანაშაუვს რომ იცავს, თუმცა იმპენივრად უწყის, ამ უკანასკნელმა რაც ჩაიდინა. უნდა ითქვას, რომ საქმეში ადვოკატთა ამგვარ როლს თვითონ ადვოკატები დღემდე არ ეთანხმებიან, რადგანაც მათთვის ამ თანხმობაში ჯერ არავის შეუთავაზებია გასამრჯელო.

Accord, n. — აკორდი, არს. სახ. — ჰარმონია.

Accordion, n. — აკორდიონი, არს. სახ. — ინსტრუმენტი, რომლის უღერადობაც მკვლელის გრძობებთან ჰარმონიაშია.

Accountability, n. — ვალდებულება, არს. სახ. — სიფრთხილის დედა.

„მხედველობაში გქონდეთ ჩემი ვალდებულება,“ დიდმა ვეზირმა თქვა. „ო, დიახ, დიახ, ასეა,“ მიუგო შაჰმა: „სხვა ტალანტი არც მეგულება, ეგ ერთადერთი არის ვგონებ, რაც გაგაჩნია.“

ჯორჯ ტეიტი



Accuse, v. t. — გამტყუნება, ზმნ. — სხვისი დანაშაულის ან უღირსობის მტკიცება; ხშირ შემთხვევაში გამოიყენება სხვისთვის ზიანის მიყენების გასამართლებლად.

Acephalous, adj. — უთავო, ზედს. — დე უჟანგილის გამოცემით, სრულიად მოულოდნელად სწორედ ასეთი გახდა ჯვაროსანი რაინდი, როდესაც დაუდევრად მოჰქაჩა საკუთარ ქოროს მას მერე, რაც, რამდენიმე საათით ადრე, სარაციონის ხმალმა კისერი შეუმჩნევლად გადაუჭრა.

Achievement, n. — მიღწევა, არს. სახ. — ყოველგვარი სწრაფვისა და ძალისხმევის სიკვდილი და მოყირაყების დასაწყისი.

Acknowledge, v. t. — აღიარება, ზმნ. — აღსარება. ერთობის ცოდვების აღიარება ჩვენი წმინდა ვალია, რასაც შემდარბიების სიყვარული გვაკისრებს.

Acquaintance, n. — ნაცნობი, არს. სახ. — ადამიანი, ვისაც საკმაოდ ვიცნობთ, რათა ფულს ვესესხოთ, მაგრამ არასაკმარისად, რათა ვასესხოთ. ურთიერთობის ის დონე, რასაც შორეულ ვუნდებში, თუკი ადამიანი გაჭირვებული ან მდაბიოა, და ახლოს და გულითადს — როდესაც მდიდარი და ცნობილია.

Actually, adv. — ფაქტობრივად, ზმნიზ. — შესაძლოა; იქნებ.

Adage, n. — ანდაზა, არს. სახ. — ფხებდაცლილი სიბრძნე, სუსტი კბილებისთვის განკუთვნილი.

Adamant, n. — ადამანტი, ალმასი, არს. სახ. — მინერალი, რომელიც, ჩვეულებრივ, კორსეტის ქვეშ მოიპოვება; ოქროს მოზიდვისთვის იყენებენ ხასიათდება.

Adder, n. — გველგესლა, არს. სახ. — გველის ნაირსახეობა. ასე იმის გამო უწოდეს, რომ სხვა უსიამოვნებებს დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებსაც უმატებს, რითაც ისედაც მოშხამულ ცხოვრებას კიდევ უფრო გვიგესლავს.

Adherent, n. — მიმდევარი, არს. სახ. — მომხრე, რომელსაც ჯერ სრულად არ მიუღია ის სარგებელი, რასაც ელოდა.

Administration, n. — მთავრობა, არს. სახ. — აბსტრაქცია, რომელიც მარჯვედ გამოიყენება პოლიტიკაში იმ დარტყმების სამიზნედ, წესით, პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს რომ ეკუთვნის. თაღლითობისა და კრიტიკისაგან თავის დასაცავად სწორედ მათ შემოდგეს ჩალის ეს საფრთხობელია.

Admiral, n. — ადმირალი, არს. სახ. — სამხედრო გემის ის ნაწილი, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებს იმ დროს, როცა გემის ცხვირზე მიმაგრებული ფიგურა ფიქრს კისრულობს.

Admiration, n. — აღფრთოვანება, არს. სახ. — ჩვენი მხრიდან თავაზიანი აღიარება იმისა, რომ სხვა ადამიანი ამა თუ იმ ნიშნით გვგავს.

Admonition, n. — შეგონება, არს. სახ. — რბილი საყვედური, რომლის დროსაც ზოგჯერ ყაბის მსუბუქი საკვეთელაც გამოიყენება. მეგობრული გაფრთხილება.

ცნობილი არის, შეგონებით ვისაც უვლია, იმისი სული სამუდამოდ დაღუპულია.

ადვილი ბრასი

Adore, n. — გაღმერთება, არს. სახ. — წყალობის მოლოდინში თავყვანისცემა.

Advice, n. — რჩევა, არს. სახ. — მიმოცვლაში მყოფი უმცირესი ღირებულების მონეტა.

„კაცს მწუხარება ჰქონდა ისეთი, რომ რაც შემძლო, ძალზე მცირედი,“ თქვა ტომმა, „მივეც კეთილი რჩევა.“

ჯიშმა თქვა: „ვიცნობ, ესა გაქვს ჩვევა, ალბათ, ძალიან დიდხანს ეძებდი, მისთვის რაც უფრო მცირედს შეძლებდი.“

ჯებელ ჯოკორდი

Affianced, pp. — დანიშნული, ზედს. — ვისაც კოჭზე ბორკილი უკვე დაადეს და, საცაა, ზედ ჯაჭვით რკინის ბირთვისაც შეაბამენ.

Affliction, n. — სწეულება, არს. სახ. — აკლიმატიზაციის პროცესი, სულს აქაურზე მწარე, იმქვეყნიური არსებობისათვის რომ ამზადებს.

African, n. — აფრიკელი, არს. სახ. — ზანგი, რომელსაც ჩვენსავით აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

Age, n. — სიბერე, არს. სახ. — ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც ლმობიერად ვეპყრობით იმ ცოდვებს, ჯერაც რომ ვინარჩუნებთ, და უსასტიკესად ვამხელთ მათ, რისი ჩადენაც უკვე აღარ ძალგვიძის.

Agitator, n. — აგიტატორი, არს. სახ. — პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მეზობლის ხეხილის ხეებს ბერტყავს, რათა ზედ ჭიები არ გამრავლდნენ.

Aim, n. — მიზანი, არს. სახ. — ამოცანა, რომლის ამოხნასაც ჩვენ სურვილებს ვავალებთ.

„თავი ასნიე! ცხოვრებაში არ გაქვს მიზანი?“ დაინტერესდა ქალი, ჰკითხა თავაზიანად.

„მიზანი? აბა, მე რა ვიცი, ფაქტი ის არი, რომ გავისროლე — ალბათ, ვინმე დავაზიანე.“

გ. ჯ.

Air, n. — ჰაერი, არს. სახ. — ფრიად ნოყიერი ნივთიერება, რასაც უხვი ბედისწერა ღარიბთა დასაწყობებად აწარმოებს.

Alderman, n. — უხუცესი, არს. სახ. — მოხერხებული დამნაშავე, ფარულ ქურდობას ღია მარადირობით რომ ნილბავს.

Alien, n. — გადამთიელი, არს. სახ. — ამერიკაში: კონგრესმენი თავის ამომრჩეველ შტატში.

Allah, n. — ალაჰი, არს. სახ. — უზუნაესი არსება მუსლიმებთან, განსხვავებით ქრისტიანთა, იუდეველთა და სხვებისაგან.

კეთილ კანონებს ალაჰის ყოველთვის ვიცავ, ცოდვათა გამოც დამიღვრია ცრემლები, ვფიცავ; და ზოგჯერ, როცა მერეთში ვარ, მუხლებზე მდგარი ხელებს ერთმანეთს გადავაჭდობ და მშვიდად მძინავს.

ჯანკერ ბერლო

Allegiance, n. — ერთგულება, არს. სახ.

ეს რალაცა ერთგულება, როგორც ვფიქრობ, არის რგოლი, ცხვირში გაყრილი და საიმედოდ მყარი. მაგრამ, ვფიქრობ, მიმართული სწორად უნდა იყოს, რათა უფლის საკმეველის სიტკობება იგრძნოს.

გ. ჯ.

Alliance, n. — ალიანსი, არს. სახ. — საერთაშორისო პოლიტიკაში კავშირი ორი ქურდისა, რომლებსაც ერთი მეორის ჯიბეებში ისე ღრმად ჩაუყვითა ხელი, რომ მესამის გაჭურვდა ცალ-ცალკე გაუჭირდებოთ.

Alligator, n. — ალიგატორი, არს. სახ. — ამერიკული ნიანგი, ყველა ნიშნით რომ აღემატება გააზიზებული „ძველი სამყაროს“ ნიანგს. ჰეროდოტე ამბობს, რომ ერთ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, ინდი ერთადერთი მდინარეა, ნიანგებს რომ წარმოშობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მას მერე ნიანგებს დასავლეთითაც გადაუნაცვლებიათ და იქაურ მდინარეებში შესამჩნევად გაზრდილან კიდევ. დაკბილული ქედის გამო ალიგატორებს ზოგჯერ მხერხავებსაც უწოდებენ.

Alone, adj. — უფლი, ზედს. სახ. — ცუდ საზოგადოებაში მყოფი.

როცა შეხვდება კაჟი და კვესი, მაშინ ნაპერწკლით გაჩნდება ალი, რასაც ეულად ნილბავდნენ კვესით. კაცო კვესია, კაჟი კი ქალი.

ბული ფაიტი

Altar, n. — საკურთხეველი, არს. სახ. — ადგილი, სადაც ძველად ქრთმის მკითხაობისათვის მსხვერპლის კუჭნაწლავს შლიდა და მის ხორცს ღმერთებისათვის შესანიშნავად ხარშავდა. დღეს ეს სიტყვა იშვიათად გამოიყენება, იმ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, როდესაც მდებრი და მამრი ბრწყინები ერთერთს თავიანთ თავისუფლებასა და სიმშვიდეს სწირავენ მსხვერპლად.

საკურთხეველის წინ ცეცხლზე თავის თავს სწავდნენ, მძღავრობდა ცეცხლი ამითაც. ამო მსხვერპლი! — ღმერთებს დიდებდა ბინძური ცეცხლი არა სჭირდებათ.

მ. პ. ნოპატი

Ambidextrous, adj. — „ორხელა“, ზედს. სახ. — ის, ვისაც მარჯვენა და მარცხენა ჯიბის გაჭურვდა ერთნაირად ემარჯვება.

Ambition, n. — ამბიცია, არს. სახ. — დაუოკებელი სურვილი, სიცოცხლეში მტრებმა გააკიცხონ, სიკვდილის შემდეგ კი მეგობრებმა აგიგდონ მასხრად.

Amnesty, n. — ამნისტია, არს. სახ. — სახელმწიფოს დიდსულონება იმ მტრების მიმართ, რომელთა დასჯაც მეტისმეტად ძვირი დაუჯდებოდა.

Anoint, v. t. — მირონცხება, ზმნ. — მეფის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირისათვის წმინდა ზეთის ნასმა, თუმცა ამგვარი პიროვნება უამისოდაც საკმარისად სლიპინაა.

რადგან მმართველი მირონცხებულნი, მაინც ვერაფრით ვერა ძლებიან, მაშინ ღორები, კარგად ნასუქი, ხალხს უფრო უკეთ გაუძლევიან.

ჯუდიბრასი

Antipathy, n. — ანტიპათია, არს. სახ. — ის გრძნობა, რასაც ჩვენი მეგობრის მეგობარი ალგვიძრავს.

Aphorism, n. — აფორიზმი, არს. სახ. — წინდანის მონელეული სიბრძნე.

დაძველებულ ტიკში როგორც ვერ ჩაახსამ წყალს და ღვინოს, მისი ტვინიც მომწვარულა, რამის თქმა რომ დააპიროს, მის ცარიელ სიღრმეებში ჩასძახებ და ხმა არ ისმის, თუ გადმოვა, სულ პატარა, ერთი წვეთი აფორიზმი.

„შეშლილი ფილოსოფოსი“, 1697

Apologize, v. i. — მობოდიშება, ზმნ. — სამომავლო შეურაცხყოფისათვის ნიადაგის შემზადება.

Apostate, n. — ღვთისგან განდგომილი, არს. სახ. — წურბელა, რის ვაივაგლახით რომ გაბურღა კუს ბაკანი და, რადგან კუ დიდი ხნის მკვდარი დახვდა, ცოცხალ კუს მიანიჭა უპირატესობა.

Apothecary, n. — აფთიაქარი, არს. სახ. — ექიმის თანამზრახველი, მეკუბოვის მწყალობელი და საფლავის ჭიების დამპურებელი.

იუპიტერმა ხალხს წყალობად რომ გამოუგზავნა ლოცვა, ხოლო მერკურიმ მათ ეს გზავნილი ქილით გადასცა როცა, თაღლითთა ღმერთმა კარგად იცოდა, კიდევ რა უნდა ექნა, აფთიაქარის ჯანმრთელობისთვის ავადმყოფობა შექმნა.

აფთიაქარიც მადლობის ნიშნად არ დაუკარგავს ამავს: „ჩემი მფარველის სახელს ვუწოდებ ჩემ სასიკვდილო წამალს!“

გ. ჯ.

Appeal, v. t. — აპელაციის შეტანა, გასაჩივრება, ზმნ. — იურისპრუდენციაში: კამათლების ჭიქაში ჩანყობა ხელახლა გასაგორებლად.

Appetite, n. — მადა, არს. სახ. — განგების მიერ

დასაქმების პრობლემის გადასაჭრელად დანერგვილი ინსტინქტი.

Applause, n. — ტაში, არს. სახ. — წამის წინ გაჟღერებული ბანალურობის ექო.

April Fool, n. — პირველ აპრილს გაბრიყვებული. სინამდვილეში ისეც ის მარტის ბრიყვია, ოღონდაც მის სიბრიყვეს ერთი თვეც შეემატა.

Archbishop, n. — არქიეპისკოპოსი, არს. სახ. — საეკლესიო ავტორიტეტი, ეპისკოპოსზე ერთი რანგით უფრო წმინდა.

არქიეპისკოპოსი რომ ვიყო ხალისიანი, პარასკევ დღეს თევზს შევჭამდი, იყოს თუნდა ფხიანი — ორაგულსაც, კამბალასაც გამოვუტან განაჩენს; ხოლო კვირის სხვა დღეებში — სხვა ყველაფერს დანარჩენს.

ჯოლო რემი

Architect, n. — არქიტექტორი, არს. სახ. — ის, ვინც შენი სახლის დაგეგმარებისას შენი ფულის მოხელთების გეგმებს აწყობს.

Ardor, n. — გზნება, არს. სახ. — ის თვისება, უგონო თუ უგუნურ სიყვარულს რომ ახასიათებს.

Arena, n. — ასპარეზი, არს. სახ. — წარმოსახვითი ვირთხების ორმო, სადაც პოლიტიკოსი თავისსავე რეკორდის მოსახსნელად იბრძვის.

Aristocracy, n. — არისტოკრატია, არს. სახ. — რჩეულ კაცთაგან შემდგარი მთავრობა (დღეს ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით მოძველებულია, ისევე, როგორც ქვეყნის მართვის ამგვარი ფორმა). ცილინდრებსა და თეთრ პერანგებში გამონყობილი ჯეელები — განათლებაში დამნაშავენი და საბანკო ანგარიშის ქონაში ეჭვმიტანილნი.

Armor, n. — აბჯარი, არს. სახ. — ერთგვარი ტანისამოსი, რომელსაც ის კაცი იცვამს, ვისი მკერავიც მჭედელია.

Arrayed, pp. — დაწყობილი, მწყობრში დაყენებული, ზედს. სახ. — გარკვეულ წესრიგში მოყვანილი სიმრავლე, როგორც, მაგალითად, ქუჩის ფარნებზე ჩამოკიდებული მემამოხეები.

arrest, v. t. — დაკავება, არს. სახ. — იმ პიროვნების შეჩერების ოფიციალური შესაძლებლობა, ვინც რაიმე უცნაურობაშია შემჩნეული.

ღმერთმა სამყარო ექვს თვეში შექმნა, მეშვიდე დღეს კი დაკავებულ იქნა — ბიბლიის არაკანონიკური ვერსია.

Arsenic, n. — დარიშხანი, არს. სახ. — ერთგვარი კოსმეტიკური საშუალება, რომელსაც ქალბატონები დიდად სწყალობენ და ისიც საპასუხოდ სწყალობს.

„დარიშხანი? და, საჭმელად ვიყენებთ ამას?“ დაეთანხმა და დაუდგა ახლოს.

„უმჯობესია, შინაურმა ცხოველმა ჭამოს, ვიდრე ჩემ ჩაის ფინჯანში ვნახო.“

ჯოულ ჰაკი





# ამბროზ ბირსი ეშმაკის ლექსიკონი

დასასრული

Art. n. — ხელოვნება, არს. სახ. — ამ სიტყვის განმარტება შეუძლებელია. მისი წარმომავლობა კი ღვთისგან შთაგონებულმა მამა გასალასკა ჯეიპმა ამგვარად განმარტა.

ერთ დღეს ხუმარამ — არამზადაც კი იყო თუმცა — ასოებისგან „ხელოვნება“ ააწყო უცბად, და ვიდრე სიტყვა დაასრულა, ეს გყავთო ღმერთად, გაჩნდნენ მღვდლები და მორჩილები (და მათთან ერთად სანახაობა, მასკარადი და მისტერია, ფიცხი კამათი, შიგადაშიგ ჩხუბიც ერია) თავიანთ ტაძრებს მსახურებდნენ, ცეცხლს ინახავდნენ. კანონს იღებდნენ, სათავისოდ რასაც ნახავდნენ. რიტუალებზე ესწრებოდა ხალხი ესოდენ, გაოგნებულს სწამდათ იმის, რაც არ ესმოდათ, როგორ ერთდებოდა გაყოფილი თმის ორი ღერი (როგორც ეს ძალუძს ხელოვნებას) და არაფერი ამაზე უფრო ღირებული არცაა ყოფილა, არც თმა, რომელიც არასოდეს არ გაყოფილა. შესწირეთ ღვინო, საქმელი და ტანისამოსი, რომ მის მსახურებს გაჭირვების ხმა არ წამოსცდეთ.

Artlessness. n. — სისადავე, არს. სახ. — ფრიად მომხიბვლელი თვისება, რასაც ქალები ხანგრძლივი მეცადინეობითა და თავყვანისმცემელ მამრებზე უსასტიკესი პრაქტიკით გამოიმუშავებენ, რომლებიც სიამოვნებით იტყუებენ თავს, აქაოდა, სულ ჩემი ჭაბუკობის უმნიშვნელო უბრალოებას მაგონებსო.

Asperse. v. t. — ცილისწამება, ზმნ. — სხვა ადამიანს ღვარძლიანად დასლო ბრალი იმ ქმედებებში, რომლის ჩადენის ცდუნება ან შესაძლებლობაც თვითონ არასოდეს გვექონია.

Ass. n. — ვირი, არს. სახ. — საჯარო მომღერალი, რომელიც კარგი ხმითა და ცუდი სმენით გამოირჩევა. ნევადას შტატის ვირჯინია-სიტიში მას უოშო? კანარის ჩიტს უწოდებენ, დაკოტაში — სენატორს, ყველგან — სახედარს. ყველა დროისა და ქვეყნის ლიტერატურა, ხელოვნება და რელიგია ამ ცხოველს ვრცლად და მრავალფეროვნად ასხამს ხობტას; ჯერ არც ერთ სულგმულს არ დაუპყრია და არ ალუტკინებია კაცთა წარმოსახვა ეგზომ ძლიერად, როგორც ამ კეთილშობილმა ხერხემლიანმა. ზოგიერთი (რამასილუსი, lib. II., De Clem., და სტანტატუსი, De Temperamente) იმასაც კი ვარაუდობს, ღვთაება ხომ არ არისო; მართლაც, ვირს თავყვანს სცემდნენ ეტრუსკები და, თუკი მაკრობიუსს დავუჯერებთ, კუპაზიონელიც. იმ ორად-ორი ცხოველიდან, რომლებსაც მუსლიმთა სამოთხეში შეესვენებთ, ერთი ის ვირია, რომელზედაც ბალაამი იჯდა, მეორე კი ის ძაღლია, შეიდი ეფსელი ყრმის შესახებ თქმულებაში რომაა ნახსენები. ეს კი არცთუ მცირე წარმადებაა. ამ ცხოველის შესახებ დაწერილი წიგნები ერთ მდიდარ და მრავალფეროვან ბიბლიოთეკას ქმნის, არც შექსპირის კულტს რომ ჩამოუვარდება და არც ბიბლიის კვლევას. თუ დავფიქრებთ, შეიძლება ისიც კი ვთქვათ, რომ მთელი ლიტერატურა მეტ-ნაკლებად ვირულია.

ანგელოზთა დასი გალობს: „სალამს გიძღვნი, წმინდა ვირსა! უგუნურთა ქურუმო და მეფვე განხეთქილებისა! დიდო თანაშემოქმედო, გარეგნობაც როგორ გშევენის: ღმერთმა შექმნა ყველაფერი; ჯორო არის მხოლოდ შენი!“

Auctioneer. n. — აუქციონერი, არს. სახ. — კაცი, რომელიც ჩაქურჩის ბრახუნით აცხადებს, თუ რამდენი მოიპარა სხვისი ჯიბიდან საკუთარი ენის მეშვეობით.

Australia. n. — ავსტრალია, არს. სახ. — სამხრეთის ოკეანეში მდებარე ქვეყანა, რომლის ინდუსტრიული და კომერციული განვითარება ალუნერლად შეაფერხა გეოგრაფთა კამათმა იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს იგი — კონტინენტს თუ კუნძულს.


Avernus. n. — ავერნი, არს. სახ. — ტბა, რომლის გავლითაც ძველად ქვესკნელში აღწევდნენ. იმ ფაქტმა, რომ ჯოჯოხეთში სწორედ ტბაში ჩასვლით აღწევდნენ, მეცნიერ მარკუს ანსელო მჭვრეტელს აფიქრებინა, რომ სწორედ წყლით ნათლობის ქრისტიანული წესი სწორედ ამგვარად წარმოშვა, თუმცა ლაქტანციუსმა ამ ვარაუდის სიმცდარე დაამტკიცა.

ავერნის დაღმართზე იოლად ეშვები, პოეტმა წარმოსთქვა; მართლაც, არნახული იოლი გზა არის, დაღმართზე დაშვებულს როდესაც მოგყვება უკნიდან პანდური.

ჯივლ დეი ლიუპი

<sup>1</sup> უილიამ კუპერის (1731-1800, ინგლისელი პოეტი) ერთ-ერთი საგალობლის პირველი პნქარის („ღმერთი იღუპალი გზებით დადის“) პერიფრაზი.  
<sup>2</sup> ამერიკელ ინდიელთა ტომი, ნევადას შტატის ტერიტორიის ძირძველი მოსახლეობა.

# ბეკა ქურხული თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერები ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



გაგრძელება

შენ კიდევ მოსულხარ და მიყვები აქ ზღაპრებს. არადა, კაცი გყავს დასაბრედი, ვერ მოვივლია და უაზროდ დაბორთავდა აქეთ-იქით, დაძრწინარ უგვარტომო და უჯიშო მანანალასავით. ხომ ასეა?..

უხმოდ დაუქუნიე თავი. თუმცა კი გული რისხვით მეგებოდა და სულ დამაინყდა შიშიცა და რიდიც. მხოლოდ იმანლა შემაცბუნა, მამამისსაც ჯემალ ედ დინი რომ ერქვა. ის კი აღარ გამკვირვებია, ამ გრძნულმა ბიჭმა — წყალქვეშ სამყაროს მბრძანებელმა — მამაჩემის სახელი რომ იცოდა. ეტყობა, კიდევ ბევრ რამესაც ამოცნობდა მისი გონება...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ ტრაკი არ გყოფნის და ვერა კლავ. ეს ამ არიფებს ჰგონიათ კაცის მოკვლა ადვილი, ტელევიზორისა და კომპიუტერის ყურებისგან სულ გამოსირდნენ. კაცის მოკვლა კი არა მარტო ძნელი, არამედ უაზრო საქმეც არის. მაინც მოკვდება თავისით და რაღაზე უნდა ეჯავჯგურო? თქვენ მოკვდავები ხომ მაინც პეპლებივით ერთდლიანები ხართ? გაანებე თავი!.. რომც მოიკრიბო ძალა და გამბედაობა და მოკლა, აბა, ავის მეტს რას გამოჩნები?.. ქალის, ფულისა და საქმელის გამო კაცი როგორ უნდა მოკლა?.. მაგარი არაქურდულია. არასწორი. იყენებ ბედნიერად თავისთვის, რას ერჩი?.. თუ გამოთხრილი თვალის აბაროტს ჩალოწობ კიდევ, ეგ იმის ნაცვალის იყოს, იმ კაცს ამდენი ხანია, ცოლს რომ უყიმა. აბა, როგორ გინდა? მოდი, კაი სიტყვას გეტყვი — დარჩი ჩემთან, მარტო ვარ ამხელა სამყაროს გამგებლად. ამომივიდნენ ეს თევზები, დელფინები, მოლუსკები, რვაფეხები და კაშალოტები ყელში...

აი, აქ კი მაგრად დავფვთი. მიგხვდი, რომ აქ დარჩენას სიკვდილი მერჩინა და ტყუილად ვუბღვერდი აქაურობის ბატონ-პატრონს, რადგან მხოლოდ მისი ნება იყო ჩემი ტყვეობიდან დახსნა თუ დაღუპვა და საშინელი, სამუდამო აღსასრული.

იმ წამსვე მის წინაშე დავემხე და გულამოსკვნილი შევევრე:

— ო, მორჭმული და ბრძენო ფადიშაჰო წყალქვეშ თვალწარმტაცი საბრძანებლისა, ვხედავ, ყოვლადმონყალე ალლაჰს გულთამხილაგი და მრავლისმჭვრეტელი გონებით დაუჯილოვებხარ და რაც შენ ერთგულ ნუქერს გადახდენია, რაც მის გულსა და გონებას იპყრობს, თავად მასზე უკეთესადაც მოგხსენება. ახლა მხოლოდ ერთსა ვთხოვ და დარწმუნებული ვარ, ჩემი სათხოვარიც უკვე მოგხსენებათ — გამიშვი აქედან, დავბრუნდე მე უბადრუკი ჩემს ცოდვილ სამყოფელში — დედამიწაზე და ვფიცავ ყოვლად მონყალე ალლაჰის უკვდავ სახელს, სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მაღლიერი და მაღალი ტახტის დიდებისათვის მლოცველი ვიქნები.

წყალქვეშ სამყაროს მბრძანებელი კიდევ უფრო ყურადღებით დამაკვირდა. თან ისევ დამცინავი ღიმილი აეკრა სახეზე. მან ხომ დაინახა და იგრძნო კიდევ, როგორი ბოღმითა და სიძულვილით ვუყურებდი, ახლა კი დამცინებულ ვევედრებოდი შეწყალებასა და გაათავისუფლებას.

— ყური მიდგე. შენ არა ხარ იმ საშინელი და სასტიკი სამყაროსთვის გაჩენილი, სადაც ცხოვრობ. თან ხომ ვხედავ, გული უფრო დამინებული გაქვს, ტყუილადღა იქნევ იმ შენს ხმალს და აფრთხობ თხებსა და ხეების ჩრდილებს. ამ შიშის გამო ან უამრავ სისხლს დაღვრი და თავსაც დაიღუპავ, ან კიდევ უარესი — ასე გულდადებლებული, დაჩაგრული და გაბოროტებული დიდხანს, დიდხანს იცხოვრებ, ვიდრე საკუთარ ბოღმასა და ნალველში არ ჩაიხრჩობი და არ ჩაძალთობი.

ისევ გადამიარა შიშმა და მორიდებამ და ისევ სიძულვილითა და სიბრაზით ალვიესე. ამ შაჰინ-შაჰის ტახტზე წამონოლილი უცნაური, უცხო ბიჭის გულთამხილაობამ, პირდაპირ სულზე და ღირსებაზე დამაბიჯა. თან გრძნობდა, განწყობა ასე ყოველწამიერად რომ მეცვლებოდა და ისეთი დამცინავი ღიმილით მიყურებდა, როგორც კატა, უკვე კლანჭებში მოქცეულ, დასალუპად განწირულ თავის რომ ეთამაშება.

— კიდევ ერთხელ გთხოვთ, მონყალე მბრძანებელი — წელში გავიმართე და მტკიცე და დამაჯერებელი ხმით მივმართე, — თუ თქვენი უმაღლესი სურვილიც იქნება, გამათავისუფლეთ და სახლში დაბრუნების ნება დამრთეთ, თუ არადა, ძალა თქვენს ხელშია და სამართალი — ყოველადმონყალე ალლაჰის განგებას ვინ გაპქვევია, რომ მე წაუვიდე?

— ვაახ, გაბრაზდი, იუზგარ? — წყალქვეშა სამეფოს მბრძანებელი ჩემსკენ გადმოიხარა და კიდევ უფრო ყურადღებით, ინტერესით დამაკვირდა, — ნახე, რა ამიკრიფა? სალოლ, უფრო მაგარი ყოფილხარ, ვიდრე მეგონე, — უკვე ვეღარც ვიგებდი, როდის მაქებდა და როდის დამცინოდა, — ისე კი თქვენზე — მეომრებზე — მშობარა ხალხი არ მეგულედა. სულ შიშში ხართ, თქვე უბედურებო. აბა, ბრძენ მეცნიერებს — აბუ ალი იბნ-სინას, ფსევდოდირისე არ-ეოპაგელს, აბუ ნასრ ალ-ფარაბის, იოანე პეტრინს ან ჰამიდ ალ ლაზალის — რა შეაშინებდათ?! ისხდნენ თავისთვის სენაკებში, ფილოსოფოსობდნენ, მეცნიერობდნენ და მნიგნობრობდნენ. თქვენ კი ვერაფრით გაიზარდეთ, თქვენი ბავშვობის შიშებს ვერ სძლიეთ, იქვე ჩარჩით, დღემდე ხმლებს იქნევთ, ომობანას თამაშობთ და ერთმანეთს სჩეხავთ.

ძალიან გაგვრაზდი. რომელი ბაღდადის ხალიფისა და ერანის შაჰის კარზე გაზრდილი მე გახლდით, მაგრამ რომ ვუყურებდი, მგონი, მასზე ყბედი და უმაქნისი მბრძანებელი ქვეყნად ძნელად თუ მოიძებნებოდა.

— მე კი ისევ უმორჩილესად გთხოვთ. ო, უდიდებულესო...

— მომისმინე, ბიჭო, ტო! სიმდიდრე გევასება?.. — ხელი გაიწოდა და ჩვენთან თავისით მოცურდნენ და გაიხსნენ აურაცხელი თვალ-მარგალიტითა და ოქროთი სავსე სკივრები, — მაგრამ შენ, მე მგონი, ქალები უფრო გიზიდავს, — მეორე ხელი გაიწოდა და დარბაზი ისეთი ქალებით გაივსო, ეს ერთადერთი თვალის დამიგებმა, — ძალაუფლება გინდა და აგერ ამხელა, უკიდვანო, ხუთ დედამიწისხელა წყალქვეშა სამყაროში სულ ორნი ვართ. არ გეყვითა?.. იყავი შენც მბრძანებელი, შენთვისაც დავამზადებთ ასეთს, — და თავის სამეფო, ოქროს, უმდიდრეს და ძვირფასი თვლებით მოოჭვილ სამფეხა სკამს მარცხენა ხელი დამკრა, რომლის არათითზე ვერცხლის მგლისმებლემიანი და ვერცხლისავე წმინდა სულემიანის — ალლაჰის, მშვიდობა მას — ბეჭდები ეკეთა.

— კიდევ ერთხელ გევედრებით, ო, წყალქვეშა ქვეყნიერების მპყრობელი, დამაბრუნეთ ჩემს მტკრიან ყიშლაღში, ჩემს ღარიბულ ბნელ ქოხში. არც გვართ — რომელი ყარახანიდების შთამომავალი მე ვარ — არც დამსახურებით, არც გონიერებით არა ვარ ამხელა წყალბობის ღირსი. ვერ შევიშნოვებ, თქვენც თავს შეგანყენთ და მეც თავს მოვიჭრი. გთხოვთ, ნუ იზამთ მავას. გამათავისუფლეთ, გამიშვით ჩემს კუთვნილ, უბედურ და ცოდვილ გზაზე.

— ეე, არა და ნუ. ერთი შენი შაბათის მათხოვარი მანანალა დედაც... მიდი, შეაყოლე აქედან, — და უცებ, არ ვიცი, საიდან გაუჩნდა ხელში ჰატარა, შავი ქვა, რომელიც დამცირების ნიშნად უპატრონო ძალივით მესროლა, — შაა, დაახვიე აქედან. არ დაიფასა თავი ამ ჩემისამ?..

კვლავ ვერაფერი გავიგე, რას მეუბნებოდა. მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ისევ მაგინებდა, შეუცრახმყო და გამაავლა. ამ დროს უცებ გამინათდა გონება როგორც იქნა, მივხვდი — ეს ბიჭი ამ ბრწყინვალე წყალქვეშა სამყაროს სულთანია, მბრძანებელი, შაჰინ-შაჰი კი არა, ჩემნაირი და ჩემზე უარესი მანანალა, ავარა და შარავზის ყაჩაღი იყო, წყეული შიითანის ნებით აქ გაბატონებული და თავადაც წყეულად ქცეული. რადგან რაც უნდა ბოროტი და დაუნდობელი მბრძანებელი იყოს, შეიძლება, განამოს, გაგროზგოს, თავი მოგკვეთოს ან შუაზე გაგჩეხოს, მაგრამ არასდროს იკადრებს, ასე უხამსად გაგლანძლოს.

უცებ ყველა წყენამ ერთად მომიარა — ნურ მუჰჰამად ბანის, საკუთარი მამიდაშვილების, ჩემივე ცხენის, რომლისგანაც ჩარტყმულ დამსაკურ იატაგანს ახლაც ბეჭებით ვიზიდავდი. აქ კიდევ ეს ვიღაც უცნაურად ჩაცმული და მოლაპარაკე გადამთიელი შარახვეტია მასხრად მიგდებდა და მაგინებდა.

მეტსმეტი სიბრაზისა და სიძულვილისგან მოულოდნელად ხელში მშვილდი და ერთადერთი ისარი გამიჩნდა. ეგრევე მოვზიდე, ცალყბად გაცინებული, წყალქვეშა მბრძანებლის ტახტზე მხარ-თეძობ წამონოლილ ბიჭს მკერდზე დაუჭიხე და გაუშვი. ისარი პირდაპირ გულში მოხვდა და აძაძაგდა. ინშა ალლაჰ მარჯვედ ნასროლი გამომივიდა. უცებ გულში გაყრილ ისარსაც და მკერდახვერტილ, ჯერ კიდევ დამცინავად გაღიმებულ ბიჭსაც ბოლი ვარდა და წამის მუასედში შავად დაიფერფლა ისე რომ, იმ უზარმაზარი და უმდიდრესი წყალქვეშა სამყაროს მბრძანებლის ოქროს ტახტს ფერფლადაც არ დააჩნდა. მეც სასწრაფოდ მოვცოცხე იქიდან ხელში შერჩენილი უისრო მშვილდიანად.

ისევ ჩემს ყიშლაღთან აღმოვჩნდი და სახლისკენ გავიქეცი. წყალქვეშა სამეფოდან გამოყოლილ მშვილდს ისე ვუჭერდი ხელს, თითები მეტკინა. პირველ რიგში, ჩემს გოთვერან ცხენ არაფმას დაფუწყე ძებნა, რომლის ჩარტყმული ძვლისტარიანი დამასკონი იატაგანი ახლაც ბეჭებშუა მქონდა გაყრილი. ან შა უომომადობა?.. მინდოდა, ვიდრე ყელს გამოვლადრავდი, ერთი თვალბეჭი შემეხედა და გამეგო, მას რაღა დავუშავე, ერთი რომელი ახალთექური ფაშატი შევუცდინე, რისთვის მილალატა და გამიმეტა სასიკვდილოდ?..



დასასრული

ლადო კოტეტიშვილის მოთხრობაში თავად წინაკაც სიფრთხილის, ან სიმბოლოს გაძლიერების, მისი შეფარული სახის ხატოვნების გამკვეთების გამო შეიძლება იყოს მოყვანილი, რადგან მოდავების შემთხვევაში (ვგულისხმობ სიფრთხილეს) ავტორს შეეძლო, ეთქვა, რომ წინაკაც შეიძლება, ყოფილიყო მწვანე და სიცოცხლის ფერი განესახიერებინა (ვეყრდნობი ფერწერაში აღიარებულ თეზას მწვანე ფერის შესახებ). ყოველ შემთხვევაში, ჩვენი „წინაკაცისფერი სახლი“, შიგნით არსებული განწყობების მიხედვით, წითელია და წინაკაცისფერიც საოცრად შთამბეჭდავად აქვს მწერალს შერჩეული.

სიმბოლოზე ამდენ ხანს იმიტომ შევჩერდი, რომ ლადო კოტეტიშვილი სწორედ სიმბოლისტ მწერლად უნდა მივიჩნიოთ, სიმბოლოა აქ ყველაფერი: „ახალი ემმაკის“ სახე, მთავარი გმირის ზენოს სახელი და მის ოთახში მოთავსებული თითქმის ყველა ნივთი; სიმბოლოა მონასტრისა და ძველის შეპირისპირებაც...

მწერლის დაბადება-გარდაცვალების თარიღებია 1895-1940 წლები. მოგეხსენებათ, მეოცე საუკუნის 10-იანი წლებიდან ამავე საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით, ქართული სიმბოლიზმის ჩამოყალიბება-აღორძინების პერიოდი, თორემ ისე ქართული მწერლობა სიმბოლოებით მანამდეც აზროვნებდა და მათი ღირსეული მემკვიდრეა ლადო კოტეტიშვილიც, რომელმაც ასე საოცრად და გამორჩეულად გადმოგვიშალა თვალწინ თავისი მწერლური განცდები.

მისი შემოქმედებითი საქმიანობაც სწორედ ქართველი სიმბოლისტების, „ცისფერყანწელების“ შემოქმედებითი აქტიურობის პერიოდს ემთხვევა. როგორც მწერლის ბიოგრაფიიდან ირკვევა, ლადო კოტეტიშვილს აზრადაც არ მოსვლია, ნაწარმოებები განსასჯელად გამოეტანა. წერდა და ინახავდა შესანიშნავ მოთხრობებს, ან როგორ გამოამზებდა და „ბოლშევიზმის“ რეპრესიების დროინდელ საქართველოში, სადაც აზროვნება, სიკეთე და სამშობლოს სიყვარული დანაშაულად ითვლებოდა; სადაც უბრალო, მაშინდელი ხელისუფლებისთვის არასასურველი სიმღერის, ლექსის, სიტყვის გამოც კი სიცოცხლეს ესაღებოდნენ. ვიცით, რეპრესიების მსხვერპლი იყო მწერლის ძმა ვახტანგ კოტეტიშვილიც.

დათრგუნული, ფიზიკურად განადგურებული და დაზარალებული ინტელიგენცია ჩუმად და იატაკქვეშეთშიც, თუნდაც მხოლოდ თავის თავთან დარჩენილი, მაინც იბრძოდა და ამ ჩუმ ბრძოლის ნიმუშია ეს მოთხრობაც.

ზენოს ოთახში ჩნდებოდა ემმაკი. „ისეთი ემმაკი კი არა, ყველას რომ წარმოუდგენია, წითელი ფერის, წითელი თვალებით, რქებით, შავი ღვინო. მისიხანე, რაღაც საშინელი. არა, ეს ემმაკი ახალი ემმაკი იყო, უწყინარი, პატარა, გალიფე შარვლით, ტყავის „კურტიკით“, ძალიან დიდი პორტფელით, კუდი ჰქონდა თუ არა ეს კი აღარ მახსოვს. ალბათ ჰქონდა, იქ სადმე, შარვალში ჩაჭედვილი“ — აღწერს მწერალი თავის განსხვავებულ ემმაკს, რომელიც ახალ დროს მოუტანია, ახალს — ბოლშევიკურ რევოლუციას, ემმაკის ჩაცმულობა-აღკაზმულობა რევოლუციონერთა იერს ატარებს. მას აცვია გალიფე შარვალი და ტყავის ქურთუკი, უჭირავს დიდი პორტფელი, თანაც ადამიანის სახით ევლინება ზენოს. ერთია ოღონდ, ადამიანად ვერ დარჩებოდა ემმაკი ბოლომდე, მას ემმაკეული ერთ-ერთი ნიშანი აუცილებლად უნდა ჰქონოდა და ეს იყო კუდი, რომელიც ადვილად შესამჩნევად ვერ იქნებოდა, ამიტომ არ არის ნაწარმოებში კუდი თვალის დასახიზი. ის თითქოს შარვალში აქვს ემმაკს.

ქაოსი და მოუწესრიგებელი ყოფა ყოველთვის ნეგატიური მოვლენების წინაპირობაა, ამგვარ სიმბოლოურ დატვირთვის ვხვდებით, თანაც მეტად ორიგინალურსა და თამამს თხრობის თვალსაზრისით, როცა ზენოს საცხოვრებელ „წინაკაცისფერ სახლში“ მდებარე „მრუდე“ ოთახს აღწერს ავტორი: „უმთავრესი თვისება ამ სახლისა ის იყო, რომ ყველა შიგ შემსვლელს მაშინვე ხასიათს უფუჭებდა. სხვანაირად ეს ოთახი ბრიყვი თუ ძალიან რეგენი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა მუდამ. ოთხი

თითის დადება სარკე, გატყეხილი სკამი. დანგრეული საწოლი. ძალიან ცუდი პირსახიანი. ბევრი მტვერი და კიდევ ბევრი სხვა გამოუსადეგარი ნივთი ეყარა ოთახში. თითქმის არ ჩანდა, თუ რომელი ნივთი რა დანიშნულებას ასრულებდა. უკეთ, რით ემსახურებოდა პატრონს“.

სწორედ ასეთ არამშვენიერ გარემოში უნდა დაესადაგურებინა ემმაკს, რადგან ვიცით, რომ წესრიგსა და მშვენიერებას უფრო განონასწორებული და მაღალი ფასეულობები ჩნდება, ჩნდება ღვთიური და არა ემმაკეული სახეები.

ემმაკი ხშირად სტუმრობს და ესაუბრება ზენოს ამ ქაოსურ ოთახში. მის მონოლოგში აშკარად იკვეთება 1917 წლის რევოლუციის „მონაპოვარი“ და უკვე ეჭვი აღარ ჩნდება ავტორისეული პოზიციის ძიებისთვის; ასე რომ, აქ საქმე გვაქვს როგორც სიმბოლოურ მოდელთან, ასევე მწერლის მიერ ნათლად გაცხადებულ პოზიციასთან.

როცა მხატვრულ ტექსტებში გვხვდება რომელიმე თავის თავთან მარტოდ-მარტო დარჩენილი პერსონაჟის მონოლოგი, ასეთი შემთხვევები გავრცელებულია, მაგრამ ლადო კოტეტიშვილის ამ მოთხრობაში სხვაგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ქეთევან შენგელია

„ერთ-ერთ ქუჩაზე წინაკაცისფერი სახლი...“

თითქმის მთელ მოთხრობას ხან დიალოგის, ხან მონოლოგის სახე აქვს მიღებული. ფაქტობრივად, ფიგურირებენ მხოლოდ ზენო და ემმაკი (მცირე მონაკვეთებში, მსუბუქი ყოფაცქვევის ქალიც და მოძღვარიც) და აქედან გამომდინარე, რაღაც თქმა უნდა, მკვეთრი სიუჟეტური განვითარებითა და აღმავლობით, კვანძის გახსნის ფორმით არ გამოირჩევა ნაწარმოები. მიუხედავად ამისა, და აგრეთვე, მიუხედავად პერსონაჟთა სიმწირისა, მოთხრობა სხარტად იკითხება. მკითხველი სულმოუთქმელად ეცნობა ზენოს სულიერ თავგადასავალს. ეს ყოველივე კი მწერლის გამორჩეულ ხელწერაზე მიუთითებს.

ბოლშევიკური რევოლუციის გარემოს მიერ შექმნილი ემმაკი მოქცეულია ზენოს ხილვებსა და რეალობას შორის. ის ძალიან საინტერესოდ შემოჰყავს მწერალს ნაწარმოებში. ემმაკი რევოლუციურ იდეებს ამჟღავნებს საუბრისას და ზენოსაც, რაღაც თქმა უნდა, ამ „სასიკეთო“ სიახლისკენ უბიძგებს, რის შედეგადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ლუპავს მას.

აქ ნაჩვენებია ტიპური მოდელი ემმაკეულთა „ნესისა“, რომელიც გულისხმობს ჯერ ცხოვრებისეულ ტკობას, უკეთესი ყოფისკენ ფეხის გადადგმას და შემდეგ ადამიანის განადგურებას. ამ ნიუანსებს ვხვდებით ნაწარმოებში.

საინტერესოა აღწერილი ზენოს „წინაკაცისფერი სახლის“ ქაოსური და საშინლად მოუწესრიგებელი ოთახიდან სხვა, უფრო კომფორტულ და მოწყობილ ბინაში გადასახლება, გმირის „დანიშნულება“ და ახალი გარემოების შესაფერისი სამოსი... ამ ყოველივეს სანაცვლოდ მან უარყო წარსულის ღირებულებანი, ძველი საქართველოს ისტორია, რწმენა. ათასწიერი გულმსყვებისა და მტანჯველი ფიქრის შემდეგ თანდათან გაიზიარა ემმაკის აზრები ცრუ თავისუფლების შესახებ, რომელსაც ძალადობის გარდა არაფერი უნდა მოეტანა.

ზენომ თავად ანამა საკუთარი გული. ახალი, რევოლუციური, „საბჭოთა საქართველოს“ მსახურად ქცეული მოთხრობის გმირი დემონსტრაციაზე მიხვდება, რომ „მასა“, რომელთა ნაწილიც თავად გამხდარა, „წითელი დროებით აპოკალიფსისებურ მხეცივით ეჩვენებოდა, ედგა წინ და რევანშს მოითხოვდა. ტვინიც სტიკოდა და გულიც... ასეთი ტვივილი ემართება ალბათ ისეთ კაცს, ვისაც შეუძლია, საკუთარი გული ამოიღოს, აი, ის ცხელი გული, მაგრად ჩასჭიდოს ხელი და გასწუროს. მინაზე დაანარცხოს. აფურთხოს...“ მიგვანჩნია, რომ ასეთი ცხოვრებისეული გარიგებები კეთილდღეობის გამო მხოლოდ ამ კონკრეტულ ისტორიულ დროს არ ეხება; იმპერიალი ტანჯვ-

ვამდე მიდის ადამიანი ნებისმიერ ქვეყანასა და ეპოქაში, თუ ის მისთვის ყველაზე ძვირფას და სასურველ ყოფას ან საქმეს, რასაც გულით და სიყვარულით აკეთებს, წვრილმანებზე გაცვლის.

„გასაბჭოებელი“ საქართველოსთვის მეტად მტკივნეული პერიოდის აღწერით საზოგადო თემებზე ჩაფიქრებასაც გვთავაზობს ავტორი. მოთხრობაში გმირის სულიერი ტანჯვა თვითმკვლელობით მთავრდება, რომლის ნაწყმედილი სული ემმაკამაც აღარ წაიღო, „რადგანაც იმ ჯოჯოხეთში ამაზე მეტი წვალეა აღარ ეგულეობდა“.

ზენო საკუთარ პიროვნებაზე ამბობს უარს. ამის ლოგიკური გაგრძელება ყოველთვის ტრაგედიაა და, ვფიქრობთ, ავტორის განაცხადიც ნათელია.

ბოლშევიკებმა შესთავაზეს ხალხს ადამიანის აზროვნებისთვის ყოველად მიუღებელი ყოფა — ყველას ეცხოვრა ერთნაირად. საზოგადოებისთვის ძნელია დაჯერება აბსოლუტური უაზრობისა; მაშინ ეს ძალით უნდა „დააჯერო“ ხალხს, რაც გააკეთეს კიდევ. ხალხი ვერ გააცნობიერებს, როგორ უნდა იცხოვროს ერთნაირად ურწმუნოდ და მიწმუნუნემ, გონიერმა და უტყვიანობამ, გამრჯემ და ზარმაცმა, ბოლოს

და ბოლოს, ნიჭიერმა და უნიჭომ... რევოლუციონერთა მიერ გათანაბრების მცდელობის იდეოლოგია კარგად არის გადმოცემული ემმაკის საუბრებში. ნაწარმოებს იუმორიც სდევს თან, ხშირად მწარე იუმორიც, რომელიც თავსმოხვეული და ზედმეტად არტისტული ფორმით კი არ არის გადმოცემული, არამედ ლადო კოტეტიშვილის თხრობისთვის ეს ბუნებრივი სამწერლო რესურსია.

ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება ადგილი, სადაც ზენო რევოლუციისაზე საუბრობს, რომელიც ვაგონებით „შემოიტანეს რუსეთიდან“, ის არ მომხდარა, „ის შემოიტანეს“ — გვეუბნება გულგაგლეჯილი ავტორი და იქვე ახსენებს 1921 წელს, სისხლს, მკვდრებსა და რისხვას...

ემმაკი ყვება, რომ სისხლისმსმელი დინასტია დაემხო, განადგურდა ბურჟუაზია, გათანასწორდნენ ადამიანები, არავინ აღარ ბატონობს სხვაზე. პროლეტარიატის მტერი განადგურდა და ყველაფერი ხალხის სასიკეთოდ იქნება.

ზენო თავის არგუმენტებს იშველიებს და ეკამათება ემმაკს. ის თითქოს თავსაც კი იცავს ამით, იცავს იმ ყოფასაც, რაც მისთვის ჩვეული და ბუნებრივი იყო... ცდილობს, ახსნას, რომ თანასწორობა მითია, ზღაპარი, დაუჯერებელი ამბავი. გმირი მიიჩნევს, რომ „რევოლუციამ ვერ მოსპო ჩაგვრის პირობები... ხელახლად გაჩნდა ახალი, წითელი ღმერთი, ცოცხალი ეკლესია, ახალი ჟულიკები, ახალი აფერისტები, ახალი პოდლეცები... ვინ ვის დაჩაგრავენ და გაამასხარავენ, ბურჟუაზია პროლეტარიატს თუ პროლეტარიატი ბურჟუაზიას, ეგ სულერთია, ბატონობა მაინც უნდა იყოს ქვეყანაზე... სოციალიზმი ტყუილია“.

ის ფიქრობს, რომ პროლეტარიატის დაწვეული უპირატესობის ჩინი, ან თუნდაც პატარა მანდატიც კი აუცილებლად გამოიწვევს ხელახალ უფროსობას: „თუ უფროსი იქნება — უმცროსიც იქნება. მამასადამე, ბრძანებაც იქნება, სულ პატარა ბრძანებაც, დამორჩილებაც იქნება, სულ პატარა დამორჩილებაც... ხომ! მაშინ როგორღა იქნება თანასწორობა!“

ემმაკთან გამართული ამ დიალოგიც ზენო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უარყოფს თანასწორობის ცრუ იდეას, რომელსაც რევოლუციის ბელადები ქადაგებდნენ, მაგრამ ავტორი კიდევ უფრო ღრმად და მზოგადსაკაცობრიო ანალიზს აკეთებს ამ მსჯელობიდან, ამიტომ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ბატონობა სხვა ადამიანზე, რომელსაც თანამდებობრივი დანიშნულების საფუძველი აქვს, მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ან ფორმაციის მახასიათებელი კი არ არის, არამედ კაცობრიობის არსებობის ერთ-ერთი უხეში და საზოგადო გამოვლინებაა. ამიტომ

მიგვანჩნია, რომ საბჭოეთის დაუწოდებელი და სისხლიანი პოლიტიკის კრიტიკის მიუხედავად, მწერლის სააზროვნო სივრცე უფრო მასშტაბურია და რომელიმე ეპოქის საზღვრებში მას ბოლომდე ვერ ჩავატევთ; თუმცა ეს მხატვრული ტექსტი საქართველოს ყოფის ერთ კონკრეტულ, ჩვენს მიერ უკვე დასახელებულ, ისტორიულ ეტაპს ნამდვილად ასახავს.

ნაწარმოებში ნაჩვენებია ჯვრის მონასტრისა და ლენინის ძეგლის შედარება, ლენინის ძეგლი რკინის ფიგურაა, რომელიც მოთხრობაში ახალ ღმერთად არის გამოცხადებული, ხოლო ტაძარი ქვისაა. მაინც რატომ არის ნახსენები რკინა და ქვა, არ კმარა ძეგლისა და მონასტრის პარალელი? აქ ავტორი სიმბოლოს ორმაგი არგუმენტით ტვირთავს. ლენინის ძეგლი ხელს მიწისკენ იშვერს და ცხადია, ის მიწიერი უნდა იყოს; ძეგლი ნაწარმოებში ცხელია, რადგან ჯოჯოხეთურ მხურვალეებს გვაგონებს, ხოლო ჯვრის მონასტერი ქვისაა, ცივია და ზევით არის მიდრეკილი. აქ ავტორი ზეცაზე, უფალზე მიგვანიშნებს.

რატომ არის ძეგლი ახალი ღმერთი, ისედაც გასაგებაა, ლითონის შემოტანა კი ნაწარმოებში ადამიანის ხელით შექმნილ მასალაზე მიუთითებს; ლითონები კაცობრიობის განვითარების შემდგომი მონაპოვარია, ასევე ცეცხლიც, რომელიც სიცხესთან ასოცირდება. ქვა კი ბუნებრივი რესურსია დედამიწისა და ის თავისთავად არსებობდა ადამიანისა და სამყაროს გაჩენის დღიდან. ქვა უფლის შექმნილია, ისევე როგორც ადამიანი და ამიტომაც აქვს საგანგებოდ ავტორს ის „ხაზგასმული“.

ნაწარმოებში კიდევ ბევრი სიმბოლოური ხატი გვხვდება, თუნდაც გმირის სახელი ზენო, რომელიც, სავარაუდოდ, ზენონის კინობითი ფორმა უნდა იყოს. გარდა ამისა, ნაწარმოების დასაწყისში გვხვდება უზნეო ქალი, რომელიც რუსია, თან ლანძღავს ბურჟუებს და რუსული უხამსი ტექსტებით ესაუბრება გმირს. ავტორის პოზიცია ამ შემთხვევაშიც ნათელია.

მხატვრული ტექსტი საკვება პარალელებით; ის, რაც უფალთან და ადამიანის ღირსებასთან არის დაკავშირებული, გათელილი და განადგურებულია პროლეტარიატის „წითელი, ახალი ღმერთის“ და მისი იდეოლოგიის მიერ. საქართველო იმუღბლით რომ არის ამ უზედურებაში ჩათრეული, ესეც შესანიშნავად იხატება ამ უჩვეულო მოთხრობაში.

ავტორს აქვს უფლება, ღირსების თემაზე ისაუბროს, რადგან ლადო კოტეტიშვილი ის მწერალია, რომელიც დიდი და შემზარავი გარიგების მონაწილე არ გახდა, არ უყვარია თავისი ნიჭით და სული არ დაუზარალებია.

ნიგნში მოთხრობას ერთვის სალომე კაპანაძის ძალიან საინტერესო წერილი, რომელშიც გარდა ნაწარმოების შეფასებისა, ლადო კოტეტიშვილის პიროვნების, მისი ღირსეული ადამიანობის მცირე შტრიხებიც არის გაჟღერებული, ექიმი თავისი ფულით ხშირად მკურნალობდა ავადმყოფებს — ჯერ მარტო ეს გულჩვილობა და ეთიკური სიმაღლე ხატავს ლადო კოტეტიშვილის პორტრეტს, სხვას რომ თავი დავანებოთ.

მოთხრობამ „ემმაკი გალიფეში“ უკვე მიიქცია სათანადო ყურადღება, მოეწყო წარდგინებებიც. ქართული ლიტერატურის მუზეუმში გამართულ წარდგინებაზე ნიგნის შესახებ ისაუბრეს მწერლებმა და მეცნიერებმა: როსტომ ჩხეიძემ, მანანა გაბაშვილმა, ლია წერეთელმა, ამირან არაბულმა, მანანა ჯანელიძემ, სალომე კაპანაძემ, თამარელა ნოზორიამ, იოსებ ჭუმბურიძემ... ლადო კოტეტიშვილის არქივის შესახებ მოგვითხრო ქალბატონმა ნანა კოტეტიშვილმა და მაღლომა გადაუხადა იქ დამსწრე საზოგადოებას.

ლადო კოტეტიშვილის საკვება განცდებით დამუხტული გმირები თანდათან რჩებოან მკითხველის მეხსიერებაში. შემოქმედით თავის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ ლიტერატურაში. ეს მოთხრობა მიმზიდველია თვალისმომხვევტი შედარებებით, სიმბოლოთა ნაირგვარობით, ემოციური ექსპანსიით და ეპოქალური რეალობის სიზუსტით. არ მგონია, ვინმემ ნაიკითხოს „ემმაკი გალიფეში“ და როდესმე დაავიწყდეს ის. ამით იზომება ავტორის მნიშვნელობაც და მისი ნიჭის სიმაღლაც.



### ბელა ახმადულინა

\*\*\*

ანვიმს სახეს და ლავინს,  
ელვა ეხვევა ანძას.  
ვით ხომალდს შტორმის ტალღა,  
მოგექდე, ვერვინ დამძრავს.

რა უნდა მოხდეს... არ ვცნობ  
მე ფიქრებს, მიუსაფრებს,  
დამშლის დარდი, თუ აშლის  
ბედნიერება აფრებს.

ხან ვხარობ, ხანაც შიშს ვსდევ,  
ვისაც ხომალდი მიჰყავს.  
არ ვხანობ, მას რომ შევხვდი,  
არ მაშინებს, რომ მიყვარს.

### აპრილი

გოგონებს რომ სურთ ტრფიალის მხილება,  
ბიჭები რომ ლაშქრობებში დადიან,  
მაშინ გულელებს ერთად მყოფებს ადრიან,  
რადგან აპრილს სდევს ამინდის ცვლილება.

ო, ახალო თვევ, ახალო მეუფევე,  
როგორ იქმნი შენთვის კეთილგანწყობას,  
ვგრძნობ, კალენდრის თარიღებად დაწყობას,  
ჩვენთვის უხვი სულით რომ დაეუფლე.

მდინარეებს შენ ხსნი ზამთრის ბორკილებს,  
ყველა შორ გზას შენთან ახლოს მოზიდავ,  
ყველა შეშლილს შენ მოიყვან გონზე და  
ყველა მოხუცს შეება ხელკავს მოჰკიდებს.

მე კი არ მაქვს შეება ეს, საამური,  
არც გთხოვ, სურვილს სიხარბეს არ გავურევ,  
მეკითხები — პასუხს ვაჭიანურებ,  
ვაქრობ შუქს და ირგვლივ მეფობს არმური.

\*\*\*

ვინ იცის, ქვეყნად მე წამიერად,  
თუ მარადისად უნდა ვიარო,  
სამყაროვ, თუნდაც წამთან ზიარო,  
მსურს, ორივესთვის გემადლიერო.

მაინც დავლოცავ, რაც უნდა მოხდეს,  
რა სიმსუბუქეც მერგუნა ბედით:  
შენ რომ მშორდები მსუბუქი სევდით  
და რომ მსურს, სული ჩუმად აღმომხდეს.

### პაიზაჟი

ნოემბერია და თოვა გათქვამს  
ცის სათქმელს, ამ მადლს არა აქვს ბოლო.  
მე მირჩევნია სინათლემ შთანთქმას,  
ვიდრე ფიფქების გზა დავაბრკოლო.

სული ჩაედგა ლოლუას თითოს,  
დაკიდულია მინაზე მყარად.  
პატარებისთვის ეს თოვლი თითქოს  
ცის საშაქრიდან გადმოიყარა.

დავდივარ ახლა ისეთი ნორჩი...  
და ვაგემოვნებ თოვლს გამალებით,  
მინდა, რომ ეს გზა არასდროს მორჩეს  
ყინულზე ფეხის ასრიალებით.

### სხვა

არ ვიცი, რატომ, მთელი წელია,  
ვერ დავალაგე, ვერ დავიუნჯე  
ლექსი, რომელიც დასაწერია,  
ბაგეს ბოქლომად ადევს, სიმუნჯედ.

ეს ხომ სტროფია. სტრიქონთა წყება, —  
ამის თქმა თქვენთვის გაადვილდება.  
სულ სხვაა, როცა დაგავინყდება,  
სიტყვა სიტყვასთან როგორ წყვილდება.

ხელემა იცის სტროფის სამყოფი,  
მაგრამ მე ვამბობ, ადრე რა იყო...  
სტროფი იყო და არც იყო სტროფი.  
არ მახსოვს, ის სხვა რალამ ნაილო...

ბაგეზე სიტყვებს ათამამებდა  
ის სხვა, არ ცნობდა შიშთა, უნდოთა,  
სურდა — სიცილად გაიდარებდა,  
ცრემლები იყო, როცა უნდოდა.

\*\*\*

საათი რეკს და ამით ვიჯერებ —  
შემოდგომაა... ვარდება ვაშლი  
წელს უფრო მძიმედ, იმდენივეჯერ,  
რამდენი ცალიც დამნიფდა ბაღში.

ო, ამ მუსიკით, ცხადად და მძაფრად,  
ვინ ცდილობს თქვას, რომ დრო არ გაჩერდა?  
ის გამბედავად იქცევა, მაგრამ  
ბაღს უმოქმედოდ ყოფნა დასჩემდა.

ბუნებას, ცხადი სევდის ზიარად,  
სიყვარული ხომ გვერდს ვერ აუვლის,  
შენ კი უბრალო მონმე კი არა,  
დამნაშავე ხარ დღესასწაულის.

\*\*\*

ნურაფერს მეტყვი სიყვარულზე! — ნურაფერს, რადგან  
ბულბულების ხმა ყელის სიმებს ველარ შეარხვეს,  
ცარიელ ცაზე თითქოს ცეცხლის სვეტები დადგა,  
ტრფობას კი გულში მთვარიანი ღამეც ვერ ამხელს.

მე მივეჩვიე, რომ თავს ზევით მეჭიროს მთვარე,  
რომ მეტი საქმე გამოვძალო ფიქრების ნაკადს,  
მაგრამ დღეს მთვარით სულ უაზრო ხიზლი აქვს არეს  
და თეთრ ბორცვებად უდაბნოში განოლილ არბატს.

ტრფობას ბავშვივით რომ უმღერის,  
ვუსმენ ქალ-მგოსანს —  
მეც ნახევარი ღიმილით ვდევ ნახევარ მზერას,  
ვხედავ — ზეცაში აუგია მთვარეს-სხივოსანს  
უფლის სასახლე და კარები ღიაა ჯერაც.

ბულვარის თავში, აბზინდების ველების ახლოს,  
მოჩანს გოგოლი მარტოსული... გამხდარი... კნტი,  
ასე ხანგრძლივი ქვეყნად მთვარე არავის ახსოვს,  
ახლა ის წავა... სიყვარულზე ნურაფერს მეტყვი!

იმდენი ხანი ვიცოცხლე, რომ გულიც არ გულობს.  
უბედურ ყოფას მოვერიე, თუმცა ვედავე.  
ძალა და მადლი იმ ერთისა იქ კვლავ სულდგმულობს...  
მთვარის ქვეშეთში ნუთუ ორნი ჩვენ ვართ — შენ და მე?

\*\*\*

დიდ დროს ნუ მითმობ... მე უკვე მჯერა,  
ძალა დაკარგეს შენმა კითხვებმა  
და ეგ სანდო და კეთილი მზერა  
ხელზე შეხებით ნუ დამიხვდება.

გაზაფხულობით ჩემს კვალს ნუ მისდევ,  
გუბებს შორის გაშლილ-განაფენს;  
ვიცი, ხელახლა შეხვედრით ისევ  
რომ არ ექნება აზრი არაფერს.

ნუ თვლი, მწყრალად ვარ მეგობრობასთან,  
რომ სიამაყით გაგხდი ეული...  
ო. არა! — ვებრძვი მტანჯველ გრძნობას და  
მიტომ დავდივარ თავანუელი.

\*\*\*

„სჯობს ყველაფერი გადავაკეთოთ, —  
ამბობს მკერავი — მაისიც მოდის“...  
„თუ გადავიტანთ ამ დროს საერთოდ, —  
ვამბობ — გავიგებთ, რა მოდის... როდის...“

უნდა შეეცვალო ბექედში თვალი,  
გადავიკრიჭო წინამო ჟღალი,  
თავს გავიტყუებ უცხო მდელში  
და ისევ წავალ საქართველოში.

\*\*\*

შემოდგომაზე წვიმისაგან გალუმპულ ვერხვებს  
დამადლებული მზისქვეშ როცა უჭირთ გამრობა,  
რაც მოიტოვე, ისევ გიხმობს, თუმცა უკან ვერ გხვეს —  
ჭაში ჩაკრული მთვარესავით ელავს ბავშვობა.  
ცხოვრებისგან რომ არ ელოდი დაგებას მახის,  
გეგონა, შენთვის სრულნათელი შეკრა კამარა,  
დრომ სწორედ მაშინ ბრწყინვალეა უნაზეს სახის  
გადავინყების ჩრდილქვეშ უღვთოდ დაასამარა...  
დღეს მხოლოდ ხსოვნას შეუძლია გითხრას, ვინა ხარ,  
ის, რაც არ არის, ხსოვნამ შენთვის შენოინახა.

### თარგმანი ხასანიამ



# ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტრო

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004